საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ივლისი შაბათი 2012 №165 (13 771) ფასი 80 თეთრი

ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 13 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონტეპასკის დროზე ადრე დავტოვებ, თუ NBA-ში გადავალ

თამუნა [illegible]ულუმბეგაშვილის ფოტო




დღეს ლელოს სტუმარი ვიქტორ სანიკიძე 11-12



## ბუბა ტყავაძე: სიყვარულზე მნიშვნელოვანი შედეგია

ინტერვიუ დინამოს სპორტულ დირექტორთან 2

# შენგელიამ დახურა

## 16 ქულა და მწვრთნელის კომპლიმენტი: შთამბეჭდავია!



თორნიკე შენგელია ინდიანასთან მატჩში

თორნიკე შენგელიამ „ორლანდოს" საზაფხულო ლიგა 16 ქულით დახურა. მან 19 წუთში 10-დან 6 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო გამოიყენა, 16 ქულას 3 დაფარება, 4 ჩაჭრა და 2 მოხსნა მიამატა.
მისი და ბრუკსის (34 ქულა) თამაში „ბრუკლინის" გამარჯვების საწინდარი გამოდგა. მან ლიგაზე პირველი მატჩი სწორედ გუშინ მოიგო („ინდიანასთან", 90:77) და ლიგას თავაწეული დაემშვიდობა.
შენგელიამ არაერთი სპეციალისტის კომპლიმენტი დაიმსახურა, მათ შორის საზაფხულო ლიგაზე „ბრუკლინის" თავკაცის ჯონსის:
- თორნიკე შთამბეჭდავია, ენერგიული, მებრძოლი... მსუბუქ ფორვარდად დავაყენე, იბრძოლა, მძიმე ფორვარდად, - იბრძოლა. მოედანზე ძალიან სწრაფად გადაადგილდება. კარგი კალათბურთელია დიდებული ინსტინქტებით.
ახლა ჯერი მთავარ მწვრთნელზეა, სწორედ ეივერი ჯონსონმა უნდა გადაწყვიტოს შენგელიას „ბრუკლინის" 13-კაციან სიაში ჩაწერის საკითხი.

ვაჟა სიმონიშვილი

# დინამოს ორი ტრანსფერი



გიორგი თექთურმანიძე



გია კვარაცხელია 3

# რუსეთმა კაპელო გადაწყვიტა



ფაბიო კაპელო 8

## ქართული ფეხბურთი

აქტუალური ინტერვიუ



ბუბა ტყავაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**"დინამო თბილისი" დამდეგ სეზონში სხვანაირი უნდა იყოს. გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, არის სხვა სატრანსფერო სიახლეებიც და არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეც – "დინამოს" სპორტული დირექტორი ბუბა ტყავაძე გახლავთ. ტყავაძე გამოცდილი მენეჯერია, ადრეც უმუშავია "დინამოში", წინა სეზონში კი რუსთავის "მეტალურგს" ხელმძღვანელობდა. რუსთაველები თავდაპირველი ვერსიით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა სხვანაირად განსაჯა და ჩემპიონობა "ზესტაფონს" მიაკუთვნა... "დინამოს" მართლაც გასაძლიერებელი ჰქონდა მმართველის პოზიცია, წინა სეზონში კლუბის საქმეები ალმა-დალმა მიდიოდა. ჯერ მარტო ის ფაქტი, რომ 2011/12 წლების სეზონში გუნდმა სამი მწვრთნელი გამოიცვალა, იმაზე მიუთითებდა, რომ "დინამოში" საორგანიზაციო მხარე მოისუსტებდა. ტყავაძეს დილმის ბაზაზე ვესტუმრეთ ინტერვიუსთვის...**

# ყაირათი და პროფესიონალიზმი

## ბუბა ტყავაძე: სიყვარულზე მნიშვნელოვანი შედეგია

**- "დინამოში" პირველ რიგში ალბათ იმისთვის დაბრუნდით, რომ კლუბს ფულის ყაირათიანად ხარჯვაში დაეხმაროთ...**

- ყაირათიანობა ცუდ მიმართულებას სულაც არ ნიშნავს – ფული სწორად უნდა დაიხარჯოს. ზოგს მიაჩნია, რომ მე იმის მომხრე ვარ, რაც შეიძლება ცოტა ფული დაიხარჯოს, არადა, ეს ასე სულაც არ არის. უკეთესი იქნება, თუ კლუბი მეტ თანხას დახარჯავს, მაგრამ ეს სწორად უნდა გააკეთოს, თუ ფულს ყაირათიანად გამოვიყენებთ, შედეგიც უკეთესი იქნება. "დინამო" საქართველოში პირველი უნდა იყოს – ეს არის ახლა ჩვენი უახლოესი მიზანი.

**- ქართულ რეალობაში კლუბისთვის ფულის შოვნის ორი გზა არსებობს – ახალგაზრდების გამოზრდა და მათი ექსპორტი, ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა – რა იქნება "დინამოს" პრიორიტეტი ამ ეტაპზე?**

- "დინამოში" შექმნილ ახლანდელ მდგომარეობას გარდამავალ ეტაპს დავარქმევდი. ამასწინათ მასმედიაში მთლად კარგად არ იყო მოხსენიებული "დინამო", ითქვა, საკუთარ ფეხბურთელებს უდიერად ექცევაო, არადა კლუბი სულ იმას ცდილობს, რომ საკუთარი ვალდებულებები შეასრულოს. იძულებულები ვართ, გვყავდეს ის ფეხბურთელები, რომლებთანაც კონტრაქტი გვაკავშირებს, უბრალოდ, გვაქვს სურვილი, რომ ზოგიერთზე უკეთესი მოთამაშე მოვიწვიოთ. შოკური თერაპიის მომხრე არ ვარ, ყველაფერი თანდათან უნდა გაკეთდეს.

- ამა თუ იმ საკითხზე კატეგორიული მიდგომა რთულია. აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელების სწორად განვითარებაზე ვაკეთებთ, მიმდინარეობს „დინამოს" საფეხბურთო აკადემიის ინფრასტრუქტურის აშენება. ისევე როგორც "დინამოს" ბაზა, აკადემიის საწვრთნელი ბაზაც საუკეთესო იქნება. ცუდია, რომ "დინამოდან" კარასკო წავიდა, ახლა მისი შემცვლელი უნდა მოვძებნოთ, არ არის გამორიცხული, რომ "დინამოს" აკადემიას ისევ უცხოელმა უხელმძღვანელოს. ჩვენს აკადემიაში აღზრდილ ფეხბურთელებს თვალი უცხოეთში წასვლაზე კი არ უნდა ეჭიროთ, ჯერ "დინამოს" პირველ გუნდში მოხვედრისთვის უნდა იშრომონ და თუ მერე ისინი უკეთეს ჩემპიონატში მოხვედრისთვის მზად იქნებიან, მათ გასხვისებაზეც ვიფიქრებთ. დღეს აღარ არის ისეთი სიტუაცია, რომ ჩვენგან ფეხბურთელი სომხეთში ან აზერბაიჯანში გარბოდეს.

**- მიგაჩნიათ, რომ "დინამოში" ახლა ფეხბურთელებს უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე აზერბაიჯანის მოწინავე კლუბებში?**

- თუ დინამოელები დაიმსახურებენ, მათ აქ უკეთესი ანაზღაურება ექნებათ, ვიდრე აზერბაიჯანში. ფეხბურთელი უნდა იმსახურებდეს იმ ხელფასს, რასაც იღებს. ფეხბურთელობა ძალიან ძნელი პროფესიაა, ეს არ არის მხოლოდ ვარჯიში და შრომა, ფეხბურთელის ყოველდღიური ცხოვრება ისეთი უნდა იყოს, როგორც სპორტსმენს შეეფერება.

**- პრიორიტეტებს დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ თქვათ, როდის იქნება "დინამო" იმ დონეზე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად რომ იბრძოლებს?**

- ვფიქრობ, შარშან "დინამოს" ცოტაღა დააკლდა ევროპის ლიგის ჯგუფში მოსახვედრად, მერე კი ისე მოხდა, რომ გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა. ევროსარბიელზე წარმატების მისაღწევად ბევრი რამის თანხვედრაა საჭირო და რთულია იმის თქმა, როდის მოხვდება "დინამო" ჩემპიონთა ლიგაზე. შეიძლება ეს ერთ წელიწადში მოხდეს, ან ამას სამი წელი დასჭირდეს... ევროტურნირებზე წილისყრის შედეგებიც მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, გუნდიც ძლიერი უნდა გვყავდეს მნიშვნელოვან წარმატებას რომ მივაღწიოთ, მანამდე კი ჯერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა დავიკავოთ პირველი ადგილი.

**- არის ბელარუსული "ბატეს" მაგალითი, რომელიც უკვე ორჯერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში. ნუთუ ასე ძნელია ეს ქართული კლუბისთვის...**

- "ბატეს" მაგალითიც იმაზე მიუთითებს, რომ სამწუხაროდ ქართველ ფეხბურთელებს პროფესიონალიზმი აკლიათ.

**- ფეხბურთელების უმრავლესობას არ უყვარს ბუბა ტყავაძე...**

- ყოველთვის ვცდილობ, რომ სამართლიანი ვიყო. მოედანზე 11 ფეხბურთელი გამოდის და გუნდშიც ადგილები შეზღუდულია. ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ისე სიყვარულზე მნიშვნელოვანი, ვფიქრობ გუნდის შედეგია.

**- ქართულ კლუბებში ასე იყო და ახლაც თითქმის ისეა, რომ ყველაფერს პრეზიდენტი განაგებს, რადგან ფულს ის იხდის – ფეხბურთელების მოყვანა-გაშვება, მწვრთნელის დანიშვნა...თუმცა ბოლო დროს სიტუაცია ცოტა იცვლება და მიდის უფლება-მოვალეობების გადანაწილება. "დინამოში" თქვენი დაბრუნებაც ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კლუბმა მონოპოლიურ მართვაზე უარი თქვა...**

- გადაწყვეტილებების მიღებისას სრული თავისუფლება მაქვს. პრეზიდენტი ფულს რომ ხარჯავს, აქვს იმის უფლება, რომ ღრმად ჩაიხედოს ყველაფერში. "დინამოდან" შარშან წამოვედი და რაც ახლა აქ ხდება, ამას ვერ წარმოვიდგენდი, თვალებს არ ვუჯერებდი - ძალიან ბევრი რამე გაკეთდა. ამდენი ფული რომ იხარჯება, პრეზიდენტს აქვს იმის უფლება, იცოდეს, თუ როგორ და რაში ნაწილდება თანხები.

**- საქართველოს წინა ჩემპიონატი და თასის გათამაშება სკანდალური გამოდგა. რას ელით მომდევნო სეზონისგან? როგორ გგონიათ, აღარ იქნებიან სატელიტი კლუბები და აღარ მოხდება ის უსიამოვნო ფაქტები, რაც წინა სეზონში მოხდა?**

- წინა ჩემპიონატში თუ ვინმეს ჰყავდა სატელიტი გუნდები, ამაზე ვერაფერს გეტყვით, ჩვენ სატელიტი გუნდი ნამდვილად არ გვყოლია. რაც შეეხება მთლიანად წინა სეზონს, პირველ ეტაპზე ყველაფერი ნორმალურად იყო, მერე კი, როცა ბრძოლა გამძაფრდა და გამოჩნდა, რომ ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ეგონათ და მიმართეს მახინჯ ფორმებს. მთავარი ის იყო, ვისაც ჩემპიონატის ჩატარება ევალებოდა, ეს სათანადო დონეზე ვერ გააკეთა. პროფესიული ლიგის ხელახლა შექმნის იდეაც იმაში მდგომარეობდა, რომ კლუბებს თვითონ მიეღოთ მონაწილეობა ჩემპიონატის და თასის გათამაშების მართვაში, თუ რაიმე ზომების მიღება გახდებოდა საჭირო, ეს მყისიერად და უპრობლემოდ მოხდებოდა. ლიგა იდეალური ვარიანტი იქნებოდა, ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემოთავაზებული ახალი მოდელი კი ურიგო არ არის.

**- ვინც მეტ ფულს დახარჯავს, ის უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს – როგორ ფიქრობთ, 2012/13 წლების სეზონის შედეგებს ეს განაპირობებს?**

- გამონაკლისები ხდება, თუმცა ლოგიკური ზუსტად ეს არის – ვინც მეტს დახარჯავს, იმან უკეთეს შედეგს უნდა მიაღწიოს. წინა სეზონში კი ვინც ნაკლები დახარჯა, ის გახდა ჩემპიონი – რუსთავის "მეტალურგს" ვგულისხმობ...

**დავით თავართქილაძე**

დინამო

# სერიოზული სტიმული

გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამომ" საკონტროლო მატჩში "გაგრას" უმასპინძლა და დიდი ანგარიშით მოიგო.

დინამოელები მოტივირებულები იყვნენ, ახალ მწვრთნელთან ყველას სურს თავის მოწონება, მაგრამ **ზვიად ჯელაძის** "გაგრაც" არანაკლები სტიმულითა და მონდომებით დაუპირისპირდა ფავორიტ მეტოქეს - თუმცა, **დუშან უჰრინის** გუნდის უპირატესობა მაინც პირველივე წუთებიდან იგრძნობოდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, "დინამოს" ფორმა მოირგო მცველმა **ლევან კაკუბავამ**. ძირითადში ითამაშა გუნდში დაბრუნებულმა **ოთარ ხიზანეიშვილმაც**.

უჰრინმა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებთან ერთად, თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზდებსაც მისცა. პირველ ტაიმში ანგარიში მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **ალბერტ იაგუემ** გახსნა. 37-ე წუთზე **თორნიკე თარხნიშვილი** საჯარიმოში ეფექტურად, რამდენიმე მცველის ჩამოცილების შემდეგ შეუტია, რომლის დარტყმაც მეკარე **გიორგი ბეგაშვილმა** კი მოიგერია, მაგრამ **ჩისკომ** დროულად დაამატა – 2:0.

მეორე ტაიმში დინამოელთა უპირატესობა საგრძნობი გახდა: "გაგრას" კარი კიდევ ერთხელ აიღო და დუბლი შეასრულა იაგუემ, ამდენივე გაიტანა **რობერტინიომ**, ერთხელ თავი **ჯაბა ჯიღაურმა** გამოიჩინა და "დინამომ" 6:1 გაიმარჯვა.

"დინამო" (I ტაიმი): ლორია - სეთურიძე, რეხვიაშვილი, ხიზანეიშვილი, გლიშიჩი – ძარია - კოტო, ჩისკო, მერებაშვილი, თარხნიშვილი – იაგუე.

"დინამო" (II ტაიმი): ზარქუა (სეფიაშვილი) - ტვილდიანი, რეხვიაშვილი (კაკუბავა), გველესიანი, გლიშიჩი (კაკულია) - პაპავა, ჯიღაური, მერებაშვილი (პარუნაშვილი), თარხნიშვილი (ჩაფიძე) – რობერტინიო, იაგუე (გაბაშვილი).

**მერაბ მამულაშვილი**



მეტოქე

# დანიელებმა უეფაში განაცხადი წარადგინეს

## დევდარიანის შესანიშნავი დაბრუნება

**"ორჰუსის" ხელმძღვანელობამ ის მოთამაშეები დაასახელა, რომლებიც ევროპის ლიგაზე გორის "დილასთან" ითამაშებენ. საინტერესოა, რომ განაცხადში სულ 20 ფეხბურთელია.**

მეკარეები: **შტეფან რასმუსენი, ემილ ოუსაგერი;**

მცველები: **არტურ სორინი, ატლე რევ ჰალანდი, მიკელ კირსესკოვი, ანდერს კურე, იენს იონსონი, ადამ ეკერსლი;**

ნახევარმცველები: **შტეფან პეტერსონი, ჰიალტე ნორეგაარდი, მარტინ იორგენსენი, უსამა ახარაზი, კასპერ ლენი, სერან ბერგი, დავით დევდარიანი, ედაფე ეგბედი;**

თავდამსხმელები: **აარონ იოაჰანსენი, პეტრ გრაულუნდი, მორტენ მოლდსკრედი, დავით სხირტლაძე.**

კლუბის პრეს-სამსახურის განცხადებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ განაცხადში მოხვდა **დავით დევდარიანი**, მასალასაც ქართველი ლეგიონერის სურათი ახლავს. აშკარაა, დევდარიანს "ორჰუსში" განსაკუთრებული როლი რომ აქვს.

გუშინ "ორჰუსმა" ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრა "ოლბორგთან" ჩაატარა და ფრედ, 1:1 ითამაშა. **დავით სხირტლაძე** სათადარიგოთა შორის იყო, დევდარიანი კი მოედანზე 64-ე წუთზე **პეტრ გრაულუნდის** ნაცვლად გამოჩნდა.

"ორჰუსი" საკმაოდ სწრაფად და ორგანიზებულად თამაშობდა, გუნდს სათამაშო დიციპლინა ეტყობოდა, მაგრამ მის შეტევებს ფანტაზია აკლდა, დაცვას კი - მობილიზება.

ვითარება მოედანზე დევდარიანის გამოსვლის შემდეგ შეიცვალა: დანიელთა ქართველმა ლეგიონერმა მშვენიერი დაბრუნება მოიწყო, ყველა შეტევას ის იწყებდა და კომენტატორი ქართველის გვარს ლამის ყოველ წინადადებაში წარმოთქვამდა. ანგარიში სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა: 85-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილი ქართველი ფეხბურთელი "ოლბორგის" მცველმა მოცელა, პენალტი კი **მარტინ იორგენსენმა** გამოიყენა.

დამატებულ დროში დევდარიანის შორეული გადაცემის შემდეგ "ორჰუსს" კარის აღების მეორე შანსიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, "ოლბორგის" შეტევისას კი მცველები უხეშად შეცდნენ და ბოლო წუთზე **ჯეპე კურტმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:1.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ჭანტურიამ და ყაზაიშვილმა გაიტანეს

"ვიტესმა" მორიგ საკონტროლო შეხვედრაში ჰოლანდიის დაბალლიგელ "ვოლჰელმინა 08"-თან 6:1 გაიმარჯვა.

27-ე წუთზე **გიორგი ჭანტურიამ** მეტოქის კარი მეორედ აიღო და არნემელები დააწინაურა. 82-ე წუთზე კი **ვაკო ყაზაიშვილმა** გოლი-შედევრი გაიტანა: საჯარიმოს ხაზთან ორ მცველს გასცდა, შემდეგ მეკარეც მოატყუა და მცველს ბურთის მოგერიების საშუალება არ მისცა

ჭანტურიამ ძირითადში დაიწყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, ყაზაიშვილი კი მოედანზე სწორედ ამ დროს, 46-ე წუთზე გამოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

# კვარაცხელია და თექთურმანიძე დინამოში

## მეტალურგში დარჩენა მინდოდა, მაგრამ...



ახალი სეზონიდან გია კვარაცხელია (ბურთთან) და ირაკლი ძარია თანაგუნდელები იქნებიან

რუსთავის "მეტალურგმა" ალბანური "ტეუტა" გაანადგურა (3:0, 6:1) და ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. თუმცა, პლზენის „ვიქტორიასთან" დაპირისპირებაში მონაწილეობას აღარ მიიღებენ გუნდის კაპიტანი გია კვარაცხელია (რომელიც წინა ჩემპიონატის შემდეგ "ლელომ" სეზონის საუკეთესო მცველად დაასახელა) და ნახევარმცველი გიორგი თექთურმანიძე.

ორივე უკვე თბილისის "დინამოში" გამოცხადდა, რადგან თბილისელთა მთავარ მწვრთნელს დუშან უჰრინს მათი შეკრებაზე წაყვანა სურს და ჩეხებთანაც ამიტომ ვერ ითამაშებენ.

გუშინ კვარაცხელია და თექთურმანიძე დილმის ბაზაზე იმყოფებოდნენ და "გაგრასთან" საკონტროლო შეხვედრას დაესწრნენ, მაგრამ ალბანელებთან ნათამაშები ყოფილი მეტალურგელები დუშან უჰრინმა დაასვენა.

რუსთავულ კლუბს ორივე თავაწეული ტოვებს: 32 წლის გამოცდილმა კვარაცხელიამ გასული სეზონი მშვენივრად ჩაატარა, ევროპალიგაზე კი "ტეუტას" ძლევაში უდიდესი წვლილი შეიტანა. იგივე ითქმის თექთურმანიძეზე, რომელმაც ალბანელების კარი თბილისში ორჯერ ულამაზესი დარტყმებით აილო.

გუშინ ერთ მათგანს, გია კვარაცხელიას ინტერვიუ ჩამოვართვით.

- სულ რაღაც ორი წუთია, რაც რუსთავიდან წამოვედი. გუნდში ვიყავი, ბიჭებს დავემშვიდობე და დღეიდან თბილისის "დინამოში" ვივარჯიშებ. გაორებული გრძნობა მაქვს: ძალიან თბილი, მეგობრული გუნდიდან მოვდივარ, რუსთავიც ძალიან შემიყვარდა. უბრალო და გულიანი ხალხია, ფეხბურთი უზომოდ უყვართ და სტადიონზე ყოველთვის კარგი ატმოსფეროა.

ამავე დროს, მივდივარ თბილისის "დინამოში", რომლის მიწვევაზეც არც ერთი ქართველი მოთამაშე უარს არ იტყვის და ახლა მთლიანად ახალ გუნდზე გადავერთვები, მაგრამ "მეტალურგს", ჩემს ყოფილ თანაგუნდელებსა და უფროს მეგობრებს წარმატება მინდა ვუსურვო... ისე თბილად გამაცილეს, რამაც ჩემზე ძალიან იმოქმედა.

**- შემდეგ ეტაპზე "მეტალურგს" გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავს და შეუძლებელი იყო, დროებით ისევ რუსთაველებს რომ დახმარებოდი?**

- ეს მეც ძალიან მინდოდა და სამწუხაროა, ბიჭებს რომ ვერ დავეხმარები, მაგრამ უჰრინი ახალ გუნდს აყალიბებს, რომელსაც სეზონის დაწყებამდე შეთამაშება სჭირდება და დარჩენა აღარ გამოდიოდა. თანაც, "მეტალურგი" ახლა ისე კარგად აწყობილი გუნდია, ერთი მოთამაშის წასვლა არ უნდა დაეტყოს.

**- "დინამოში" როდის მიგიწვიეს?**

- როდესაც ბუბა ტყავაძე გადავიდა, შემოთავაზება მივიღე.

**- ახლა თბილისელებს ცუდი დრო უდგათ, ევროთასებზეც ვერ გავიდნენ და სეზონი უტიტულოდ დაასრულეს.**

- ეს იყო გამონაკლისი, კანონზომიერება კი ის არის, რომ თბილისის "დინამო" ყოველთვის ჩემპიონობისა და თასის მოსაპოვებლად იბრძოდა და ახალ სეზონშიც ასე იქნება. იმედია, "დინამო" მომავალ სეზონში მისთვის ჩვეულ შედეგს მიაღწევს და ამაში საკუთარ წვლილს მეც შევიტან.

**- შენი აზრით, რომელი გუნდები იქნებიან თქვენი კონკურენტები?**

- ცხადია, "ზესტაფონი", "ტორპედო", "დილა", რომელიც ძალიან სერიოზულ გუნდად ყალიბდება და ცხადია, "მეტალურგი", რომელიც ასევე კონკურენტუნარიანი გუნდია. დიდი იმედი მაქვს, რომ მომდევნო ჩემპიონატში სერიოზული ბრძოლა იქნება და ეს შარშანდელზე ბევრად მეტ მაყურებელს მოიზიდავს.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა

# გუნდი გერმანიაში, ინწკირველი და ჯანელიძე მეტალურგში

**რუსთავის "მეტალურგი" კაპიტანმა, ცენტრალურმა მცველმა გია კვარაცხელიამ დატოვა. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებმა საკმაოდ სოლიდური შემცვლელი სწრაფად მოუძებნეს: მის პოზიციაზე გამოცდილი ცენტრალური მცველი ლექსო ინწკირველი მიიწვიეს და ის უკვე კლუბის წევრი გახდა.**

**შეგახსენებთ, რომ ინწკირველი გორის "დილაში" ფოთის "კოლხეთიდან" იანვარში გადავიდა და გუნდთან ერთად საქართველოს თასს დაეუფლა. მართალია, 30 წლის მცველი გერმანულ შეკრებაზე გასამგზავრებელ "დილას" მოთამაშეთა სიაში იყო, მაგრამ გუნდი მაინც დატოვა.**

მიზეზი? ახალი სეზონის დაწყებამდე გორელებმა **გიორგი შაშიაშვილი, გულვერდ თომაშვილი** და **დავით კვირკველია** რომ მიიწვიეს, ინწკირველმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მას შემდეგ ახალ გუნდს ეძებდა. ინწკირველს მხოლოდ ხელფასის აღება არ აკმაყოფილებდა, სპორტული ამბიცია გააჩნია და სათამაშო პრაქტიკა სჭირდებოდა.

დაგვიდასტურეს, რომ ინწკირველის გარდა, ამიერიდან რუსთავულ კლუბში გააგრძელებს კარიერას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავადმსხმელი **დავით ჯანელიძე,** რომელიც რიგის "სკონტოსა" და "ოლიმპსის" შემდეგ ქუთაისის "ტორპედოში" თამაშობდა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა. 22 წლის ფეხბურთელი უკვე რუსთაველებთან ერთად ვარჯიშობს.

"დილა" კი ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ "ორჰუსთან" მატჩისათვის ემზადება. **თემურ შალამბერიძისა** და **გია ცეცაძის** გაწვრთნილები 11 ივლისს გერმანიაში, ჰამბურგთან მდებარე პატარა ქალაქ შცჰეევერდინგენში დაბანაკდნენ.

ეს შეკრება "დილას" მენეჯერის, **გია ისიანის** კავშირების დამსახურებაა. ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი თანამშრომელი ახლოს იცნობს გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს **რაინერ მილკორაიტს,** რომელიც 1981 წელს დიუსელდორფში ჩატარებული თასების მფლობელთა თასის ფინალის დროს იენის "კარლ ცაისის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. თუ გახსოვთ, ამ გამარჯვების 30 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე მილკორაიტი თბილისში სწორედ ისიანმა ჩამოიყვანა.



ალექსანდრე ინწკირველი

მილკორაიტის ხელშეწყობით, "დილა" მოახლოებული თამაშისთვის იდეალურ პირობებში ემზადება. გორელები გერმანიაში 17 ივლისამდე დარჩებიან და დანიაში მატჩამდე ორი დღით ადრე გაემგზავრებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000

დავით თავართქილაძე



გიორგი (ჩიორა) თექთურმანიძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# წამო, ჩიორას ვუყუროთ

ეს "ტეუტა" რა ხვითოც იყო, ყველამ ვნახეთ, **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის ძალა კი პლზენის "ვიქტორიასთან" გამოჩნდება.

როგორც უნდა იყოს, "მეტალურგმა" ალბანელებს ცხრა გოლი გაუტანა და ერთი გაუშვა, ეს კი, სხვა რომ არაფერი, სასიამოვნოა.

რუსთავში ფეხბურთი ისე არ უყვართ, როგორც ზესტაფონში ან ქუთაისში. ძნელია იმის თქმა, ასე რატომ არის, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. არადა, "მეტალურგი" ფეხბურთს კარგად თამაშობს, წლეულს სულაც მესამედ უნდა გამხდარიყო რუსთავული გუნდი საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ ჩემპიონობა იმას შეეწირა, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება.

რუსთავი თავისებური ქალაქია საქართველოს ქალაქთა შორის. რუსთავი ძალიან ძველი ქალაქია, რომელიც შუა საუკუნეებში ალგავეს მონღოლებმა და მერე **სტალინმა** აალორძინა. შუალედი დიდი გამოდგა და ქალაქის სიძველესაც ოდენ სტალინური ნაგებობანი განაპირობებს.

რუსთავი ორ ნაწილად იყოფა –გაღმად და გამოღმად. გაღმა რუსთავი სტალინურად ძველებურია და შარმიც მეტი აქვს. სტადიონიც მტკვრის იქით არის. რუსთავი დიდად ინდუსტრიული ქალაქი აღარ არის, ასი ათასამდე კაცი ცხოვრობს, სტადიონზე კი ხშირად ათასი გულშემატკივარიც არ მიდის. არადა, "მეტალურგი" მარჯვედ თამაშობს ფეხბურთს.

ტრადიციები? რუსთავის ფეხბურთს არც ეს დაეწუნება. რუსთავულ გუნდში უთამაშიათ **შოთა ხინჩაგაშვილს, კახა ცხადაძეს, რევაზ არველაძეს, გოგა გახოკიძეს, ლევან კობიაშვილს**... მაგრამ ხალხი სტადიონზე აღარ დადის.

რუსთავულ გუნდს არაერთხელ შეუცვალეს სახელი. "მეტალურგი", "გორდა", "მეტალურგი", "გორდა", "რუსთავი", "ოლიმპი" და ისევ "მეტალურგი" – ასე იყო საქმე ბოლო 25 წელიწადში.

სახელის შეცვლის გარდა რუსთავულმა გუნდმა სხვაც ბევრი გადაიტანა, ხან ასეთი პატრონი და მწვრთნელი ჰყავდა და ხან - ისეთი. რუსთავი მაინც მოვიდა აქამდე, როგორც საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი.

შარშან "მეტალურგმა" სომხურ "ბანანცს" და ყაზახურ "ირტიშს" აჯობა ევროსარბიელზე, მერე კი ფრანგულ "რენს" გადაეყარა და დაიჯაბნა. "რენი" "მეტალურგისთვის" ძალიან ძლიერი და სიმპათიური გუნდი გამოდგა, არა მგონია, რომ "პლზენიც" ასეთივე იყოს, თუმცა ვინ იცის...

ხალხი კი სტადიონზე პირველ რიგში ფეხბურთელმა უნდა მიიყვანოს. **ლევან ყენია** რომ თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივში", ამ გუნდის საშინაო მატჩებზე ბევრი ქომაგი არ დადიოდა, მაგრამ ვინც დადიოდა, უფრო ყენიას გამო. დღეს "ლოკომოტივი" თამაშობს და მოდი, ყენიას საყურებლად წავიდეთო – კანტი-კუნტად, მაგრამ ასე მაინც დადიოდა გულშემატკივარი "ლოკომოტივის" თამაშებზე. ყენია იყო "ლოკომოტივის" ლოკომოტივი.

**გიორგი თექთურმანიძემ** "ტეუტას" ორი ლამაზი გოლი გაუტანა და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ უფრო ძლიერ გუნდებსაც გაუმწარებდა ყოფას. თექთურმანიძეს საფეხბურთო მილეთი ჯერ კიდევ მაშინ იცნობდა, როცა ჯიქიას ქუჩაზე, "ოლიმპის" საფეხბურთო სკოლაში დასდევდა ბურთს. ნიჭიერებს ადვილად იმახსოვრებენ.

თექთურმანიძე 21 წლისაა და კიდევ აქვს დრო, წინ დიდი ნაბიჯებით რომ წაიწიოს. **"ჩიორას"** ალბანელებთან გატანილი გოლების გარდა სხვა კარგი რამეებიც შეუძლია და იქნებ იმდენიც მოახერხოს, რომ ხალხი "მეტალურგის" თამაშებზე მიიყვანოს.

"ჩიორა" ჟორჟიკაშვილის გამოზრდილია, ამ მწვრთნელს კი ახალგაზრდებთან მუშაობა განსაკუთრებით ეხერხება. მწვრთნელის მუშაობაც მხოლოდ იმით არ ფასობს, მისი გაწვრთნილი გუნდი რომელ ადგილს დაიკავებს. თითო ქართველმა მწვრთნელმა ერთი "ჩიორა" რომ მაინც გამოზარდოს, ქართულ ფეხბურთს ნამდვილად ეშველება.

მანამდე კი "ჩიორას" ჯერია, რომ ხალხი სტადიონზე მიიყვანოს.

ქართული ფეხბურთი

● ბრაზილია 2014. მეტოქე

# გლები ამერიკაში მიიწვიეს

## კონდრატიევმა ბატეს ბრესანი გამოჰგლიჯა


ალექსანდრ გლები

მალე ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები დაიწყება. ბელარუსის ნაკრებმა ლონდონში თამაშის უფლება ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე დაკავებული მესამე ადგილის წყალობით მოიპოვა და ახლა გუნდი **გიორგი კონდრატიევის** ხელმძღვანელობით ოლიმპიადისთვის ემზადება.

ბელარუსთა ახალგაზრდული ნაკრები კი ის გუნდია, რომლის ბირთვის გარშემო კონდრატიევი მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ბელარუსის ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბებას აპირებს.

ბელარუსები 26 ივლისს ქოვენთრიში ახალ ზელანდიას შეხვდებიან, 29-ში – მანჩესტერში ბრაზილიას, 1 აგვისტოს კი გლაზგოში – ეგვიპტეს. ცხადია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მეტოქეს ვგულშემატკივრობთ, რაც შეიძლება შორს რომ გავიდნენ და მუნდიალის შესარჩევი ციკლისთვის საქართველოში გადაღლილები ჩამოვიდნენ, რაც ასეთ დროს ბუნებრივიც არის – კონდრატიევი და კამპანია თბილისში 7 სექტემბერს გვესტუმრება.

ბელარუსებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ოლიმპიურ ნაკრებში ბორისოვის "ბატეს" ბრაზილიელ ცენტრალურ ნახევარმცველს, **რენე ბრესანს** დაიმატებდნენ, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ბელარუსში 5 წლის წინ დასახლებული ბრაზილიელის ნაკრებში გაშვება "ბატეს" ხელმძღვანელობას არ სურდა.

ბორისოველთა პრეზიდენტმა, **ანატოლი კაპსკიმ** ეს იმით ახსნა, რომ გუნდში ბევრი ტრავმირებული მოთამაშეა და ოლიმპიადაზე ბრესანის გამგზავრებით კიდევ უფრო დავსუსტდებითო. მართალია, ბორისოველები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას უარს ვერ ეუბნებოდნენ, მაგრამ მოთამაშეს ამ ნაბიჯის გადადგმას აიძულებდნენ.

თავად ფეხბურთელმა იყოჩაღა და ოლიმპიადაზე გამოსვლა ისურვა. კონდრატიევი გახარებულია – ჩამშლელი ნახევარმცველები საკმარისად გვყავს, ბრესანის შემოქმედებითი თამაში კი ჰაერივით გვჭირდებაო.

ამასობაში, ყველაზე ცნობილი ბელარუსი ფეხბურთელი **ალექსანდრ გლები** "ბატეში" ვარჯიშობდა, მაგრამ ბორისოველ გულშემატკივართა იმედებს ცივი წყალი გადაასხა ცნობამ იმის შესახებ, რომ 31 წლის ნახევარმცველი ნიუიორკის "რედ ბულში" მიიწვიეს.

შეგახსენებთ, რომ გლები "შტუტგარტში", ლონდონის "არსენალსა" და "ბარსელონაში" თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერი

# სად ითამაშებს ჯიქია?

გორის "დილას" თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია**, სავარაუდოდ, კარიერას ბოლნისის "სიონში" გააგრძელებს.

ცნობილი იყო, რომ სეზონის დასრულების შემდეგ 30 წლის თავდამსხმელი "დილადან" მიდიოდა – მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **თემურ მახარაძის** წასვლის შემდეგ, ჯიქიას ძირითად შემადგენლობაში თამაში თითქმის აღარ უწევდა. თუმცა, მისი ახალი კლუბი უცნობი იყო.

სხვადასხვა უცხოური ვებგვერდის ცნობით, ჯიქია გორელთა შემადგენლობიდან უკვე ამოწერეს და შესაძლოა, რომ კარიერა ბოლნისის "სიონში" გააგრძელოს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# რევაზ თევდორაძე:

# გიორგი ლომაიას კონკურენტობა ჩემთვის დიდი პატივია


რავაზ თევდორაძე

ბაქოს "ინტერის" შემადგენლობაში 24 წლის მეკარის **რევაზ თევდორაძის** დებიუტი ოფიციალურად ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "ნარვას" წინააღმდეგ შედგა. ჩვენებურმა 90 წუთის განმავლობაში კარის მშრალად შენახვა შეძლო, **კახა ცხადაძის** გაწვრთნილმა გუნდმა კი 2:0 იმარჯვა და ორი მატჩის ჯამში (7:0) შემდეგ ეტაპზე დამაჯერებლად გააღწია.

თევდორაძეს ბაქოელებთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ამ ხნის განმავლობაში მას კონკურენცია ...თანამემამულესთან, **გიორგი ლომაიასთან** მოუწევს. როგორც თევდორაძე ამბობს, გიორგი ლომაიას კონკურენტობა მას პრობლემას არ უქმნის, პირიქით, ეს მისთვის სტიმული და დიდი პატივია.

*"მთელი ბავშვობა გიორგი ლომაიას თამაშებს ვუცქერდი და ახლა მისი კონკურენტობა ჩემთვის დიდი პატივია. მის გვერდით ბევრს ვისწავლი და პროფესიულად გავიზრდები. მიხარია, ქართველების გვერდით რომ ვთამაშობ".*

**მაგდა კლდიაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

# სამსაჯო განყოფილება განცხადება

**სეზონის წინ მოსამზადებელი პერიოდი გახურდა და გუნდები საკონტროლო მატჩებს ერთმანეთის მიყოლებით ატარებენ. ცხადია, ამდენ შეხვედრას მსაჯებიც სჭირდება და კლუბები მათ გარკვეული გასამრჯელოს საფასურად ქირაობენ. ზაფხულში უშემოსავლოდ დარჩენილი არბიტრებიც ამ შემოთავაზებას სიამოვნებით თანხმდებიან.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელობა იმით არის უკმაყოფილო, რომ თურმე, მათ კლუბები მსაჯებზე არაფერს ეკითხებიან და კომიტეტის სახელით საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

*"ბოლო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ასეთი ცენტრალიზაცია უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების მატჩებზე მსაჯების „დანიშვნა" მოხდა სფფ-ს სამსაჯო განყოფილების გვერდის ავლით, რაც სფფ-ს სამსაჯო კომიტეტის და განყოფილების წესდების მიხედვით დაუშვებელია. ზოგიერთი კლუბი ან თვითონ უკავშირდებოდა მსაჯებს ან მიმართავდა რეგიონალურ ფეხბურთის ფედერაციებს.*

*უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებს შევახსენებთ პროცედურას, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი მონაწილეობით საკონტროლო ამხანაგურ თამაშებზე მსაჯების დანიშვნა: მატჩის ორგანიზატორმა უმაღლესი ან პირველი ლიგის კლუბმა წინასწარ ( მინიმუმ ერთი დღით ადრე) უნდა მიმართოს სფფ-ს სამსაჯო განყოფილებას დაგეგმილი ამხანაგური თამაშის შესახებ ინფორმაციით, რათა სამსაჯო განყოფილებამ თამაშზე შესაბამისი კვალიფიკაციის მსაჯები მიავლინოს.*

*რეგიონალური ლიგების კლუბებმა უნდა მიმართონ რეგიონალური ფედერაციების სამსაჯო განყოფილებებს, რომელთა პრეროგატივაც არის ამგვარ მატჩებზე მსაჯების დანიშვნა.*

*მსაჯების მიმართ, რომლებიც იმსაჯებენ ამხანაგურ მატჩებს უმაღლესი ან პირველი ლიგის კლუბების მონაწილეობით ზემოთ აღნიშნული პროცედურის გვერდის ავლით, გამოყენებული იქნება დისციპლინარული სანქციები'.*

გასაგებია, კორდინაციის დაცვა და მსგავსი რამ, მაგრამ გაუგებარია – ასეთი ცენტრალიზაცია როდის შემდეგ დაკანონდა, ან რა აუცილებელია და რა შუაშია სამსაჯო განყოფილება?

**მერაბ მამულაშვილი**




## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ბიბლიოთეკა

# შო, შეტენე ერთი გოლი ჩვენებურად!..

**გაგრძელება. დასაწყისი: „ლელო" N 110 (13716)**

შოტლანდიაში ჩემს გარდა კიდევ ორი ქართველი თამაშობდა, — **გიორგი ნემსაძე** და **ზურა ხიზანიშვილი**. ისინი „დანდის" ფეხბურთელები იყვნენ. მე და **„ნემსა"** ბავშვობიდან ვძმაკაცობთ, ის ჩემი **გიორგუნას** ნათლიაცაა, **„ხიზანა"** კი ჩემზე რვა წლით უმცროსია და მას მოგვიანებით, სწორედ შოტლანდიაში ერთად თამაშისას დავუძმაკაცდი. „დანდიში" „ხიზანა" ძალიან გამორჩეული იყო. შოტლანდიაში წლის საუკეთესო ახალგაზრდადაც აღიარეს და „რეინჯერსმაც" დაადგა თვალი. თანაც, „ხიზანას" „დანდისთან" კონტრაქტი უმთავრდებოდა, თავისუფალი აგენტი ხდებოდა და მის გადმოსვლასაც ეს ფაქტი აადვილებდა.

როცა მისი „რეინჯერსში" გადმოსვლა საბოლოოდ გადაწყდა, მე უკვე თბილისში ვიყავი და შვებულებას საყვარელ ქალაქში ვატარებდი. მაინც ვვარჯიშობდი, რადგან როცა მოსამზადებელი პერიოდი დაიწყებოდა, დატვირთვებისთვის მზად ვყოფილიყავი. თბილისის „ლოკომოტივშიც" ვივარჯიშე, რომლის მთავარი მწვრთნელი იმ დროისთვის **რეზი** იყო.

გამგზავრებამდე ორი დღით ადრე ერთ-ერთ ვარჯიშზე მარჯვენა მუხლი ამტკივდა, ვერ გავიგე, რისი ბრალი იყო. ტკივილი არა და არ მიცხრებოდა და „რეინჯერსშიც" მტკივანი მუხლით დავბრუნდი. ფაქტობრივად, მთელი მოსამზადებელი პერიოდი გამიცდა. ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში კი კუნთიც დამეჭიმა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში „კოპენჰაგენთან" ვერ ვითამაშე. „რეინჯერსმა" შინ ვერ დაამარცხა დანიის ჩემპიონი, თამაში — 1:1-ით დასრულდა. მეტოქე საკმაოდ კარგად ორგანიზებული და მომზადებული გუნდი გამოდგა. ძალიან მინდოდა საპასუხო მატჩში თამაში და მტკივან მუხლს განსაკუთრებულად ვუფრთხილდებოდი. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ დანიაში მეთამაშა, მოგვეგო და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოგვეპოვებინა.

მუხლი ისე შევამზადე, რომ თამაშის საშუალებას მაძლევდა და გუნდს „კოპენჰაგენში" გავყევი. მატჩის წინ, გასახდელში, ნამდვილი **ჯეიმს ბონდი,** სერ **შონ კონერი** შემოვიდა (ის ხომ „რეინჯერსის" დიდი გულშემატკივარია და დანიაშიც ჩვენ საქომაგოდ ჩამოვიდა). გამარჯვება გვისურვა, თუმცა მისი ეს ჟესტი მაინცდამაინც არ მესიამოვნა, რადგან მახსოვდა, ერთი წლის წინ, „კოპენჰაგენთან" მატჩამდე, უეფას თასზე პრალაში, - „ჟიუკოვთან" დავმარცხდით. შონ კონერი მაშინაც მოვიდა ჩვენთან მატჩის წინ და ის შეხვედრა 2:0-ით წავაგეთ. ერთი სიტყვით, ცრურწმენამ შემიპყრო, ვაითუ ცუდი ფეხი აქვს და ახლაც წავაგოთ-მეთქი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მოსვლა ყველას უზომოდ გაგვიხარდა, რადგან ჰოლივუდის ცოცხალი ლეგენდის ნახვა ხშირად არ გვიწევს... სათითაოდ მივედით და მივესალმეთ, მანაც თავაზიანად მოგვიკითხა და წარმატება გვისურვა. **რონალდ დე ბურმა** კი თავი გამოიჩინა და ბოლო ფილმის შესახებ დაუწყო ლაპარაკი...

რონალდს ეტყობოდა, რომ ფილმით მოხიბლული არ იყო და პირდაპირ აჯახა, — ბევრი ვერაფერი იყოო... და საერთოდაც, გულახდილად რომ გითხრათ „შაით"-ო, რაც სუფთა შოტლანდიურად „განავალს" ნიშნავს. ამ სიტყვებმა ყველა გაგვაშეშა და დაგვაბნია. მართალია დე ბური მას იცნობდა და მანამდე რამდენჯერმე მეგობრულადაც უსაუბრია მასთან, მაგრამ მაინც ასეთ კომენტარს არავინ ელოდა! უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ზოგმა გასახდელი დატოვა, ზოგმა დაბნეულობისგან ჩანთებში დაიწყო ქექვა... მე კი, არც ვაცალე არავის და პირდაპირ „ჯეიმს ბონდს" მივმართე, რა თქმა უნდა, ფეხზე ადგომით, — სერ შონ, თქვენ თუ ნახეთ რონალდ დე ბურის ბოლო ჩატარებული მატჩი-მეთქი?.. გამომხედა და მიპასუხა: — არა, ნეტავ როგორ ითამაშაო? მე, რა თქმა უნდა, მდელი ძალღონე მოვიკრიბე, რომ შოტლანდიური აქცენტით მეპასუხე: „შაით!".. განავალს რომ ფეხები გამოაბათ, ისეთი იყო-მეთქი... ყველა ერთხმად ახარხარდა, უხერხულობა უცებ განიმუხტა, გაქრა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ხოლო სერ შონმა, ჩემს ამ ხუმრობას დაუმატა: — მიუხედავად იმისა, რომ რონალდს ფილმი არ მოეწონა, მან 60 მილიონი მაინც მომიტანა, არც ამერიკელებისთვის წარმატების მთავარი საზომიაო...

პირველ ტაიმში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მეორე ტაიმში კი **მოლსმა** თერთმეტმეტრიანი მოიპოვა და **არტეტას** ზუსტი დარტყმით დავწინაურდით. ამას ის ოცწუთიანი მონაკვეთი მოჰყვა, როცა „კოპენჰაგენმა" ძალიან შემოგვიტია... ბურთს ვერ ვიჭერდით, თამაში დანის ჩემპიონის კარნახით წავიდა და ანგარიში გაგვითანაბრეს. გოლით კიდევ უფრო შეგულიანებულ „კოპენჰაგენს" მაყურებელიც აჰყვა და მეტოქის შეჩერება კიდევ უფრო გაგვიჭირდა. ეს ყველაფერი კარგს არაფერს გვიქადდა, **მაკლიშმა** მარცხენა გარემარბის პოზიციიდან თავდასხმაში გადამწია. ამ დროს ჩვენ აუტი მოვიპოვეთ. **მაიკლ ბოლმა** ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, მოგერიებული ბურთი **კრისტიან ნერლინგერმა** „კოპენჰაგენის" საჯარიმოში დააბრუნა, კარიდან 6-7 მეტრში ვიდექი და, როგორც კი ნერლინგერი ბურთს შეეხო, — მივხვდი, საგოლე შანსი მეძლეოდა, ნახევარბრუნით და ერთი შეხებით ბურთი კარში გადავგზავნე... GOAL! GOAL! GOAL! ეფექტური და ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე! ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, არა მხოლოდ ჩემს შოტლანდიურ კარიერაში, არამედ ამ გოლით ჩემპიონთა ლიგაში გავედით!.. „რეინჯერსი" და ჩვენი გულშემატკივრები ისეთი გახარებულნი იყვნენ, აეროპორტამდე ლამის ხელში აყვანილი მიგვიყვანეს. მე კი, ზედმეტი ცრურწმენისთვის, გულში ბოდიშებს ვუხდიდი ჰოლივუდის ლეგენდას, სერ შონს კონერს..


შოთა არველაძე (მარცხნივ) და დიკ ადვოკაატი

გაგრძელება იქნება

● სატრანსფერო საგა



ტიაგო სილვა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი ოფიციალურად ჯერ კიდევ "მილანის' ფეხბურთელები არიან

# მიდი და გაიგე...
## პრეზიდენტი ადასტურებს, აგენტი უარყოფს

გრძელდება სატრანსფერო საგა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და **ტიაგო სილვას** "მილანიდან" პსჟ-ში გადაბარგებასთან დაკავშირებით. გუშინ, ფრანგები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ გარიგება უკვე შედგა და მხოლოდ ფორმალობები დარჩა – გვიანობამდე, ამ ამბავს იტალიელები უარყოფდნენ, მაგრამ შემდეგ, თვითონ **სილვიო ბერლუსკონიმ** განაცხადა, რომ ორი წამყვანი ფეხბურთელი მართლაც გაუშვა ფრანგულ გუნდში. არაა გამორიცხული, რომ სილვიოს კომენტარი ჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფი იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, რთულია არ ენდო ისეთ ავტორიტეტულ გამოცემებს, როგორებიც "გაძეტა დელო სპორტი" და "კორიერე დელო სპორტი' არიან:

"დიახ, ჩვენ გავყიდეთ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ტიაგო სილვა, რომელთა სანაცვლოდაც 62 მილიონ ევროს ავიღებთ. თუ მათ კონტრაქტებს გავითვალისწინებთ, 150 მილიონი ევრო დავზოგეთ, რაც კოლოსალური თანხაა და ამაზე უარს უბრალოდ ვერ ვიტყოდით. ამ ფულით, გუნდის განვითარების ახალ ეტაპზე აყვანა შეიძლება და ამაში მალე დარწმუნდებით. იმედი მაქვს, გულშემატკივრები ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდებიან".

აი, ასეთი კომენტარი გააკეთა სილვიო ბერლუსკონიმ და თითქოს ყველა კითხვას გაეცა პასუხი; მაგრამ, შესაძლოა, არც მთლად მასე უნდა იყოს საქმე – მოვუსმინოთ ზლატან იბრაჰიმოვიჩის პირად აგენტ **მინო რიოლას**: "იბრაჰიმოვიჩი პსჟ-სთან ისე ახლოა, როგორც ამერიკა ჩინეთთან. ჯერ მხოლოდ მოლაპარაკება მიმდინარეობს და როგორ დასრულდება, არავინ იცის. დასამალი არაა, რომ იბრა სეზონში 14 მილიონ ევროს ითხოვს და ჯერ-ჯერობით, ფრანგები ამ პირობას არ თანხმდებიან. მოლაპარაკების შემდეგი რაუნდი უახლოეს დღეებში გაიმართება და ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს".

● სავარაუდო ტრანსფერი

# დესტროს გზაც რომში მიდის

**მატია დესტროს** გადაბირება რომ არაერთ იტალიურ გრანდს სურს, არაერთხელ დაგვიწერია და ამ თემას, კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ. ახალგაზრდა ფირვარდი "ჯენოას" საკუთრებაშია და შესაბამისად, მსურველები სწორედ გენუელებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. აქამდე, ყველაზე მეტად "იუვენტუსის" მესვეურები აქტიურობდნენ, ბოლო პერიოდში კი წინა პლანზე "რომამ" წამოიწია. "გაძეტა დელო სპორტის" მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მატია მომდევნო სეზონიდან სწორედ "ჯალოროსიში" ისპარეზებს.

საქმე იმაშია, რომ "რომას" "ლივერპულში" მიმავალი **ფაბიო ბორინი** ტოვებს და მას ღირსეული შემცვლელი სჭირდება. თამაშის მანერით, დესტრო ძალიან ჰგავს ბორინის და როგორც ჩანს, დედაქალაქელებმაც ამ კრიტერიუმით იხელმძღვანელეს. მოკლედ, დესტრო ახლოა "ჯალოროსისთან" და ამას რომაელთა სპორტული დირექტირის, **ვალტერ საბატინის** სიტყვები ადასტურებს:

"მოლაპარაკება პრაქტიკულად დასრულდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დესტრო "რომაში" გააგრძელებს კარიერას. მატიას გადაბირება ისეთ გუნდებს სურდათ, როგორებიც "იუვენტუსი", "ინტერი" და "ნაპოლი" არიან, თუმცა ყველას ჩვენ ვაჯობეთ და საქმეც გაიჩარხა. უახლოეს დღეებში თავად ფეხბურთელს შევხვდები და კონტრაქტის დეტალებზე დავილაპარაკებთ – დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკება სრულ ჰარმონიაში ჩაივლის".



მატია დესტრო "ჯალოროსის" ღირსებას დაიცავს

● ტრანსფერი

# დი მიკელე მფრინავ ვირებში



დავიდე დი მიკელემ "ლეჩეს" თავი დააღწია და ისევ სერია A-ში ითამაშებს

გადაწყვეტილი ამბავია, რომ **დავიდე დი მიკელე** მომდევნო სეზონს "კიევოში" გაატარებს. 36 წლის ფორვარდი ბოლო წლებში "ლეჩეს" ღირსებას იცავდა, მაგრამ ეს გუნდის სერია B-ში დაქვეითდა და წამყვან ფეხბურთელებსაც შეელია, მათ შორის - დი მიკელეს. დავიდემ ვერონელებთან 1+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჟურნალისტებთან საუბრისას, სიხარული არ დაუმალავს:

"ვერონელები ყველაზე მეტად იყვნენ ჩემით დაინტერესებულნი და ისე მოვაწერე ხელშეკრულებას ხელი, რომ ბევრი არც მიფიქრია. სიამოვნებით ვითამაშებ "კიევოში", სადაც არაერთი მეგობარი დამხვდება. ვგონებ, მომდევნო სეზონს მაღალ დონეზე ჩავატარებთ და იქნებ, ევროსაგზურსაც გამოვკრათ ხელი. პირადად მე, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ".

● ფიორენტინა/უდინეზე

# ბორუცი ჰანდანოვიჩის შემცვლელად?
## არტური ფლორენციას ტოვებს

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **არტურ ბორუცს** არ სურს „ფიორენტინას" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და "უდინეზეში" გადასვლაზე უჭირავს თვალი – საქმე იმაშია, რომ რამდენიმე დღის წინ, ფლორენციელებმა იტალიის ნაკრების კიპერი **ემილიანო ვივიანო** დაიმატეს, უდინური გუნდი კი **სამირ ჰანდანოვიჩმა** დატოვა. გამომდინარე ზემოთქმულიდან, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რატომ მიუწევს პოლონელს გული ფლორენციიდან უდინეში. ფრიულელებმა თავადაც გამოთქვეს ბორუცის დამატების სურვილი, მაგრამ "ფიორენტინას" მესვეურები არტურის იოლად გაშვებას არ აპირებენ და მასში 5 მილიონ ევროს ითხოვენ. ჯერჯერობით უცნობია, გადაიხდიან თუ არა უდინელები ამ თანხას, მაგრამ გარიგება სავარაუდოდ შედგება. ანუ, შესაძლოა თანხა უფრო ნაკლები იყოს, მაგრამ წესით და რიგით, შეთანხმებას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფლორენციელებმა ემილიანო ვივიანოს დუბლიორის ძიება დაიწყეს და „ლაციოს" სათადარიგო მეკარეს, **ალბანო ბისარის** დაადგეს თვალი.

ერთი სიტყვით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, არტურ ბორუცი დატოვებს "ფიორენტინას" და ან "უდინეზეში" გადავა, ანაც საერთოდ დატოვებს იტალიას – ამის თქმის საფუძველს თავად არტურის სიტყვები გვაძლევს: "უდინური გუნდი მთავარი კიპერის გარეშე დარჩა და თუ სამირ ჰანდანოვიჩის ადგილს დავიკავებ, ძალიან გამიხარდება. "უდინეზე" ჩემპიონთა ლიგაში ისპარეზებს, ამ ტურნირზე თამაში კი ნებისმიერი ფეხბურთელის სურვილია. თუ ეს ტრანსფერი არ შედგა, მაშინ იტალიას დავტოვებ და კარიერას სხვა ქვეყანაში გავაგრძელებ; აქაური სკანდალები ისედაც მომბეზრდა და სიმართლე გითხრათ, მოტივაციასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შემექმნა. ვნახოთ, ჩემი ამბავი ალბათ ივლისის მეორე ნახევარში გაირკვევა".


არტურ ბორუცს ან "უდინეზეში" უნდა, ან იტალიის ფარგლებს გარეთ

● კალიარი

# ასტორი სარდინიაზე რჩება
## მთავარი ფული არაა

გადაწყვეტილი ამბავია, რომ **დავიდე ასტორი** "კალიარიში" დარჩება და მომდევნო სეზონსაც სარდინიულ გუნდში გაატარებს. არადა, 25 წლის მცველის გადაბირება მოსკოვის "სპარტაკს" სურდა და ერთი ხანობა, ეს საქმე გაჩარხულადაც ითვლებოდა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, მოლაპარაკება ჯერ კიდევ მისაყვანი იყო ბოლომდე და სწორედ იმ ბოლოში მოხდა რაღაც ისეთი, რამაც მცველს აზრი შეაცვლევინა – თუ რა მოხდა ასეთი, ამაზე თავად ფეხბურთელი საუბრობს:

"მოსკოველებმა ფანტასტიკური პირობები შემომთავაზეს და გადაწყვეტილებაც უკვე მიღებული მქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში "კალიარის" პრეზიდენტთან შეხვედრა განვიზრახე და იქ შეიცვალა ყველაფერი. მასიმო ჩელინომ სახლში დამპატიჟა, სადაც ოჯახურ ატმოსფეროში გავცვალეთ აზრები. მან არჩევანის თავისუფლება მომცა და იქვე დაამატა, რომ მისი სურვილი იყო, "კალიარიში" დავრჩენილიყავი, რადგან გუნდისთვის კიდევ ბევრი სარგებლის მოტანა შემიძლია. მეტიც, ჩელინოს თქმით, მთლიანად იტალიურ ფეხბურთს სჭირდება ჩემი სამსახური და გამომდინარე აქედან, ჯობდა რუსეთში წასვლაზე უიარი მეთქვა – ამ სიტყვებმა ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია და მივხვდი, რომ სარდინიაზე უნდა დავრჩენილიყავი. ფული არ არის მთავარი ფასეულობა და ვფიქრობ, ამ ნაბიჯით ეს კიდევ ერთხელ დავამტკიცე".

● პალერმო




# ძამპარინიმ ტიფოზები დაამშვიდა

"პალერმოს" მესვეურები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მაინცდამაინც არ აქტიურობენ, რამაც სიცილიელ გულშემატკივართა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ტიფოზებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს კლუბის მესვეურებს და ისინი უმოქმედობაში დაადანაშაულეს. "პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** ქომაგებს დამშვიდებისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ ახალ სეზონში გუნდი აუცილებლად იბრძოლებს მაღალი მიზნებისთვის. ამასთან, დაჰპირდა მათ, რომ სულ მალე სატრანსფერო ბაზარზეც გააქტიურდება:

„ტიფოზთა ნაწილი უკმაყოფილოა იმით, რომ არ ვაქტიურობთ და ძირითადად წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებით ვართ დაკავებულნი. დამიჯერეთ, ამას აქვს თავისი ახსნა და ეს ახალ მთავარ მწვრთნელს, ჯუზეპე სანინოს უკავშირდება. მასთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე არაა საჭირო ფეხბურთელების გადაბირება. პრიორიტეტული მიზანი გუნდის ერთ მუშტად შეკვრა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაა, რაც ძალიან კარგად გამოგვდის. გუნდში ერთსულოვნებაა და სწორედ ეს არის წარმატების საწინდარი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელების გადაბირებაზე უარს ვიტყვით – ჯუზეპე სანვრთნელი პროცესის პირველ ეტაპს ძლიერი და სუსტი მხარეების განსაჭვრეტად გამოიყენებს და რგოლებსაც ამის მიხედვით, მიზანმიმართულად გავაძლიერებთ".

გვერდი მოამზადა



უცხოური ფეხბურთი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ნევილი: კაგავას შეუძლია


გარი ნევილი შინჯი კაგავას შესაძლებლობებში დარწმუნებულია

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი **გარი ნევილი** ამჟამად ინგლისის ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთ წევრია. მართალია, მას "ეშმაკებთან" პირდაპირი შეხება აღარ აქვს, მაგრამ "ოლდ ტრეფორდზე" გატარებული 19 წელიწადი მას სრულ უფლებას აძლევს, რომ მანკუნიანელთა ბანაკში მომხდარ ცვლილებებზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს. როგორც წესი, სერ **ალექს ფერგიუსონის** გადაწყვეტილებებს ის ნაკლებად აკრიტიკებს ხოლმე. ასეა ამჯერადაც. ნევილს ღრმად სჯერა, რომ **შინჯი კაგავა** "იუნაიტედს" ერთი-ორად გააძლიერებს. *"სერ ალექსი, როგორც წესი, ფეხბურთელებს იქამდე ყიდულობს, ვიდრე სეზონის წინა მოსამზადებელი ეტაპი გახურდება. ამით ახალწვეულებს ეძლევათ საშუალება, პარტნიორებთან თამაშს შედარებით იოლად აუღონ ალღო. პირობას გაძლევთ, იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ფერგიუსონის გუნდს ახლა შეუერთდნენ, ზაფხულის ბოლოს ექნებათ შეგრძნება, რომ "იუნაიტედში" უკვე წლები აქვთ გატარებული. ალბათ გაზეთებში ხშირად წაგიკითხავთ, როგორ წუწუნებენ ფეხბურთელები ახალ გარემოსთან ადაპტაციის პრობლემებზე. გარწმუნებთ, "მანჩესტერში" მსგავსი პრობლემა არასოდეს მდგარა. ფეხბურთელები და მენეჯერები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა დებიუტანტებს გაუიოლონ ეს პერიოდი. კაგავაზე იმის თქმა შემიძლია, რომ, წესით, ის ადვილად უნდა შეეგუოს ინგლისურ მანერას. მას ხომ აქამდე "დორტმუნდში" ორი ფანტასტიკური სეზონი აქვს გატარებული და დიდი მატჩების გამოცდილებაც უკვე აქვს. მისი თამაში ყოველთვის მხიბლავდა. განსაკუთრეით კარგი იყო ის "ბაიერნთან" მატჩში. კაგავა ერთ-ერთი ის ფეხბურთელია, ვისაც ძალუძს მივიდეს გუნდში და უმალ ლიდერობა იგდოს ხელთ. მას ისეთივე შთაბეჭდილება შეუძლია მოახდინოს გულშემატკივრებზე, როგორც ეს თავის დროზე ხავიერ ერნანდესმა და ოლეგუნარ სულშერმა გააკეთეს. შინჯის გულშემატკივრები იოლად შეიყვარებენ,"* – თქვა გარი ნევილმა.

## 25 მილიონი მოურაში?

"სანის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" ახლოსაა "სან პაულუს" 19 წლის შემტევი ნახევარმცველის **ლუკას მოურას** შეძენასთან. ბრაზილიელი ვუნდერკინდის შეძენას "ჩელსი" და "ინტერი" ცდილობდნენ, თუმცა ფეხბურთელში 25 მილიონი ფუნტის გადახდას მხოლოდ "იუნაიტედი" დათანხმდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

მანჩესტერ სიტი

# კოლაროვი მოლაპარაკებას ინწყებს


ალექსანდარ კოლაროვი შეიძლება სიტიდან წავიდეს

"მანჩესტერ სიტის" სერბ მარცხენა მცველს, 26 წლის **ალექსანდარ კოლაროვს** კლუბის ხელმძღვანელობასთან დალაპარაკება სურს, სადაც ის იმის გარკვევას შეეცდება, რა გეგმები აქვთ "ქალაქელებს" მასთან დაკავშირებით. ფეხბურთელს **რობერტო მანჩინისთან** საუბრისასაც არაერთხელ დაუფიქსირებია, რომ იმედგაცრუებულია, "სიტის" ძირითადი შემადგენლობის წევრად რომ არ განიხილება. სერბმა 2011/12 წლების სეზონში პრემიერლიგაში მხოლოდ 12 მატჩი დაიწყო სასტარტო შემადგენლობაში. იტალიელი მწვრთნელი მას **გაელ კლიშის** ამჯობინებს. არადა, ორი წლის წინ "ლაციოდან" მისი გადაბირება მანკუნიანელებს 18 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. "სტარზსპორტის" ცნობით, თუკი მანჩინი მას გარანტიას არ მისცემს, რომ ასე აღარ გაგრძელდება, ის ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს. მსურველებს კოლაროვში 10 მილიონი ფუნტის (12,7 მლნ ევრო) გადახდა მოუწევთ. სერბით დაინტერესებულთა შორის დიდი ხანია ასახელებენ "მილანსა" და "იუვენტუსს".

კოლაროვის არ იყოს, ნორმალურად თამაში არ ღირსებია არც **კოლო ტურეს**. 31 წლის ცენტრალურ მცველს მხოლოდ მაშინ ანდობდნენ ადგილს ძირითადში, როცა მისი კონკურენტები ტრავმირებულები იყვნენ. ივუარელს "ეტიჰადიდან" წასვლა სურს. თურქული "ბურსასპორი" მას ძირითად შემადგენლობაში გარანტირებულ ადგილს სთავაზობს. "გარდიანის" ცნობით, "სიტი" ფეხბურთელს 6 მილიონ ფუნტად შეელევა. ცხადია, ტურეს ხელფასის რამდენჯერმე შემცირება მოუწევს. ამჟამად მისი ანაზღაურება კვირაში 90 ათასი ფუნტია, რასაც თურქები ნამდვილად ვერ გასწვდებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

დორტმუნდის ბორუსია

# ათიანი მარიოს ფრთებს შეასხამს?

## გიოტცე კლოპისთვის ახალწვეულივითაა

ევროპის ჩემპიონატის დროს არაერთხელ დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არ ათამაშებდა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** დორტმუნდის „ბორუსიას" 20 წლის ვარსკვლავ **მარიო გიოტცეს** თუნდაც შეცვლებზე. არ ვიცით, რა იქნებოდა სხვა შემთხვევაში (ეს მხოლოდ იოგის ეცოდინება), ფაქტი კი ის არის, რომ გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის უთამაშებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ გიოტცეს ბუნდესლიგის მეორე წრე გაუცდა. ზამთარში დაშავებულმა მარიომ გამოჯანმრთელება მხოლოდ სეზონის მიწურულსლა მოასწრო და ევროპის ჩემპიონატს სათამაშო პრაქტიკის გარეშე და შესაბამისად, ფორმაში არმყოფი შეხვდა. თუმცა ლიოვმა გიოტცე პოლონეთსა და უკრაინაში მაინც იახლა და ამის გამო მარიოს შვებულებაც გაუხანგრძლივდა.

## გიოტცე მოგვიანებით შეუერთდება

22 ივლისს გერმანიის ჩემპიონები ბად რაგაცისკენ აიღებენ გეზს, სადაც ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობენ და გიოტცე გუნდს სწორედ ამ დროისთვის შეუერთდება. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ მარიო შვებულებიდან ადრე უნდა დაბრუნებულიყო, რადგან ევროპის ჩემპიონატზე მაინცდამაინც არ დაღლილა, მაგრამ „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** მწვრთნელ **ირგენ კლოპთან** შეთანხმებით გადაწყვიტა, გიოტცესთვისაც სრულფასოვანი შვებულება მიეცა – ბიჭმა ურთულესი თვეები გადაიტანა და კარგი დასვენება მხოლოდ წაადგებაო. ივლისის მიწურულისთვის კი დასვენებულიც იქნება და მზადებას სრული დატვირთვებით შეუდგება, რადგან გიოტცე „დორტმუნდისთვის" ისედაც უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და მით უმეტეს მას მერე, რაც


მარიო გიოტცე ახალ სეზონში 10 ნომერი იქნება

„ბორუსიამ" **შინჯი კაგავა** გაყიდა (იაპონელი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა), მარიოს როლი და მნიშვნელობა BVB-ში ფაქტობრივად გაორმაგდა.

კლოპის თქმით, მარიო „ბორუსიასთვის" ახალწვეულივითაა, რადგან დორტმუნდელებმა გასული სეზონის მეორე წრე მის გარეშე ჩაატარეს და იურგენი დარწმუნებულია იმაში, რომ გიოტცე ბუნდესლიგის პირველივე ტურებში ძველებურად ათამაშდება.

*„ყველა ტესტმატჩში 90 წუთს არ ვათამაშებ, რადგან არ მინდა, რომ გადაიწვას. ზოგადად, რაკი მარიო ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მას უდიდესი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. მერე რა, რომ ჩამოყალიბებული ვარსკვლავია – საწყის ეტაპზე ყველა მატჩში მაქსიმალურად არ უნდა დავტვირთოთ. ექვსი თვეა, ფეხბურთი ხეირიანად არ უთამაშია და მასთან მიმართებაში სიფრთხილე გვმართებს. პირადად მე ძალიან არ მინდა, რომ გიოტცეს ტრავმები დასჩემდეს,"* - აცხადებს კლოპი.

მარიოს გახარებას და მისთვის მოტივაციის მომატებას ემსახურება ის ფაქტიც, რომ კლოპმა მას ახალი სეზონისთვის ათი ნომერი შეუნახა. ამრიგად, მარიო უკვე „ათიანია", რაც მოტივაციასთან ერთად მის პასუხისმგებლობასაც ზრდის. მისი ყოფილი, მე-11 ნომრით კი დორტმუნდელთა ახალწვეული **მარკო როისი** ითამაშებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ჰამით ალთინთოპმა რეალი დატოვა

# ახლა უკვე ოფიციალურად: ჰამითი გალათასარაიშია!

## რეალმა თურქი 3.5 მილიონ ევროდ გაყიდა

მადრიდის „რეალისა" და თურქეთის ნაკრების ფეხბურთელი **ჰამით ალთინთოპი** კარიერას სტამბულის „გალათასარაიში" გააგრძელებს – ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დადასტურდა. ტრანსფერის შესახებ „რეალმა" და „გალათასარაიმ" გვამცნეს. ამრიგად, 29 წლის ჰამითმა „რეალში" მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა და უმეტესად სათადარიგოთა სკამს ხეხავდა.

თურქეთის ჩემპიონის ხელმძღვანელებმა ტყუპისცალს კონტრაქტი 2016 წლამდე გაუფორმეს. ჩვენი თურქი კოლეგების ცნობით, „გალათასარაიმ" „რეალს" ჰამითის სანაცვლოდ 3.5 მილიონი ევრო გადაუხადა.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გასული სეზონის დასრულებისთანავე გაირკვა, ჰამით ალთინთოფი **ჟოზე მოურინიოს** გეგმებში რომ აღარ ჯდებოდა. გერმანიაში, კერძოდ კი გელზენკირხენში დაბადებულმა და გაზრდილმა თურქმა „სამეფო გუნდის" ფორმა პრიმერადივიზიონის მხოლოდ ხუთ შეხვედრაში მოირგო.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## პარდნა გრძელდება

ოდესღაც ინგლისურ პრემიერლიგაში "პორტსმუთი" საშუალო გაქანების კლუბად მიიჩნეოდა. ერთ დღეს მისი მართვის სათავეები ახალგაზრდა ებრაელმა მილიარდერმა **არკადი გაიდამაკმა** ჩაიგდო ხელთ და იმის მაგივრად, რომ ზღვისპირელთა აღორძინებას ჩასდგომოდა სათავეში, მალე მიხვდა, რომ სათამაშო მობეზრდა და ის უპატრონო ნივთივით მიაგდო. მას მერე "პომპების" დაცემა გრძელდება. შარშან "პორტსმუთს" ფინანსური პრობლემების გამო 10 ქულა დააკლეს. კლუბმა ამ დარტყმას ვერ გაუძლო და რანგით მესამე ლიგაში გავარდა. სადაც ის ჩემპიონატს შიდა ადმინისტრაციის მმართველობაში გადასული და... მინუს 10 ქულით ხვდება. საფეხბურთო ლიგამ ახალი სანქცია მას იმავე მიზეზით დააკისრა. *"შარშან დაკლებულმა ქულებმა უმთავრესი როლი ითამაშა ჩემპიონშიპიდან ჩვენს დაქვეითებაში. ლიგამ ნელსაც არ დაგვინდო. ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება უსამართლოა,"* – ესლა აღმოხდა "პორტსმუთის" ადმინისტრატორ **ტრევორ ბერჩს**.



## ვან დერ ვაარტი რჩება

"ტოტენჰემის" 29 წლის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** ჭორი უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ის "უაით ჰართ ლეინის" დატოვებას გეგმავდეს. გერმანული წყაროები მისით დაინტერესებულ კლუბებს შორის "ჰამბურგსა" და "შალკეს" ასახელებდნენ, კლუბებს, სადაც შეიძლებოდა ფეხბურთელს კარიერა გაეგრძელებინა. *"უბრალოდ დაუჯერებელია, საიდან მოაქვთ, რომ მე პრემიერლიგიდან წასვლა მსურს. თანაც ხან სად მიკრავენ თავს და ხან სად. სიტყვაზე მენდეთ, ეს მხოლოდ ხმებია და არაფერი სხვა. მომდევნო სეზონს ნამდვილად "ტოტენჰემში" ჩავატარებ,"* – აცხადებს ჰოლანდიელი.

## ოუენი წასვლას არ გამორიცხავს



ინგლისის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა, 32 წლის **მაიკლ ოუენმა** "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მხოლოდ პრემიერლიგის კლუბების წინადადებებს განიხილავდა. როგორც ჩანს, ელიტური ლიგის წარმომადგენლებს ტრავმებით დატანჯული ფეხბურთელის გადაბირება არ აინტერესებთ. *"თუკი შესაბამისი წინადადება არ მექნება, დაე იყოს ასე, კარიერას დავასრულებ. ამ ეტაპზე ისეთი გუნდი მჭირდება, სადაც თამაშით სიამოვნებას მივიღებ. ამით ჩემპიონშიპის დაკნინება არც მიფიქრია, მაგრამ დივიზიონით ქვემოთ თამაშს არასოდეს დავთანხმდები,"* – დაწერა ფეხბურთელმა "ტვიტერზე".

**ლევან ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი. ხუან მანუელ მატა

# მატას ცხოვრების სამი ისტორია

II ნაწილი

## ისტორია №2

როცა მატა ოვიედოს კოლეჯში სწავლობდა (ამ დროს 13 წლისა იყო), ის "რადიო ასტურიის" კონკურსში მონაწილეობისთვის მოემზადა. მას 200 ზოგადი შეკითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. საბოლოოდ ხუანი შეჯიბრების გამარჯვებული გახდა და ჯილდოდ ევროპაში მოგზაურობა მოიგო. მან მეგობრებთან ერთად გერმანია, ავსტრია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი დაათვალიერა. მეორედ მსგავს ტურნეში ის ესპანეთის 16-წლამდელთა ნაკრებთან ერთად გაემგზავრა, სადაც ის 14 წლისა მიიწვიეს. *"იმედი მაქვს, რომ შენ ისეთივე ცუდი ფეხბურთელი არ ხარ, როგორც მამაშენი,"* – განუცხადა **ხინეს მელენდესმა** მატას, როცა ის შეკრებაზე გამოცხადდა. მელენდესი მამამისს კარგად იცნობდა.

ხუანმა მშობლების სახლი 15 წლისამ დატოვა, რათა მადრიდის "რეალის" კანტერას შეერთებოდა. ეს 2003 წელს მოხდა. მას რამდენიმე წინადადება ჰქონდა, მაგრამ არჩევანი საბოლოოდ დედაქალაქის სასარგებლოდ გააკეთა. "ხუანინი" გუნდში **ალბერტო ბუენოსთან** და **ადრიან გონსალესთან** (**მიჩელის** ვაჟი) ერთად მოხვდა.

2005/06 წლების სეზონში მატა უკვე 18-წლამდელთა გუნდში ირიცხებოდა. ფეხბურთელმა სეზონის განმავლობაში 18 გოლი ჩემპიონატში გაიტანა და 3 თასის გათამაშებაში. მისმა გუნდმა ორივე ტიტული მოიგო. ტურნირის ბოლოს ხუანი, როგორც ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ფეხბურთელი, "ფუტბოლ დრაფტის" პრიზით დაჯილდოვდა. მასთან ერთად გუნდში იყვნენ ბუენო, **გრანერო, მოსკერა, ველაიოსი, ადანი,** ძმები **კალეხონები** და სხვები. დაჯილდოება "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოეწყო. იმ დღეს გულშემატკივრები "რეალში" **ზინედინ ზიდანის** უკანასკნელ მატჩს ელოდნენ. ფანებს იმისი იმედიც ჰქონდათ, რომ ეს პატარა ბიჭები მალე პირველ გუნდში გადავიდოდნენ. თუმცა ზოგიერთი დღემდე სარეზერვო გუნდშია, სხვები კი მაშინვე წავიდნენ, როგორც კი ამის საშუალება მიეცათ.

მომდევნო წელს მიჩელმა მატა სეგუნდა დივიზიონში მოთამაშე "კასტილიაში" მიიწვია, სადაც ის გუნდის ლიდერად გადაიქცა. ხუანი თავდასხმაში **ნეგრედოსთან** ერთად თამაშობდა და სულ 10 გოლი შეაგდო. ის იმ წელს "რეალის" საჩემპიონთალიგო განაცხადშიც კი მოხვდა და გუნდთან ერთად 2006 წლის 6 დეკემბერს კიევში გაემგზავრა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ მატა უკვე პრიმერას დონის ფეხბურთელი იყო - ტექნიკური, როგორც ნაღდი თავდამსხმელი, მიმწოლი, თავის თავში დაჯერებული, მაგრამ არა ეგოისტი. საქმეს სულ ცოტა აკლდა კონტრაქტამდე, მაგრამ... მას ხელთ ჰქონდა დოკუმენტი, რომლის თანახმად, 2007 წლის ზაფხულიდან ის თავისუფალი აგენტი გახდებოდა. *"არ ვიცი, რატომ მისცეს მას ასეთი საბუთი. მატამ სეზონი რეალ C-ში დაიწყო. მერე მე ის მეორე გუნდში გადმოვიყვანე. მითხრა კიდეც, რომ დარჩენა სურდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მამასთან სჭირდებოდა კონსულტაციის გავლა,"* – გაიხსენა მოგვიანებით მიჩელმა. "რეალმა" ფეხბურთელს კონტრაქტი კი შესთავაზა, მაგრამ მას ძირითადი გუნდის წევრად არ განიხილავდა და არც კი აძლევდა გარანტიას, რომ ოდესმე "დიდებთან" გადაიყვანდა. მისით ამ დროს "ბარსელონა" დაინტერესდა. მადრიდში მუდმივ მტერთან "თავდაუსხმელობის ხელშეკრულების" იმედი ჰქონდათ. ამ დროს განგაშის ზარი იქიდან გაისმა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. "ვალენსიამ" 19 წლის ბიჭს 6-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა.



ხუან მატა

### საინტერესო ფაქტი

[illegible] სპორტულმა დირექტორმა 2007 წლის ზაფხულზე თავდამსხმელთან კონტრაქტის დეტალები განიხილა და გარანტია მისცა, რომ ის ძირითადი გუნდის წევრი იქნებოდა და ამასთან, საჩემპიონთალიგო განაცხადშიც მოხვდებოდა. მან ფეხბურთელს ნამდვილი პროფესიული კონტრაქტი შესთავაზა. მატა შეეცადა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ გული სიხარულით ჰქონდა სავსე. თავდაპირველად **კიკე სანჩეს ფლორესი**, ოდესღაც "რეალის" კანტერის თავკაცი, ფეხბურთელს ხშირად ათამაშებდა, მაგრამ მხოლოდ შეცვლებზე. მის ნაცვლად მოსულმა **რონალდ კუმანმა** კი აქცენტი სწორედ მასზე გააკეთა და ხუანმაც ნდობა პირველივე შეხვედრებში გაამართლა.

## ისტორია №3

ხუანი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა ერთხელ ფოსტაში შევიდა. ერთ-ერთი იქაური თანამშრომელი მას სახეზე დააკვირდა და განუცხადა: *"შვილო, შენი სახე თითქოს მეცნობა"*. მატამ გაოცებისგან მხრები აიჩეჩა, თუმცა რამდენიმე წამში მსუბუქი თვითკმაყოფილი ტონით უპასუხა: *"შეიძლება, ქალბატონო, თუკი თქვენ ფეხბურთი გიყვართ და "ვალენსიას" უყურებთ ხოლმე"*. ქალბატონმა თავი გააქნია, *"არა, ჩემი შვილის მეგობარს მიგამსგავსე"*.

მას მერე დიდი დრო გავიდა. ის ნაკრებშიც გამოიძახეს, სადაც მან ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, მერე ევროპა მიაყოლა. მატა "ვალენსიიდან" 2011 წელს 26.7 მილიონ ევროდ "ჩელსიში" გადავიდა, სადაც პირველივე წელს ჯერ ინგლისის ასოციაციის თასი მოიგო, მერე კი ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვა. ახლა ხუანი ქუჩაში ალბათ ალარავის შეეშლება.

*მომზადებულია ესპანური მასალების მიხედვით*

ლივერპული

# როჯერსი მაქსის იტოვებს



მაქსი როდრიგესი ენფილდზე რჩება

"დეილი მეილის" ინფორმაციით, "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** არ აპირებს გუნდიდან **მაქსი როდრიგესის** გაშვებას. ამ განცხადების წინაპირობა გახდა ის, რომ არგენტინული "ოლდ ბოისის" ვებგვერდზე გაჩნდა ცნობა, რომ ისინი მაქსის ტრანსფერის ხორცშესასხმელად ყველაფერს გააკეთებდნენ, თუმცა ისინი იქვე აღიარებდნენ, რომ საქმეში ბოლო სიტყვა მერსისაიდელებს ეკუთვნოდათ. ალბათ გახსოვთ, რომ 2011/12 წლების სეზონის მიწურულს, როცა **კენი დალგლიშმა** სამომავლო გეგმები ჩამოაყალიბა, ერთ-ერთი სწორედ არგენტინელის ტრანსფერზე დაყენება იყო. "ენფილდიდან" წასვლაზე თავად მაქსიც ხშირად ლაპარაკობდა, რადგან ის სათამაშო პრაქტიკის სიმწირით იყო შეწუხებული. სულ მთელი წლის განმავლობაში მან 21 მატჩი ჩაატარა, მაგრამ რეზერვისტის კვალობაზე ძალიან ბევრი, 6 გოლი გაიტანა. აი, რას ამბობს ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი: *"ის განსაკუთრებული ფეხბურთელია და ნამდვილად შეუძლია გუნდისთვის სარგებლის მოტანა. ამას გარდა, მაქსი ზოგადად ქმნის ჩვენს ბანაკში დადებით აურას. ახალ "ლივერპულში" მის როლს ის სრულად მხოლოდ მაშინ გაიაზრებს, როცა იმ ფეხბურთს ნახავს, რომელიც მე მინდა, რომ ჩემმა გუნდმა ითამაშოს. ვიცი, შარშან რთული პერიოდი ჰქონდა. ამას გარდა მესმის, რომ მისი ოჯახისთვისაც გარკვეული პრობლემა იყო ამ ქვეყანაში ცხოვრება. სამომავლო გეგმებზე მასთან რამდენჯერმე ვილაპარაკე. მგონია, რომ ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ იოლად გავუგეთ. იმედი მაქვს, რომ მის საკითხს უახლოეს დღეებში დავუსვამთ წერტილს"*.

როჯერსს მაქსი როდრიგესის გარდა გუნდში **ჯო კოულის** ხელახალი ადაპტაციის იმედიც აქვს. საამისოდ მას ჩრდილო ამერიკაში დაგეგმილი ტურნე აქვს. კოული როჯერსს ჯერ კიდევ "ჩელსიში" თამაშის პერიოდიდან იცნობს. მართალია, მწვრთნელი შეგირდს ხუთი თითივით იცნობს, მაგრამ ის მაინც აცხადებს, რომ ჯოს ყველაფრის დამტკიცება თავიდან მოუწევს: *"უახლოეს მომავალში თითოეული ჩემი ფეხბურთელის შეფასება მომიწევს. მათ შორის კოულისაც. ამ ბიჭმა ნამდვილად იცის ფეხბურთის თამაში. თუკი წვრთნებისას ის კონკრეტულ სისტემას შეიმუშავებს, სამომავლოდ ნამდვილად წაადგება"*.

მოსაზრება

# ფაულერი: ენდი, დაივიწყე რამდენი ღირხარ!

"ლივერპულის" ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა **რობი ფაულერმა** "წითლების" შემტევ **ენდი კეროლს** ურჩია, რომ რთულ საკითხებს მარტივად შეხედოს და ნაკლებად იფიქროს იმაზე, თუ რა დაუჯდა თავის დროზე მერსისაიდულ კლუბს მისი ტრანსფერი.

- "ლივერპული" ძალიან დიდი კლუბია. ერთადერთი, რაც ენდის კრიზისიდან გამოიყვანს არის ის, რომ დაივიწყოს მისი სატრანსფერო ღირებულება და შეწყვიტოს ამით თავის ტანჯვა. ხომ დღესავით ნათელია, რომ თავად არ უთხოვია კლუბისთვის, მოდი, 35 მილიონად მიყიდეო. ფასზე "ნიუკასლი" და "ლივერპული" შეთანხმდნენ. ასე რომ, ფეხბურთელმა ეს ფიქრი თავიდან უნდა ამოიგდოს. წინა სეზონში ენდი ხანდახან ძალიან ბევრს ცდილობდა ზუსტად იმას, რომ მასში გადახდილი ფასი გაემართლებინა. არადა, საქმისადმი მარტივად მიდგომაა საჭირო. პირველ რიგში მოედანზე უფრო დაუნდობელი უნდა გახდეს და თუ საჭირო გახდა, საქმეში იდაყვებიც ჩართოს, ზუსტად ისე, როგორც ამას წლების განმავლობაში აკეთებდნენ საუკეთესო ინგლისელი თავდამსხმელები. ვიცი, რომ ევრო 2012-ზე ის მხოლოდ ერთხელ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ შვედებთან მატჩში ის ბრწყინვალე იყო და მეტოქის მცველებს დიდი პრობლემები შეუქმნა. ამას როცა ვუყურებდი, გამახსენდა, თუ როგორ თამაშობდა ის "ლივერპულში" სეზონის მიწურულს. მაშინ მეჩვენებოდა, რომ მას უფრო მეტად სწამდა საკუთარი ძალების.



ენდი კეროლს მისი სატრანსფერო ფასი მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად აწევს

ამბები



## არის პირველი ახალწვეული

"ლივერპულ ეხოს" ცნობით, გუშინ იტალიის ნაკრების 21 წლის თავდამსხმელი **ფაბიო ბორინი** ნისლიან ალბიონს ეწვია, რათა "ლივერპულის" ექიმების მეთვალყურეობით სამედიცინო შემოწმება გაიაროს და კლუბთან პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმოს. ინფორმაციას იტალიური პრესაც ადასტურებს და წერს, რომ "რომა" მერსისაიდელების გულუხვ წინადადებას, 12 მილიონ ფუნტს ჭოჭმანის გარეშე დათანხმდა. მოსალოდნელია, რომ ოფიციალურად ტრანსფერი მალე დადასტურდება.

## ევრო 2012 დოპინგის გარეშე

ევრო 2012-ის მიმდინარეობისას უეფას შესაბამისმა სამსახურმა დოპინგის რამდენიმე ასეული ტესტი აიღო და როგორც ირკვევა, არც ერთ მათგანზე დადებითი პასუხი არ მიუღია. დოპინგსინჯები კეთდებოდა როგორც ვარჯიშების წინ, ისე თამაშების დასრულების შემდეგაც. ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე თექვსმეტივე ნაკრების შემთხვევითი შერჩევის წესით გამოვლენილმა ათ-ათმა ფეხბურთელმა ჩააბარა სინჯი. დოპინგი არც მათში აღმოჩენილა. ტესტებს გამოცდილი გერმანელი, ფრანგი, სლოვაკი და მაკედონიელი სპეციალისტები ატარებდნენ ვარშავის სპორტის ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

## რედნაპმა ნოტინგემს უარი შეუთვალა



ჰარი რედნაპი

"ტოტენჰემის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** "ნოტინგემ ფორესტის" წინადადებაზე, კლუბთან 2-წლიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა, უარი თქვა. მოგეხსენებათ, "ფორესტი" რამდენიმე დღის წინ ქუვეითელმა ბიზნესმენმა **ფაზავ ალ-ჰაზაუიმ** შეიძინა, ვისაც დიდი ტრადიციების კლუბის აღორძინება განუზრახავს. პირველი, რაც მან კლუბში მოსვლის შემდეგ გააკეთა, გუნდის თავკაცის **სტივ კოტერილის** გათავისუფლება იყო.

## ადებაიორი გაირკვა

"მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** "ტოტენჰემიდან" წავიდა, რათა ორიოდე კვირაში უკან დაბრუნებულიყო. დიახ, 28 წლის ტოგოელმა წინა სეზონი "უაით ჰართ ლეინზე" იჯარით გაატარა და 17 გოლით ჩრდილოლონდონელთა საუკეთესო ბომბარდირი გახდა. "სქაი სპორტსის" მტკიცებით, კლუბებს შორის ყველაფერი შეთანხმებულია და აფრიკელი დედაქალაქელებს ისევ საიჯარო კონტრაქტით დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

### რუსეთის ნაკრები



ფაბიო კაპელო რუსეთის ნაკრებს ჩაიბარებს

# გადაწყდა: კაპელო რუსეთში!

## ორწლიანი კონტრაქტი და წელიწადში 10 მილიონი ევრო?

„სოვეტსკი სპორტის“ ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ რუსეთის ნაკრებს **ფაბიო კაპელო** ჩაიბარებს - ხსენებულმა გაზეთმა ეს ცნობა გუშინ გაავრცელა. 66 წლის უკვე ლეგენდარული იტალიელი სპეციალისტის დანიშვნა ოფიციალურად ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ „სოვეტსკი სპორტი“ ინფორმაციის წყაროსაც ასახელებს: კაპელოსთან შეთანხმება ამ გაზეთს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ნიკიტა სიმონიანმა** დაუდასტურა.

*„ფაბიო კაპელოსთან მოლარაკებები წარმატებით დასრულდა და იტალიელ მწვრთნელთან თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით. კაპელო თანახმაა, იმუშაოს და იცხოვროს რუსეთში. მას ისეთი არაფერი მოუთხოვია, რაზეც არ დავთანხმდებოდით,“* - განუცხადა სიმონიანმა „სოვეტსკი სპორტს“.

ჩვენი რუსი კოლეგების ცნობით, კაპელო რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომელსაც გახანგრძლივების პერსპექტივა ექნება. ფაბიოს ხელფასზე ოფიციალურად ჯერ არაფერი თქმულა, პრესის ინფორმაციით კი, იტალიელი წელიწადში 10 მილიონ ევროს აიღებს. შედარებისთვის, რუსეთის ნაკრების ყოფილი თავკაცის, **დიკ ადვოკაატის** წლიური ჯამაგირი 7 მილიონს შეადგენდა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ კაპელოს ერთ-ერთი ასისტენტი ან **იგორ შალიმოვი** იქნება, ანაც **დმიტრი ალენიჩევი**, რომელიც თავის დროზე „რომაში“ სწორედ იმ დროს თამაშობდა, როცა ამ იტალიურ კლუბს კაპელო წვრთნიდა.

### ბაიერნი

# რუმენიგემ ტონს აუწია: ტიტულების დროა!

## ზამერს ხავი მარტინესზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევია



ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე

ორი წელია, „ბაიერნს“ ტიტული არ მოუგია, რაც რეკორდმაისტერისთვის კატასტროფის ტოლფასია. მიუნხენური გრანდის გულშემატკივრებს და ხელმძღვანელებს ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული, ახლა კი იმავეს ფეხბურთელებისგანაც მოითხოვენ. „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ხმა აიმაღლა.

*„ზედიზედ ორ სეზონში ხელცარიელები დავრჩით და უტიტულობას სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს,* - აცხადებს 56 წლის კალე, - *არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს ყველაფერი ყველა ფეხბურთელს ზედმიწევნით ზუსტად ესმის და სწორედ მათ გასაგონად მინდა გავიმეორო: ტიტულების მოგების დროა! მოთამაშეების მონდომებაში ეჭვი რომ გვეპარება, იმიტომაც დავნიშნეთ მათიას ზამერი სპორტულ დირექტორად. ამ უკანასკნელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ფეხბურთელებმა ყველაფერი კარგად გაითავისონ.“*

როგორც ხედავთ, რუმენიგე ფეხბურთელების შემართებაზე ზრუნვას პირველ რიგში სწორედ **ზამერს** ავალებს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი საქმეს ძალიან კარგად შეუდგა. მათიასი „უნტერჰახინგთან“ ამხანაგური მატჩის დროს მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** გვერდით იჯდა და როგორც თამაშის დაწყებამდე, ისე შესვენებაზეც, „დონ იუპს“ გასახდელშიც შეჰყვა. ჰაინკესი ამის გამო დისკომფორტს არ განიცდის. პირიქით, ამბობს, მათიასთან აზრის გაცვლა აუცილებელიაო.

ზამერი ტრანსფერებზეც აქტიურად მუშაობს. როგორც იცით, „ბაიერნმა“ უკვე გადაიბირა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან **კლაუდიო პისარო, მარიო მანჯუკიჩი** და **დანტე**, თუმცა ბავარიელები ამ ტრანსფერებზე შეჩერებას არ აპირებენ.

*„სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს უნდა დაიხუროს და მანამდე ბევრი დრო გვაქვს. თუ ზამერი და ჰაინკესი იტყვიან, რომ შემადგენლობას გაძლიერება კიდევ სჭირდება, მზად ვართ, შესაძლებლობების ფარგლებში ვიმოქმედოთ,“* - ესეც რუმენიგეს სიტყვებია.

### უარი ხავი მარტინესისგან, მაგრამ ზამერი იმედს არ კარგავს

ერთ-ერთმა ყველაზე სასურველმა მოთამაშემ „ბაიერნს“ ფაქტობრივად უარი შეუთვალა – ბილბაოს „ატლეტიკისა“ და ესპანეთის ნაკრების 23 წლის ვარსკვლავმა **ხავი მარტინესმა** განაცხადა, „ბილბაოსთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე მაქვს გაფორმებული და მანამდე არსად წასვლას არ ვაპირებო. მიუხედავად ამისა, ზამერი 40 მილიონ ევროდ შეფასებული მარტინესის გადაბირების იმედს ჯერ მაინც არ კარგავს.

*„ჩვენ აუცილებლად გადავამოწმებთ, რამდენად შეესაბამება ეს განცხადება სიმართლეს,“* - თქვა გუშინ ბავარიელთა ახალმა სპორტულმა დირექტორმა, რომელიც იმედს იტოვებს, რომ ხავი მარტინესს ასეთი რამ არ უთქვამს. თუმცა ზამერმა იქვე დასძინა, რაც არ უნდა იყოს, „ბილბაო“ მარტინესში 40 მილიონ ევროს ითხოვს და ამდენის გადახდას ნაღდად არ ვაპირებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბასკებს დაკლება მოუწევთო.

### ბეკენბაუერი ხედირაზე ოცნებობს

ასეა თუ ისე, წყალი არ გაუვა იმას, რომ „ბაიერნს“ ნახევარდაცვის ცენტრში გაძლიერება სჭირდება. რეკორდმაისტერის საპატიო პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** „რეალისა“ და გერმანიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **სამი ხედირაზე** ოცნებობს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა და ბუნდესგუნდში ნაღდად საუკეთესო იყო.

*„სამი ხედირა არის ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის მზადაა, გუნდისთვის თავი გაწიროს. ასეთი ფეხბურთელები დღეს უდიდესი იშვიათობაა და ჩემი აზრით, ხედირა სწორედ ისეთი ფეხბურთელია, როგორიც „ბაიერნს“ ახლა ყველაზე მეტად სჭირდება,* - უთხრა კაიზერ-ფრანცმა „მიუნხენერ თაგესცაითუნგს“ და დასძინა, - *თუმცა მისი ან მისი დარი ფეხბურთელის ყიდვა ძალიან ძნელია.“*

### ტიტანი

# კანმა ფირფიტა შეატრიალა

## ოლი: მუშაობის დაწყება ჯერ არ მინდა!

მას მერე, რაც **მათიას ზამერი** „ბაიერნის“ სპორტულ დირექტორად დაინიშნა, გერმანიის საფეხბურთო კავშირში ეს პოსტი ვაკანტურია და ადრეც გაუწყეთ, რომ გერმანული მედია ხსენებულ თანამდებობაზე **ოლივერ კანის** დანიშვნას წინასწარმეტყველებდა. „ტიტანი“ თავიდან უარზე არ იყო და ინტერვიუებში ზამერის ადგილზე მუშაობას საინტერესოს უწოდებდა, ახლა კი განაცხადა, რომ ამისათვის მზად არ არის.

*„დღესდღეობით ოდნავადაც არ ვარ დაინტერესებული იმით, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში ან რომელიმე კლუბში ასეთ თანამდებობაზე ვიმუშაო, რადგან აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, თავისუფალი ცხოვრებით ჯერ ბოლომდე არ დავმტკბარვარ,“* - უთხრა კანმა „შპორტ აინსს“.



ოლივერ კანმა გერმანიის საფეხბურთო კავშირს უარი შეუთვალა

### ამბები

## მაგათი: დიეგოს ბევრი მთხოვნელი ჰყავს

„ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელის, **ფელიქს მაგათის** თქმით, ბრაზილიელ გამთამაშებელ **დიეგოს** არაერთი კლუბი ეპატიჟება და ახლა ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. ყველაზე მეტად რიო დე ჟანეიროს „ფლამენგო“ აქტიურობს, თუმცა 27 წლის ნახევარმცველი თანამემამულეებთან მოლაპარაკებების დაწყებას არ ჩქარობს, რაც ჩვენს გერმანელ კოლეგებს აფიქრებინებს, რომ დიეგოს „ვოლფსბურგში“ დარჩენა ურჩევნია, სადაც მაღალი ხელფასი აქვს. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში დიეგო მადრიდის „ატლეტიკოში“ იყო განათხოვრებული, „ვოლფსბურგში“ კი მაგათს ვერ უგებს, რის გამოც ამ უკანასკნელს მისი მოშორება უნდა. დიეგოს „ვოლფებთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული.

## ფიოლერი ბენდერის გაყიდვას გამორიცხავს

გუშინ გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ „ლევერკუზენისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველით, **ლარს ბენდერით** დაინტერესდა, რასაც „ფარმაცევტების“ სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** მაშინვე გამოეხმაურა. „ლევერკუზენის“ შეფმა განაცხადა, რომ ბენდერი არ იყიდება, მისი „ბაიერნში“ გაშვება კი კატეგორიულად გამორიცხულია. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ლარს ბენდერმა „ლევრკუზენთან“ კონტრაქტი 2017 წლამდე გააგრძელა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მოსალოდნელი ტრანსფერი

# კაკაუს 2014 წლის მუნდიალზე უნდა!

## გერმანიის ნაკრების ბრაზილიელი თავდამსხმელი შტუტგარტიდან წასვლაზე ამიტომაც ფიქრობს

„შტუტგარტის“ წარმოშობით ბრაზილიელი თავდამსხმელი **კაკაუ**, რომელიც გერმანიის ნაკრების საევროპო განაცხადიდან ბოლო დღეს ამოვარდა, შვაბენლანდური კლუბის დატოვებაზე ფიქრობს. 31 წლის თავდამსხმელი იმედგაცრუებულია იმით, რომ **იოახიმ ლიოვმა** ევრო 2012-ზე არ წაიყვანა, თუმცა მწვრთნელს არ აკრიტიკებს. სამაგიეროდ, კაკაუს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე წასვლა უნდა, ამისათვის კი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. მოგეხსენებათ, 2014 წლის მუნდიალი ბრაზილიაში უნდა გაიმართოს და რაკი კაკაუც ბრაზილიელია, ამ ტურნირზე თამაშზე ოცნებობს.

„შტუტგარტის“ თავკაცი **ბრუნო ლაბადია** მას ძირითად შემადგენლობაში გამწესების გარანტიას არ აძლევს და კაკაუსაც ისეთ კლუბში სურს გადასვლა, სადაც ხშირად ათამაშებენ და საიდანაც გერმანიის ნაკრებში მოხვედრის მეტი შანსი ექნება.

*„რამდენიმე კლუბი დაინტერესებულია და ჩემი აგენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს,“* - უთხრა კაკაუმ „კიკერს“.



კაკაუ გერმანიის ნაკრებში დაბრუნებისთვის იბრძოლებს


დოქტორ სონი კაფს N20

მცენარეული დამამშვიდებელი, საძილე საშუალება

ჩვენებები:
- ძილის დარღვევა და უძილობა
- ემოციური სტრესი, შფოთვა, ნერვული აგზნებადობა
- აკვიატებული აზრები, ფსიქიკური გაღიზიანებადობა.
- დეპრესია.




Nabros Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

● რეალი


ლუკა მოდრიჩი

# ოპერაცია ჩიტი

## რეალს ლუკა მოდრიჩის ტრანსფერი ძალიან ძვირი უჯდება

„ტოტენჰემმა" უკვე გამოაცხადა საჯაროდ, რომ **ლუკა მოდრიჩის** სავარაუდო ტრანსფერებზე შეთავაზებებს მიიღებს და განიხილავს. ამით მადრიდის „რეალს" ხელ-ფეხი გაეხსნა. შეგახსენებთ, რომ **ჟოზე მოურინიოს** უპირველესი და შესაძლოა, ერთადერთი სამიზნე ლუკა მოდრიჩია. ახლა მთავარი სალაპარაკო საკითხი თანხაა - ვინ მეტს გადაუხდის „ტოტენჰემს". „რეალს" მხოლოდ ერთი სერიოზული მეტოქე ჰყავს „პარი სენ ჟერმენი" და ისიც უფრო სხვა ფრონტზე აქტიურობს.

### 44,4

რას სთავაზობს „სამეფო კლუბი" ლონდონურს? ფლორენტინო პერესი მზადაა, ლუკა მოდრიჩის სანაცვლოდ 44,4 მილიონი ევრო გადაიხადოს ეს კი 35 მილიონი ფუნტი სტერლინგია. ბევრია? საკმაოდ. მით უფრო, რომ „რეალი" სთავაზობს „ტოტენჰემს" დამატებებს, რომლებიც მას მერე ამოქმედდება, რაც მოდრიჩი ესპანეთში ათამაშდება ანუ ბონუსების სისტემას ყოფილი კლუბისთვის! და ეს სულაც არ არის ყველაფერი - „რეალი" მზადაა, ან **რიკარდო კარვალიო** ან კიდევ **ნური შაჰინი** ერთწლიანი იჯარით დაუთმოს „ტოტენჰემს".

26 წლის ხორვატსაც კარგად შეხვდება. ესპანური მედია ამტკიცებს, რომ ლუკა მოდრიჩი უკვე დაეთანხმა მართლაც სამეფო შემოთავაზებას - 4-წლიანი კონტრაქტი, ზღაპრული ანაზღაურებით - 152 ათასი ევრო კვირაში.

### ხიფათი... პორტუგალიიდან

ტრანსფერი შეიძლება პორტუგალიელის გამო შეფერხდეს, მაგრამ აქ ლონდონელთა ახალ თავკაც **ანდრე ვილაშ-ბოაშს** სულაც არ ვგულისხმობთ. 34 წლის მწვრთნელმა უკვე თქვა, რომ თუ მოდრიჩს წასვლა უნდა, წავიდეს, მის შემცვლელს აუცილებლად იშოვის!

ვილაშ-ბოაშს მიაჩნია, რომ მოდრიჩზე უკეთაც კი ითამაშებს „ტოტენჰემში" პორტუგალიის ნაკრების ნახევარდაცვის ლიდერი **ჟოაო მოუტინიო**, მაგრამ... „პორტუ" 25 წლის პორტუგალიელს ძალიან ძვირად აფასებს - 38 მილიონ ევროდ! რა გამოდის, „ტოტენჰემი" უშვებს თავის მეგავარსკვლავს და მის ნაცვლად ყიდულობს ფეხბურთელს, რომელმაც შეიძლება შეძლოს მისი შეცვლა და შეიძლება - ვერა და ამ ოპერაციაში „სუფთა" თანხა 6,5 მილიონი ევროც კი არ რჩება! ცოტაა.

შეგახსენებთ, რომ შარშან „ტოტენჰემის" ბოსმა **დანიელ ლევიმ** „ჩელსის" მოდრიჩის 40 მილიონ ევროდ გაყიდვაზე უთხრა უარი.

### 4 წლის წინ გაშვებული შანსი

„მარკამ" არცთუ დიდი ხნის არქივებში მიაკვლია, რომ „რეალს" 2008 წელს ხელიდან გაუშვია მოდრიჩის აყვანის შანსი. მაშინ „სამეფო კლუბს" ხორვატი 18 მილიონი ევრო დაუჯდებოდა! თვით ადრე, სანამ „ტოტენჰემი" ზაგრების „დინამოდან" ლუკას იყიდდა, მისი ტრანსფერის შანსი „რეალს" ჰქონდა, თანაც მაშინ ესპანელები ინგლისელებზე მეტად იყვნენ მოდრიჩით დაინტერესებულნი. რამდენად იყიდა მოდრიჩი „ტოტენჰემმა", ცნობილი არ არის, ერთი წყარო 16 მილიონს ასახელებს, მეორე - 21-ს, მესამე - 25-ს. მაშინ „რეალის" სატრანსფერო საკითხებში **პრედრაგ მიატოვიჩს** სიტყვა ეთქმოდა. მიატოვიჩმა კი ჯერ კიდევ 16 წლისა შეამჩნია ლუკა, რომელსაც თანაგუნდელები „ჩიტს" ეძახდნენ („წვეტიანი" ნაკვთების გამო, განსაკუთრებით პროფილში).

„რეალსა" და „დინამოს" შორის შეთანხმება შედგა - 18 მილიონ ევროს მოდრიჩი მადრიდში გადადიოდა, ფეხბურთელიც მონდომებული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში „რეალმა" ტრანსფერი ჩაშალა. ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა „ამხელა" თანხის გადახდა ფეხბურთელში, რომელსაც დიდ ლიგებში თავი ჯერ არ გამოეჩინა. ახლა კიდევ „რეალი" ლამის სამჯერ მეტს იხდის, მაგრამ ჯერ არავინ იცის, შეძლებს კი ლუკას აყვანას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბარსელონა

# როსელი: ყველამ ვიცით, ბოლო სეზონი ძალიან უცნაური იყო



სანდრო როსელი

„ბარსელონას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** „რეალის" საჩემპიონო სეზონი ეჭვის ქვეშ დააყენა - მან საკვირაო გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა შემდეგი ფრაზა: *„ყველამ კარგად ვიცით, რომ ლა ლიგის ბოლო სეზონი ძალიან უცნაური იყო".* როსელი ინტერვიუში სხვა საკითხებსაც შეეძლო - მისი აზრით, „ბარსას" აღმასვლა მაშინ დაიწყო, როცა კლუბმა **რონალდინიო** გაიფორმა. *„ამ ტრანსფერით „ბარსელონაში" წერტილი დაესვა ნეგატიურ მოვლენებს და გუნდი წინ წავიდა. აი, რა გააკეთა რონალდინიომ".* მან „კბილი გაჰკრა" **ლაპორტასაც** და განაცხადა, რომ წინამორბედისგან განსხვავებით მუდამ კატალონიის პრეზიდენტობა არ ელანდება და არც რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობის მხარდამჭერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სკანდალის დასასრული

# ტერი რასისტი არ არის

## ჩელსის ლიდერი გაამართლეს



*"საფეხბურთო კლუბი "ჩელსი" პატივს სცემს სამაგისტრო სასამართლოს მოსამართლე ჰოვარდ რიდლს, ვინც გუნდის კაპიტან ჯონ ტერის რასიზმში ბრალდება მოუხსნა. კმაყოფილები ვართ, რომ ამიერიდან ფეხბურთელს მთელი ყურადღების გადატანა ფეხბურთზე შეეძლება,"* – წერია "ჩელსის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. მაშ ასე, საქმეს, რომელიც შარშანდელი ოქტომბრიდან მოყოლებული ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს დამოკლეს მახვილივით ჰქონდა დამიზნებული, წერტილი დაესვა. თემიდას მსახურმა ფეხბურთელი უდანაშაულოდ სცნო **ანტონ ფერდინანდის** რასისტული ხასიათის შეურაცხყოფაში და განაჩენში მიუთითა, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი ეჭვმიუტანელი მტკიცებულება, რაც მის ვარაუდს რეალურ სახეს მისცემდა. დაზარალებულის ჩვენებები ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგოც კი გახლდათ. რაც შეეხება ტერის ჩვენებას, პატივცემული მოსამართლის აზრით, ის თანმიმდევრული იყო და დასაბუთებულად ხსნიდა მოვლენათა მიმდევრობას. ბატონმა რიდლმა აღნიშნა, რომ მისი მიზანი არ ყოფილა, დაემტკიცებინა ან უარეყო, გახლავთ თუ არა ტერი რასისტი. მას სურდა დაედგინა, შეურაცხოფათა ის კორიანტელი, რაც ჯონმა მეტოქეს თავს დაატეხა, განკუთვნილი იყო თუ არა ფერდინანდის, როგორც შავკანიანის მიმართ. და რაკი ცივილიზებული სამყარო დიდი ხანია შეთანხმდა, რომ ყველა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება, შესაბამისად, ჯონ ტერი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● შოტლანდიის ჩემპიონატი

# რეინჯერსი მესამე დივიზიონში

შოტლანდიური ფეხბურთის მამებმა გადაწყვიტეს - „გლაზგო რეინჯერსი" მესამე დივიზიონში (რანგით მე-4 ლიგა ქვეყანაში!) ითამაშებს. გაკოტრებული კლუბი მაშინვე გააგდეს შოტლანდიური ლიგიდან, თუმცა სად ითამაშებდა, აქამდე არ იყო ცნობილი და აი, „რეინჯერსს" მოუწევს ბრძოლა „ანან ატლეტიკთან", „ისტ სტირლინგთან", „ელგინ სიტისთან", „მონტროსთან" და სხვა სოფლის კლუბებთან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

ჭადრაკი

## ოქროს კლასიკა – წარსულის ნოსტალგია




არცისე დიდი ხნის წინათ მოჭადრაკეთა ტურნირებისას 40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდებოდა და მომდევნო დღეებში მის დასამთავრებლად მეტოქეებს დამატებითი დრო ეძლეოდათ. ეპოქის ელვისებურმა ტემპმა მოიტანა და ბრძენთა თამაშში რეგლამენტიც შეიკვეცა. აბა ვინ იფიქრებდა, ორი-სამი ათეული წლის მერე ვინმეს უწინდელი დროის კონტროლის ნოსტალგია თავს შეახსენებდა და მის აღდგენაზე იზრუნებდა. არადა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ტურნირის გამართვა მოისურვეს დროის კლასიკური კონტროლით - 40 სვლაზე 2,5 საათი, პარტიის შესაძლო გადადებით. ინიციატორი გახლავთ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის პრეზიდენტი დიდოსტატი ემილ სუტოვსკი (ისრაელი). 14-დან 22 ივლისის ჩათვლით ასეთი შეჯიბრება - „ოქროს კლასიკა" ამსტერდამში გაიმართება. საჭადრაკო ინტერნეტსაიტ Chess-News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ემილ სუტოვსკიმ განაცხადა, რომ ტურნირის მონაწილეთა შერჩევისას გაითვალისწინეს მოჭადრაკეთა შემოქმედებითი მხარე და მებრძოლი ხასიათი, რათა პარტიები ბოლომდე დამუხტული იყოს. „თუ გაგვიმართლებს და ტურნირის მსვლელობისას სამი-ოთხი პარტია მაინც გადაიდება საინტერესო პოზიციებით, რომელთა ანალიზითაც არა მარტო მოთამაშეები დაკავდებიან თავიანთ კომპიუტერებთან, არამედ გულშემატკივრებსაც ჩაითრევენ ინტერნეტის მეშვეობით, იდეას გამართლებულად მივიჩნევთ", - აღნიშნა სუტოვსკიმ.

14, 15, 16, 18, 19, 20 ივლისს ექვსი ტური გაიმართება, 17 და 21 ივლისი გადადებული პარტიების დამთავრების დღეებია, 22 ივლისს მე-7 ტურით შეჯიბრებაც დასრულდება. ტურნირის საპრიზო ფონდია 35 ათასი დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 10.000-ს მიიღებს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ასპარეზობისას არავის ექნება რეიტინგის დაკარგვის შიში, ამდენად დიდოსტატები შეუბოჭავად და ბოლომდე ითამაშებენ.

ამსტერდამში მთავარი პრიზისთვის **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2769), **გატა კამსკი** (აშშ, 2744), **ბაადურ ჯობავა** (2730), კრიშნან სასიკირანი (ინდოეთი, 2707), **ემილ სუტოვსკი** (ისრაელი, 2687), **ლე ქუანგ ლიემი** (ვიეტნამი, 2693) და ქალთა შორის მსოფლიოს რეიტინგში მესამე ადგილზე მყოფი **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2606) იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

## კოეფიციენტმა მეათე ადგილი მიუჩინა

ქართველი დიდოსტატი **ლევან აროშიძე** ხშირად მონაწილეობს ესპანურ საჭადრაკო ტურნირებში და მეტწილად - წარმატებითაც. ამჯერად მან ბარბერა დელ ვალესში მოსინჯა ძალები. ბოლო ტურში მასპინძელ მიგელ მუნიოსს დაუზავდა და 6 ქულას მოუყარა თავი, მსგავსად კიდევ 10 მოჭადრაკისა. კოეფიციენტით მე-10 ადგილი ერგო. მთავარი პრიზი 7 ქულით კუბელმა რეინალდო ორტისმა მოიპოვა, რომელმაც მე-9 ტურში ერთპიროვნულ ლიდერ მაქსიმ ტუროვს აჯობა. დაზავდნენ მექსიკელი ხოსე გარსია გონსალესი და კუბელი ალექსეი ფერნანდესი, პერუელმა ემილიო კორდოვამ როლანდო ალარკონს (კუბა) გააჩერებინა საათი. ამდენად, 6,5-6,5 ქულით მეორე-მეექვსე ადგილები ტუროვმა, ხოსე გონსალესმა, კორდოვამ, ფერნანდესმა და არიან გონსალესმა გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

## უშუალო კონკურენტი წინ გაუშვა

7 ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით **გიორგი მარგველაშვილი** და დან ზოლერი (ისრაელი) მეწინავეობდნენ ესპანურ ბენასკეში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე. მერვეში ქართველი დიდოსტატი თეთრებით ეთამაშებოდა უშუალო კონკურენტს. სამწუხაროდ, ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა და დამარცხდა. ჩვენებურს გაუსწრეს ინდოელმა ჰარიკრიშნამ და ესპანელმა სერხიო გარზამ, რომლებმაც, შესაბამისად, რუმინელ იოან-კრისტიან ჩირილას და ჩეხ ჯირი სტოჩეკს სძლიეს. ქართველი დიდოსტატები - **თორნიკე სანიკიძე** და **კონსტანტინე შანავა** იოლად გაუსწორდნენ ფიდეს ოსტატ სტეფ სუურსა (ბელგია) და ზუზანა სტოჩკოვას (სლოვაკეთი).

ბოლოსწინა მე-9 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: ზოლერი (7,5) - ჰარიკრიშნა (7), ჯონსი (6,5) - გარზა (7), ჰრაჩეკი (6,5) - მარგველაშვილი (6,5), ბურმაკინი (6,5) - არიბასი (6,5), ანტონი (6,5) - ნაბატი (6,5), ტოლედანო (6,5) - ვასკესი (6,5); კომლიენოვიჩი (6) - სანიკიძე (6), ესპინოსა (6) - შანავა (5). შეჯიბრების ბოლო მე-10 ტური დღეს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა. მეტოქე



## ამბები მეტოქეთა ბანაკიდან

### რუსებმა ოლიმპიელები დაამტკიცეს

რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ ოფიციალურად დაასახელა ოლიმპიური გუნდების შემადგენლობები, თუმცა სიახლე არ შემოუთავაზებიათ და ადრევე გაცხადებული ფალავნები დაამტკიცეს. შეგახსენებთ, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადაზე ასპარეზობა ქვეყნის ჩემპიონობით გაინაღდეს ევროპის სამგზის ჩემპიონმა **ჯამალ ოთარსულთანოვმა** (55), მსოფლიოს ოთხგზის გამარჯვებულმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა **ბესიკ კუდუხოვმა** (60), მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონმა **ალან გოგაევმა** (66), მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის მომგებმა **დენის ცარგუშმა** (74), ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ანზორ ურიშევმა** (84), კონტინენტის პირველობის წლევანდელმა გამარჯვებულმა **აბდუსალამ გადისოვმა** (96) და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **ბილიალ მახოვმა** (120). ადრევე გაცხადებული გუნდი დაამტკიცა რუს - ბერძენ-რომაელთა ქართველმა მწვრთნელმა **გოგი კოლუაშვილმაც**: **მინგიან სემენოვი** (55), მსოფლიოს პრიზიორი **ზაურ კურამაგომედოვი** (60), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **რომან ვლასოვი** (74), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ალან ხუგაევი** (84), მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **რუსტამ ტოტროვი** (960 და მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ხასან ბაროევი** (120). ამათგან ვლასოვსა და ბაროევს რუსეთის პირველობაზე არ უასპარეზიათ, თუმცა მწვრთნელმა მათ ადგილები დაუჯავშნა.

რუს „თავისუფალთა" გუნდი დასკვნით შეკრებაზეა ადლერში, სადაც რუსმა ჟურნალისტებმა გუნდის მთავარ მწვრთნელ **მაგომედ ჰუსეინოვს** ინტერვიუ ჩამოართვეს. მან მზადებაზე იმდენად ალმატებულ ხარისხში ილაპარაკა, ჟურნალისტმა ბოლოს ჰკითხა, ნუთუ არავითარი პრობლემა არ გაწუხებთო. პასუხიდან ყურადღებას ჩვენთვის საინტერესო ორ საკითხზე შევაჩერებთ: როგორც ირკვევა, წინა შეკრებაზე მახოვსა და გადისოვს ტრავმები მიუღიათ. მახოვს კი თვის დასაწყისში მწვრთნელის სურვილის წინააღმდეგ დორტმუნდში „გერმანიის დიდ პრიზზე" არ უჭიდავია. მწვრთნელმა გერმანულ ტურნირთან დაკავშირებით თქვა: *„როგორც ნაკრების და როგორც პირად მწვრთნელს, მსურდა, რომ მახოვს გერმანიაში ეჭიდავა, მას 2010 წლის სეზონიც კი გავახსენე, როცა ხუთ ტურნირში იჭიდავა და მერე ბრწყინვალედ მოიგო მსოფლიოს პირველობა. შარშან საშეჯიბრო პრაქტიკა აკლდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორეზე გავიდა. თუმცა მაშინ ზედმეტი წონის პრობლემაც აწუხებდა, რაც უკვე მოგვარდა. ამჯერად მან მიიჩნია, რომ მოგზაურობა კარგ შედეგს არ მოუტანდა და შინ დარჩენა ამჯობინა."* ისე, მწვრთნელ-შეგირდს შორის ყველაფერი მთლად რიგზე ვერაა. შემახოვი თუ ვერც ამჯერად იქნება ოპტიმალურ ფორმაში - მით უკეთესი **დავით მოძმანაშვილისთვის**.

### უკრაინამ სტადნიკი იუარა, სტადნიკმა - შავლოხოვი

უკრაინულ ჭიდაობაში კვლავაც გრძელდება სკანდალი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რუსლან შავლოხოვის** ირგვლივ. დაპირისპირება ამჯერად კულუარებიდან ავანსცენაზე გამოვიდა. მიზეზი ოლიმპიური გუნდის შემადგენლობის გამოცხადება გახდა, სადაც მწვრთნელმა არ შეიყვანა ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ანდრეი სტადნიკი** (66). მისი ადგილი ახალგაზრდა **ანდრეი კვიატკოვ-**

>> მე-11 გვერდზე

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



## ამერიკელიც დაინტერესდა



გიორგი მახარაშვილი ცოცხალი პრიზით

მუხრანიდან მარცხნივ რომ გადავუხვიეთ, გზაში ჭარმაგი მუხრანელები წამოგვეწივნენ. მათი დიალოგიდან მივხვდით, რომ ისინიც მეზობელ ქსოვრისში მიიჩქაროდნენ „ლაშრობის" დღესასწაულზე, სადაც ტრადიციულად ქართული ჭიდაობა იყო გაჩაღებული.

ძველ საჭიდაოზე ქსოვრისელებს ახალი სკამები სამ რიგად ჰქონდათ განწყობილი. მოედნის გარშემო ფუტკრის სკასავით ირეოდა დიდ-პატარა...

ზუსტად 20 წელიწადია, რაც ყოველი „ლაშრობისას" აქ ქართული ჭიდაობის ზეიმს თავკაცობს ქსოვრისელი მწვრთნელი **ჯამბულ ბოჭორმელი.**

შეჯიბრება 10 წონით კატეგორიაში გაიმართა. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ყველაზე მწვავე ორთაბრძოლები 80 კგ წონით კატეგორიაში იქ გაიმართებოდა. სწორედ აქ თამაშდებოდა „ცოცხალი პრიზი"- ვერძი.

ეს ჯილდო ქსოვრისელმა **გიორგი მახარაშვილმა** დამსახურებულად მოიპოვა. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები კი შესაბამისად წილად ხვდათ **გიორგი ბიჩელაშვილს** (თიანეთი) და **რეზო თვაურს** (ლამისყანა).

სხვათა შორის, „ლაშრობის" სახალხო დღესასწაულზე იმყოფებოდა და ქართულ ჭიდაობაზე ჟურნალ „იორაზიანეტისთვის" მასალებს ამზადებდა ამერიკელი ჟურნალისტი **მალი კორსო**, რომელიც მოხიბლული დარჩა ჩვენი ჭიდაობის თავისებურებებით და მუსიკალური აკომპანიმენტით...

პრიზიორებს საჩუქრები გადასცა ქსოვრისის გამგებელმა **ხვთისო საკაშვილმა.** სტუმრებმა მოინახულეს ქსოვრისის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და რატიშვილების საგვარეულო ციხე - კოშკი.

#### კვარცხლბეკი

**35 კგ.** 1. ივანე რუსიშვილი (ქსოვრისი), 2. შალვა მიდელაშვილი (მუხრანი), 3. დავით ლოხიშვილი (ქსოვრისი).

**40 კგ.** 1. ლავრენტი საკაშვილი, 2. ვასილ გულიაშვილი, 3. ლევან ლორიაშვილი (სამივე - ქსოვრისი).

**45 კგ.** 1. ლაშა ცქვიტიშვილი, 2. გიორგი ჩიტუკაშვილი, 3. ალექსანდრე თეთრაძე (სამივე - ქსოვრისი).

**55 კგ.** 1. გიორგი ავანაშვილი, 2. სოსო მელიქიშვილი (ორივე - მუხრანი), 3. გიორგი ობგაიძე (ძეგვი).

**60 კგ.** 1. ნიკოლოზ ქელეხიძე (თბილისი), 2. გოჩა ოქრუაშვილი, 3. ლევან ოქრუაშვილი (ორივე - წილკანი).

**65 კგ.** 1. ნოდარ ნოზაძე (ხაშური), 2. იმედა საკაშვილი (ქსოვრისი), 3. ბესო ცალუღელაშვილი (თიანეთი).

**70 კგ.** 1. ზურაბ ოქრუაშვილი (წილკანი), 2. გიორგი გოგიჩაიშვილი (ახალგორი), 3. ზურაბ ზარიაშვილი (მუხრანი).

**75 კგ.** 1. თამაზ ნატრაძე (ძეგვი), 2. გიორგი კასაბური (ქსოვრისი), 3. ილია ლაშაური (წილკანი).

**აბსოლუტური.** 1. გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი), 2. მათე ლაგაზაური (რუსთავი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
*ავტორის ფოტო*

სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

## ტოჩინოშინი წინ მიიწევს

გუშინ, ნაგოიას ბაშოს მე-6 დღეს **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** კოტენაგეს ილეთით მოიშორა მავაშს ჩაფრენილი **იოშიკაძე** და მეტოქე დოჰიოზე დააგდო. ეს 24 წლის მცხეთელის მე-4 გამარჯვებაა ბაშოზე. დღეს ლევანის მეტოქე მე-5 მაეგაშირა **ტაკაიასუა**, რომელსაც ჯერ ერთხელაც არ მოუგია ნაგოიაში.

გამარჯვება იზეიმა **გაგამარუმაც (თეიმურაზ ჯუღელი)**, მძიმეწონოსანთა დაპირისპირებაში მან **მიაბიამას** იორიკირის ილეთით აჯობა. გაგამარუს 3-3 ბალანსი გაუხდა, დღეს ის მე-11 მაეგაშირა **კიტატაიკის** შეხვდება.

რანგით მეორე დივიზიონში, მე-4 მარცხი იგემა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**. ნაგოიას ბაშოს მხოლოდ 4 რიკიში ლიდერობს დაუმარცხებლად, მათ შორის კვლავ რჩება დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო.**

#### VI დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ოკინოუმი (იორიკირი), კაკურიუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), კისენოსატო-აოიამა (იორიკირი), კოტოშოგიკუ-შოჰოზანი (იორიკირი), ბარუტო-ვაკაკოიუ (ჰარიმანაგე), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (კაკენაგე), კოტოოშუ-ტოჩიოძანი (იორიკირი), მიოგირიუ-ტოიონოშიმა (ოშიდაში), ამინიშიკი-ტაკაიასუ (ოშიდაში), ჰომაშოტაკეკაძე (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე (კოტენაგე), **გაგამარუ**-მიაბიამა (იორიკირი). **ძურიო:** ჩიოოტორი-**კოკაი** (იორიკირი).

#### სატურნირო მდგომარეობა

**6-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ბარუტო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), დაიდო (მაეგაშირა 13).

**5-1:** კისენოსატო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კაისეი (მ 8), კიტატაიკი (მ 11), მასუნოიამა (მ 13), ჩიოტაირიუ (მ 15)... **4-2: ტოჩინოშინი** (მ 4)... **3-3: გაგამარუ** (მ 7).

#### VI დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ვაკაკოიუ, კისენოსატო-გოეიდო, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, ბარუტო-აოიამა, ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი, კოტოოშუ-კიოკუტენჰო, კაკურიუ-ტოჩიოძანი, მიოგირიუ-ამინიშიკი, ოკინოუმი-ტაკეკაძე, **ტოჩინოშინი**-ტაკაიასუ, **გაგამარუ**-კიტატაიკი. **ძურიო: კოკაი**-საგაცუკასა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ქართული სპორტი

« მე-10 გვერდიდან

**სკიმ** დაიკავა, სხვა წონებში კი ევროპის სამგზის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ვასილ ფედორიშინი** (60), მსოფლიოს ჩემპიონი **იბრაგიმ ალდატოვი** (84), **ვალერი ანდრეიცევი** (96) და **ალექსანდრ ხოციანოვსკი** (120) მოხვდნენ.

სტადნიკი იმდენად გაბრაზდა, მინიბუნტი მოაწყო (კომუნისტური მეთოდითო, წერია უკრაინის ჭიდაობის ფედერაციის საიტზე) - თანაგუნდელები აიყოლია და შავლოხოვის გადაყენების მოთხოვნით ფედერაციას წერილიც აახლა 21 ხელმოწერით. მწვრთნელს ძალაუფლების უზურპაციაში ადანაშაულებენ.

ერთი შეხედვით, ამ დავაში შავლოხოვი მართალია, რადგან ლიცენზია კვიატკოვსკიმ მოიპოვა, სტადნიკმა კი ყველა შანსი გაანიავა - მსოფლიოს ჩემპიონატზეც წააგო და - სოფიაში, სალიცენზიო შეჯიბრებაზეც. თუმცა წლებია, შავლოხოვი სულ ასეთ უსიამოვნო ამბებშია გახვეული და მის ირგვლივ სკანდალები არ წყდება. მას მაინცდამაინც დალაგებული ურთიერთობა არც ფედერაციის ხელმძღვანელობასთან აქვს. ბოლო წლებში იქაურები თბილისის საერთაშორისო ტურნირზე რომ ვერ ჩამოდიოდნენ, ჩვენები ამას სწორედ შავლოხოვისა და ფედერაციის დაპირისპირებით ხსნიდნენ.

უკრაინული ფედერაციისთვის ეს სკანდალი ერთადერთი არაა, თუმცა ამაზე ქვემოთ, ქალთა ბლოკში ვილაპარაკოთ. მოკლედ, **ოთარ თუშიშვილს** სტადნიკი - სერიოზული კონკურენტი გამოაკლდა. ახლა სტადნიკების ოჯახს ოლიმპიადაზე საქომაგო აზერბაიჯანის ქალთა ნაკრებში გადასული მეორე შვილი, ანდრეის უმცროსი და - ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **მარია სტადნიკი** (48) დარჩა,

## აზერბაიჯანელები უსიამოვნო სკანდალში

აზერბაიჯანელებს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ოლიმპიური ნაკრები აქამდეც გარკვეული ჰყავდათ: **ტოგრულ ასგაროვი** (60), **ჯაბრაილ ჰასანოვი** (66), **შარიფ შარიფოვი** (84), **ხეტაგ გოზიუმოვი** (96) და **ჯამალედდინ მაგომედოვი** (120). გაურკვეველი მდგომარეობა მხოლოდ 74-ში ჰქონდათ, სადაც ლიცენზიის მომპოვებელ **აშრაფ ალიევს** კონკურენციას **კირილ გოსტიევი** უწევდა, თუმცა დორტმუნდის ზემოხსენებულ ტურნირზე ალიევი მეორეზე გავიდა, გოსტიევი - მეხუთეზე და ამით ყველაფერი გაირკვა. ამდენად, ლონდონში **დავით ხუციშვილის** სავარაუდო მეტოქე აშრაფ ალიევი გახდა.

თუმცა ახლა მათ გუნდს ეს ამბავი ნაკლებად ადარდებს, იმდენად არასასურველ ამბავში გაეხვია... აზერბაიჯანელთა ნაკრების რამდენიმე წევრი „როქტერ ენდ გემბლ"-ის სარეკლამო რგოლში გადაიღეს - ჰაერის გამწმენდ აეროზოლის უწევდნენ რეკლამას. რუსულ ტელეარხებზე გასვლის შემდეგ ამ ვიდეორგოლმა იქაურებს უხიაგი ფანტაზიებისთვის გასაქანი მისცა და აზერბაიჯანელთათვის იმდენად არასასურველი კომენტარები მოჰყვა, რომ „თათარსტანელი ხალხის ასამბლეის" თავმჯდომარის მოადგილე **საგიდ ჯაკსიბაევმა** საგანგებო განცხადებაც გააკეთა, ასეთ ვიდეორგოლებს რასობრივი სიძულვილის პროვოცირება შეუძლიაო. მისი აზრი „ხალხთა მეგობრობის სახლის" დირექტორმა **ირეკ შარიპოვმა** გააგრძელა: *„ჩემს მეგობართა შორის ბევრი აზერბაიჯანელია, რომლებიც ჩემში თეთრ მაისურასთან ასოცირდებიან და ძალიან სუფთა ხალხია. არ მესმის, რატომ ასოცირდებიან ისინი ცუდ სუნთან"* - განაცხადა მან. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს კლიპი ორგანიზატორებმა ჩვენს მეზობლებს შეგნებულად მოარგეს მათი დაცინვის მიზნით, მაგრამ ცოტა სხვანაირი სიუჟეტის მოფიქრება კი შეეძლოთ, რადგან კლიპი გარკვეულ არაეთიკურ პასაჟებს მართლაც შეიცავს, ოღონდ - ნებისმიერი ეროვნების ადამიანთან დაკავშირებით და არა კონკრეტულად აზერბაიჯანელებზე. მაგალითად, ეპიზოდებში აქცენტირებულია გაოფლილი მოჭიდავეები, რომლებიც აეროზოლს ისხურებენ, მოჩანს მათი ამუნიცია, ბოლოს კი შემოჰყავთ თვალახვეული ქალები, რომლებსაც ცხვირწინ უტრიალებენ მოჭიდავეთა ოფლიან ფორმებს, ფეხსაცმელებს, სავარჯიშოდ აუცილებელ სხვა ნივთებს და მათ სუნით უნდა გამოიცნონ, სად იმყოფებიან. მართალია, თვალსახვევების მოხსნის შემდეგ ქალებმა ბევრიც იცინეს, რომ სალონის მაგივრად საჭიდაო დარბაზში აღმოჩნდნენ, მაგრამ კლიპს იმდენად ცუდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ თათარსტანში მცხოვრები აზერბაიჯანელები ეროვნული ღირსების დასაცავად აღსდგნენ და პროტესტი გამოთქვეს.

## ქალთა ვნებები: დროშა, დოპინგი, სკანდალი

ქალთა ოლიმპიური ჭიდაობის ისტორია 2004 წლიდან იღებს სათავეს. ახლა კი პირველად ქალი მოჭიდავე ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე თავისი ქვეყნის მედროშე იქნება. ეს პატივი კამერუნელ **ანაბელ ლაურე ალის** (72) ერგო, რომელმაც შარშან მსოფლიოზე მეხუთე ადგილზე გასვლით მოიპოვა საგზური.

ალისგან განსხვავებით, ოლიმპიადას გამოტოვებს ამერიკელი **სტეფანი ლი**. მას ტესტში აღმოაჩნდა დოპინგი და ლონდონში მის ნაცვლად მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი **ალი ბერნარდი** იასპარეზებს.

ახლა კი ზემოხსენებულ სკანდალზე, რომელიც უკრაინულ ქალთა ჭიდაობაში აგორდა. საქმე აქაც ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობას ეხება - 55 კილოგრამში მწვრთნელებმა მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი **ტატიანა ლაზარევა** დააყენეს, რამაც მისი კონკურენტი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ნატალია სინიშინი** გაანაწყენა. აღსანიშნავია, რომ სტადნიკიც და სინიშინიც ლვოველები არიან, ლაზარევა - დონეცკელი. სტადნიკთან დაკავშირებით არა, მაგრამ ქალებზე კი ლვოველმა ჟურნალისტებმა ფედერაცია პირდაპირ დაადანაშაულეს 60 000-დოლარიანი ქრთამის აღებაში, დონეცკელებმა ამ ღირებულების საჩუქრები ჩაიტანეს კიევში, ესპლანადნაიას 42-შიო. ცხადია, ფედერაციამ ეს ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ მათ აქცენტი ლაზარევაზე მისი გამოცდილების გამო გააკეთეს. თან ისიც გაიხსენეს, რომ პეკინის ოლიმპიადაზეც საგზური ლაზარევამ მოიპოვა, თუმცა სინიშინი წაიყვანეს, რომელმაც წააგო. ამის მიუხედავად, წლევანდელი ევროპირველობის გარდა სინიშინს ივნისში პოლონეთში ლაზარევასთან პირადი მოგებაც უმაგრებდა ზურგს.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ლონდონში კვლავაც იჭიდავებს ქალთა შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინელი **ირინა მერლენი** (48), ახლა მას სურს, პირველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქალი გახდეს.

**ირაკლი თავაძე**

### ამბები

ჩოგბურთი

## ნახევარფინალს ვერ გასცდა

როგორც გაუწყეთ, **ანა ტატიშვილი** პალერმოს 220.000-იან ქალთა საერთაშორისო ტურნირს ფეხის ტრავის გამო ჩამოშორდა, სამაგიეროდ, წინსვლას განაგრძო თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ**. მეწყვილე კატერინა ძეჰალევისჩთან (ბელარუსი) ერთად მან რუსი ელენა ბოვინას და ფრანგი ალისა კორნეტის დუეტი ორ სეტში დაამარცხა - 6:2, 6:3, ნახევარფინალში კი მეორე ნომრად განთესილ ხორვატი დარიჯა ჯურაკისა და უნგრელი კატალინ მაროშის წყვილთან წააგო - 6:4, 4:6, 10:12.

მხარე. ბატუტი

## ბათუმმა უმასპინძლა

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანადგომით ბათუმმა ახალგაზრდა ბატუტზე მხტომელთა ავტონომიური რესპუბლიკის ღია პირველობას (მთავარი მსაჯი **რუსუდან ხოფერია**) უმასპინძლა. შეჯიბრებაში ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად თბილისისა და ქუთაისის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. საინტერესო პაექრობების შემდეგ უმცროს ასაკში პირველ ადგილებზე გავიდნენ: **7-9-წლიანებში** - დიანა ფოთელიძე (ბათუმი) და გიორგი ნაცვლიშვილი (თბილისი), **10-12-წლიანებში** - ნატა ჩადუნელი და გიორგი ავლოხაშვილი (ორივე-თბილისი), **13-14-წლიანებში** - ქრისტინე სორდია (თბილისი).

უფროს ასაკში (**15-18-წლიანები**) საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. თეონა ჯანჯღავა (თბილისი), 2. თამარ ლურწკაია (ბათუმი), 3. თინათინ ჩადუნელი (თბილისი). **ვაჟები.** 1. ზურაბ ნოზაძე, 2. ლაშა გაბაშვილი, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი (სამივე-თბილისი). 12-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონ ანა ოდიშვილს ტრავმის გამო არ უასპარეზია.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ლელოს სტუმარი

# თბილისში ყველა თამაში უნდა მოვიგოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ვიქტორ სანიკიძე

**დაიბადა:** 01.04.1986
**სიმაღლე:** 203სმ
**ამპლუა:** ფორვარდი

**საკლუბო კარიერა**

2003 „აკადემია" (თბილისი)
2003-06 „დიჟონი" (საფრანგეთი)
2006-07 „ესტუდიანტესი" (ესპანეთი)
2008 „დინამო" (თბილისი)
2008-09 „ტარტუ როკი" (ესტონეთი)
2009-12 „ვირტუსი" (იტალია)
2012-დან „მონტეპასკი" (იტალია)

**მიღწევები**

2004 წელს დრაფტზე „ატლანტამ" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო.
2004 - საფრანგეთის ასების თასის გამარჯვებული.
2004 - ფიბას თასის ფინალისტი.
2006 - საფრანგეთის თასის მფლობელი.
2008 - საქართველოსა ჩემპიონატის „ოლ სტარის" მონაწილე.
2011 - იტალიის ჩემპიონატის „ოლ სტარის" მონაწილე.
2011-12 - იტალიის პირველობის საუკეთესო ევროპელი.

დასრულდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი და მალე ოლიმპიური ცეცხლი აენთება. ასეთი მოვლენების ფონზე ჩრდილში ნამდვილად არ დგას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კალათბურთში, რომელშიც საქართველოს ნაკრებს სერიოზული თამაშები ელის.

საკალათბურთო თემის აქტუალურობიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ „ლელოს" სტუმრად **ვიქტორ სანიკიძის** მოწვევა, რომელმაც ამ კვირაში იტალიურ გრანდ „მონტეპასკისთან" კონტრაქტი გააფორმა.

## ნაკრები

პირველი კითხვა სანაკრებო მზადებას ეხებოდა.

- შარშან ვარჯიში საქართველოში დავიწყეთ, ოფიციალურ შეკრებამდე ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძესთან ვმუშაობდით. ამან გაამართლა, ევრობასკეტზე სათანადო კონდიციებში ვიყავით. ამიტომ, გადავწყვიტეთ წლეულსაც იგივე გეგმით მოვმზადებულიყავით. კალათბურთის ფედერაციაც გვერდში დაგვიდგა და სამი მწვრთნელისა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით. 17 ივლისიდან წვრთნას ავსტრიაში იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით განვაგრძობთ.

**- საქართველოს ნაკრებს მიღმა დარჩნენ ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა და ლაშა გამყრელიძე. რა შეფასება შეიძლება მიეცეს მწვრთნელთა ასეთ გადაწყვეტილებას?**

- ვერ დავეთანხმები. ვეტერანები დაარქვეს, თუმცა ისინი ჩემთვის გამოცდილი კალათბურთელები არიან. მწვრთნელი რომ ვიყო, არ გავუშვებდი. რაც შეეხება გაახალგაზრდავების ტენდენციას, ეს მისასალმებელია. ძველი თაობის ახლით ჩანაცვლება გარდაუვალი მოვლენაა. შარშან, ევროპის ჩემპიონატზე 12 კალათბურთელი ვთამაშობდით, ხომ შეიძლებოდა ამავე თორმეტეულს 6 ახალგაზრდა დამატებოდა და მივილებდით გაფართოებულ 18-კაციან შემადგენლობას. ასე რატომ არ მოხდა, ჩემთვის გაურკვეველია, თუმცა მწვრთნელმა გადაწყვიტა და მის კომპეტენციაში ვერ ჩავერევი.

**- ევრობასკეტის შემდეგ დაისვა კითხვა: უნდა დარჩეს თუ არა კოკოშკოვი საქართველოს ნაკრებში, ხომ არ ამოწურა მან თავისი შესაძლებლობები?**

- უპირველესად ჩვენ, კალათბურთელებს არ ამოგვიწურავს შესაძლებლობები. ლიტვაში სასტარტო გამთამაშებელი და ცენტრი გამოგვაკლდა, რამაც გუნდზე მეტად უარყოფითად იმოქმედა. ასეთ პირობებში კი, არა მგონია, თუნდაც ფილ ჯექსონს იგორ კოკოშკოვზე უკეთესი შედეგი ეჩვენებინა. ვერც იმას ვიტყვი, დევიდ ბლატი რომ ჩამოეყვანათ, აჯობებდა-მეთქი. მიმაჩნია, რომ ევრობასკეტის შემდეგ იგორ კოკოშკოვის საქართველოს ნაკრებში დარჩენა სწორი გადაწყვეტილება იყო.

> სამი კალათბურთელის ნაკრებს მიღმა დატოვებას ვერ დავეთანხმები. ვეტერანები დაარქვეს, თუმცა ისინი ჩემთვის გამოცდილი კალათბურთელები არიან. მწვრთნელი რომ ვიყო, არ გავუშვებდი.

**- საქართველოს ნაკრებისგან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე რას უნდა ველოდეთ?**

- რადგან წილისყრისას პირველ კალათაში ვიყავით, შესაძლოა, ფავორიტებადაც ვითვლებოდეთ, მაგრამ გასეირნება არც ერთ მატჩში არ გველის. გავიხსენოთ თუნდაც შარშანდელი მოსამზადებელი ეტაპი, როცა ლატვიასთან ორიდან ერთი მატჩი მოვიგეთ. ბალტიისპირელებს ახალგაზრდა, მაგრამ მებრძოლი გუნდი ჰყავდათ. ჩვენი მთავარი მიზანი იქნება საკუთარი მოედნის ფაქტორის გამოყენება - შინ ყველა მატჩი მოსაგები გვაქვს. სტუმრად ძალიან რთული იქნება ლატვიასა და ბოსნიაში.

» მე-12 გვერდზე



ლელოს სტუმარი

# თბილისში ყველა თამაში უნდა მოვიგოთ



« მე-11 გვერდიდან

**- მეტოქეებზე ლაპარაკისას ნაკრების სხვა წევრებმაც ყურადღება გაამახვილეს ლატვიაზე. არადა, წილისყრისას მეორე კალათაში ბოსნია იყო...**

- ჩვენთან ერთად ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტად სწორედ ბოსნია ითვლება. ეს ყველას კარგად მოეხსენება. ლატვიით კი იმიტომ დავიწყე, რომ მისგან ბევრი არ ელის მაღალ საფეხურზე ასვლას, თუმცა ანგარიშგასაწევი მეტოქეა.

**- ახალ ნატურალიზებულზე რისი თქმა შეიძლება?**

- შარშან ევროპის ჩემპიონატის წინ მარკიზ ჰეინსი დავიმატეთ, რომელიც დადებითი პიროვნება იყო, თუმცა ევროპაში თამაშის მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება ჰქონდა. გამოჩნდა, რომ გამოუცდელი კალათბურთელის ჩამოყვანა შეცდომა იყო... თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ ამერიკელებს, ვინც ევროპულ კალათბურთში თავისი სიტყვა თქვა, ამა თუ იმ ქვეყნის პასპორტი უკვე მიღებული აქვთ. მაგალითად, კუკი ჩერნოგორიის მოქალაქეა, მაკალები - მაკედონიის... ზოგიერთ უმაღლესი დონის კალათბურთელს სულაც არ სჭირდება ევროპული პასპორტი, რადგან ისედაც თავისუფლად ხვდება ამა თუ იმ კლუბში. ასე რომ, ფედერაციისთვის სასურველი ლეგიონერის მოძიება იოლი ნამდვილად არ იყო. იმედი მაქვს, ახალწვეული, კორი ფიშერი აქაურობას იოლად შეეგუება და სათანადოდ დაგვეხმარება.



## მონტეპასკი

**- ახლახან გააფორმეთ კონტრაქტი სიენას „მონტეპასკისთან“. რა მიზნებს ისახავს გუნდი და რა ძალისა იქნება მომავალ სეზონში?**

- ველაპარაკე კლუბის მწვრთნელ ლუკა ბანკის, რომელმაც სიმონე პიანიჯანი შეცვალა. ყველამ კარგად იცის, რომ „მონტეპასკი“ ამჟამინდელი მფლობელის ხელში ყოველთვის საჩემპიონო გუნდი იქნება. იტალიაში ამჯერადაც ოქროს მოგებისთვის ვიბრძოლებთ, ევროლიგაზე კი ვეცდებით, რაც შეიძლება კარგად გამოვიდეთ.

**- წლეულს იტალიაში მთავარი კონკურენტი მილანი იქნება...**

- ამ გუნდში მართლაც ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი, მაგრამ მხოლოდ სახელები თამაშს ვერ მოიგებენ. მილანელებს შარშანაც ასეთივე გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ჩემპიონი მაინც „მონტეპასკი“ გახდა. შარშანწინ კი „მილანი“ ნახევარფინალიდან „კანტუმ“ გამოთიშა, რომელსაც გაცილებით მცირე ბიუჯეტი ჰქონდა. სხვათა შორის, კანტუელები მას წლეულსაც რომ გადაყროდნენ, ამჯერადაც მოუგებდნენ. საერთოდ, მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი შერმადინის „კანტუ“ სწორ კალათბურთს თამაშობს. როცა მათთან მატჩის წინ „კანტუს“ კომბინაციებზე ვვარჯიშობდით, ჩვენი უკანახაზელები წვრთნის პროცესში იღლებოდნენ, იმდენად მობილურ კალათბურთს თამაშობს მეტოქე. იოლი წარმოსადგენია, რა რთული იქნებოდა კანტუელთა დევნა.

**- არის თუ არა შესაძლებლობა, ვიქტორ სანიკიძე NBA-ში ვიხილოთ?**

- ვფიქრობ, არის. სიენელებთან 2+1 სისტემის კონტრაქტი მაქვს, რომლის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია დროზე ადრე „მონტაპასკის“ დატოვება, თუ NBA-ს გუნდში გადავალ. ვფიქრობ, მე არაფერი დამიკლია, რომ „სან ანტონიოს“ ყურადღება დამემსახურებინა. იტალიაში კარგი სეზონი მქონდა, საშუალოდ ორმაგ დუბლს ვაგროვებდი. ერთადერთი, რაც მაკლდა, ევროლიგაზე თამაშის გამოცდილება იყო. ახალი სეზონიდან ამ ტურნირზეც ვითამაშებ.

**- სხვათა შორის, „სან ანტონიოს“, რომელმაც 2004 წლის დრაფტზე აგიყვანა, ოქტომბერში ამხანაგურად გაეჯიბრები...**

- ეს დამატებითი სტიმული იქნება, თუმცა ერთი მატჩის კარგად ჩატარების გამო არავის არავინ აჰყავს. ვეცდები, ამერიკაში შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო.

**- „ვირტუსიდან“ გაცილებით ძლიერ გუნდში გადახვედით. შეიძლება ითქვას, რომ სანიკიძისგან კიდევ მეტს უნდა ველოდოთ?**

- ყოველთვის ვცდილობ, თამაში გავაუმჯობესო. ამისთვის საჭიროა ძლიერი გუნდი, ოღონდ ისეთი, სადაც თამაში მომიწევს. მქონდა წინადადება სხვა კლუბებიდანაც. ერთი რუსული გუნდი გაცილებით მაღალ ანაზღაურებასაც მთავაზობდა, მაგრამ „მონტეპასკიში“ გადასვლა გადავწყვიტე, რადგან საკალათბურთო თვალსაზრისით ასე ჯობდა. თან, იტალიაში თავს კარგად ვგრძნობ, სიენელები სათანადოდ მიცნობენ და არა მგონია, აკლიმატიზაციასთან და გუნდთან მორგებასთან დაკავშირებით პრობლემა შემექმნას. ყველაფერი ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**- ამჟამად მიმდინარეობს საზაფხულო ლიგა, რომელშიც თორნიკე შენგელია თამაშობს. როგორ ფიქრობ, რა შანსი აქვს ამერიკაში დარჩენის?**

- შანსი რომ არ ჰქონდეს, ლიგაზე არ ითამაშებდა. თორნიკეს ყველა ვქომაგობთ და გვინდა, რაც შეიძლება კარგ გუნდში მოხვდეს. წლეულს „ბრუკლინ ნეთსის“ ხელმძღვანელობა დიდ ფულს ხარჯავს და ძლიერ გუნდსაც აკეთებს. თუ შენგელია ასეთ კლუბში აღმოჩნდება, ამას რა აჯობებს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას სათამაშო დროც სჭირდება.

**- ბოლოს ახალგაზრდებზე გკითხავთ. ნაკრების მომავალი თაობა, პირველ რიგში საქართველოს ჩემპიონატში უნდა გამოიწვრთნას. თუ ადევნებთ თვალს ეროვნულ პირველობას?**

- გასულ სეზონში ბევრი კარგი უცხოელი იყო. ეს მისასალმებელია. ამის პარალელურად აუცილებელია მწვრთნელების კვალიფიკაციაზეც მიმდინარეობდეს მუშაობა. მახსოვს, გიორგი ცინცაძე მოსკოვის ცსკა-ში რომ გადავიდა, ვორონცევიჩსა და ბიკოვს დიდი პოტენციალის კალათბურთელებად არ თვლიდნენ, მაგრამ რუსულ კალათბურთში ფული გაჩნდა და ლეგიონერების პარალელურად ბევრი მაღალი დონის მწვრთნელიც ჩაიყვანეს. მესინას და ივკოვიჩის გვერდით ახალგაზრდა კალათბურთელებიც გაიზარდნენ და მწვრთნელებიც. მაგალითად, პაშუტინი ძლიერ სპეციალისტად ჩამოყალიბდა, ხოლო ვორონცევიჩი ამჟამად ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი კალათბურთელია. მთავარია, სამუშაოს სწორი მიმართულებით წარმართვა.




საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# თურქეთმა მეორე ტაიმი მოხსნა

**13 ივლისი**

**საქართველო-თურქეთი 67:103**

16:25, 22:16, 12:26, 17:36

**საქართველო:** ფხაკაძე (32 წთ, 2ქ, 5პ), ბოქოლიშვილი (21 წთ, 4ქ), სანაძე (37 წთ, 25ქ, 5მ), ბურჯანაძე (32 წთ, 12ქ, 7მ, 5ფ), ალხანაიძე (26 წთ, 12ქ), ტეტელაშვილი (9 წთ), ელიაძე (1 წთ), თენიეშვილი (21 წთ, 10ქ), როგავა (9 წთ, 2ქ), ლომინაშვილი (13 წთ, 5ფ).

**თურქეთი:** სონსირმა (5ქ), ეროგლუ (6ქ), კანდანი (36ქ, 10მ), ედგე (12ქ), დოკუიანი (7ქ, 6მ), გეიკი (8ქ), თუნჩერი (3ქ), კანტიტიზი (6ქ, 6მ), კალბანი (6ქ), კიზილჩა (2ქ), ტეკინი (12ქ, 7მ).

**ესპანეთი-ლატვია 64:51**

11:11, 11:10, 21:15, 21:15

**ესპანეთი:** ფერნანდესი (19ქ), დიესი (15ქ), პოზასი (10ქ)...

**ლატვია:** კოდერსი (11ქ), ჰელმანისი (8ქ)...

**C ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 143/111 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 1 | 139/114 | 3 |
| თურქეთი | 2 | 1 | 1 | 163/146 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 2 | 117/191 | 2 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| 16:00 | თურქეთი-ლატვია |
| 18:15 | საქართველო-ესპანეთი |

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე კვლავ დიდი სხვაობით წააგო, თუმცა პირველ ტაიმში მეზობლებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია: დიდი შესვენებისთვის მხოლოდ 3 ქულის სხვაობით აგებდა. ჩვენი გუნდი სამქულიანებით ცდილობდა ფონს გასვლას (სულ 24-დან 8 სამიანი), ხოლო თურქებს ფარქვეშ დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რაც მოხსნების საერთო მაჩვენებელზე აისახა - 46:23, მეტოქის სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგ კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე მწვრთნელის, **დავით უსტიაშვილის** ინტერვიუ გამოქვეყნდა...

- ძლიერ მეტოქეს შევხვდით. თურქებმა გუშინ ესპანეთთან 19 ქულით წააგეს, მაგრამ სულაც არ ჰყავთ სუსტი გუნდი. მეტოქემ უმთავრესად სიმაღლეში დაგვჯაბნა.

**- სხვა კომპონენტებში თუ აჯობეთ მეტოქეს?**

- როცა შენს ბურთს 24-ჯერ მოგიხსნიან, წარმატების შანსი ფაქტობრივად არ არსებობს. ჩვენი ბიჭები ყველაფერს აკეთებდნენ, პოზიციურად სწორად მოქმედებდნენ, მეტოქის სროლის დროს მოწინააღმდეგეს კეტავდნენ, მაგრამ სიმაღლეში დიდ სხვაობას ვერაფერს უხერხებდნენ.

**- პირველი ტაიმი მხოლოდ 3 ქულით დათმეთ. ერთ ეპიზოდში ჩამორჩენა მინიმუმამდეც შეამცირეთ. რის ხარჯზე მოხერხდა ეს?**

- პირველი ტაიმის ბოლო წუთებში კარგად ვითამაშეთ. როცა სიმაღლეში შანსი არ გვქონდა, სწრაფ შეტევებსა და შორ სროლებზე გავაკეთეთ აქცენტი. იმ ეპიზოდში ტყორცნებიც ნაგვივიდა და ცოტაც რომ გაგვმართლებოდა, პირველ ტაიმს მოვიგებდით. თუმცა ყველა სროლა არ ჩავარდება და მეორე ტაიმში თურქებმა ისევ და იდევ სიმაღლის ხარჯზე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს.

**- მოხსნების გარდა დაკარგვებიც ბევრი გქონდათ...**

- განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა 17 ბურთი დავკარგეთ. ბიჭებმა შეცდომებს უხშირეს, მაგრამ ამხელა სხვაობით წაგებას მაინც არ ვიმსახურებდით.

**- ყველა ჯანმრთელადაა?**

- ბოქოლიშვილმა ფეხი იტკინა, ხოლო დუდა სანაძემ - მხარი. სერიოზული ტრავმები არ ჩანს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, ხვალისთვის როგორ ფორმაში იქნებიან და შეძლებენ თუ არა ესპანეთთან მოედანზე გასვლას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

შვიდკაცა რაგბი

# მესამე და სამართალი

**დღეს და ხვალ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის მესამე, დასკვნითი ეტაპი გაიმართება. გათამაშებაში საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგის 11 გუნდი მონაწილეობს.**



პირველი ორი ეტაპი სრულიად ლოგიკურად თბილისის „ლელოს" გამარჯვებით დასრულდა. ლელოელები მეტოქეებს იოლად უსწორდებოდნენ და გამარჯვების იოტისოდენ შანსსაც არ უტოვებდნენ. შედეგად, ორი ეტაპის ჯამში „ლელომ" 40 ქულა დააგროვა და გათამაშებას ლიდერობს. მას 6 ქულით ჩამორჩება თბილისის „აკადემია", რომელმაც პირველ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა, მეორეზე კი მესამეს დასჯერდა.

შვიდკაცა რაგბის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების თეორიული შანსი აქვს თბილისის „ლოკომოტივსაც", რომელიც 30 ქულით მესამე ადგილზეა. რკინიგზელებმა პირველ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავეს, მეორეზე კი მეხუთე. ამ გუნდების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობენ „აია" (ქუთაისი), „ბათუმი XV", „ყოჩები" (თბილისი), „რაინდები" (ფოთი), „ბაგრატი" (ქუთაისი), „ჯიქები" (თბილისი), „არწივები" (ოზურგეთი),

**შვიდკაცა რაგბი**

**A ჯგუფი:** ლელო (თბილისი), აია (ქუთაისი), ბათუმი XV (ბათუმი), ყოჩები (თბილისი), რაინდები (ფოთი).

**B ჯგუფი:** აკადემია (თბილისი), ლოკომოტივი (თბილისი), ბაგრატი (ქუთაისი), ჯიქები (თბილისი), არწივები (ოზურგეთი).

**ორი ეტაპის ჯამი**

**1. ლელო - 40 ქულა, 2. აკადემია - 34, 3. ლოკომოტივი - 30, 4. აია - 26, 5. ბათუმი XV - 24, 6. ბაგრატი - 22, 7. ჯიქები - 20, 8. ყოჩები - 12, 9. ხულიგანა - 6, 10. რაინდები - 4, 11. არმაზი - 2, 12. არწივები - 0.**

ქვიშის რაგბი

# ბიარიცში ქვიშაში საბრძოლველად

**საქართველოს ქვიშის რაგბის ნაკრები 20-22 ივლისს საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ ბიარიცში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. ეს ტურნირი წლეულს მეორედ ტარდება და პირველ გათამაშებაში ჩვენი მორაგბეები მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ.**




საქართველოს ნაკრების გარდა ევროპის საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის ცხრა გუნდი ისაპრეზებს. ესენია: საფრანგეთი, ირლანიდა, უელსი, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, უკრაინა, ესპანეთი და რუსეთი.

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მამუკა ტყეშელაშვილმა** საფრანგეთში საასპარეზოდ ახალგაზრდა მოთამაშეები შეარჩია, რომლებმაც წლეულს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების შემადგენლობაში იასპარეზეს სხვადასხვა ტურნირებზე.

*„შარშანდელი ტურნირისგან განსხვავებით გადავწყვიტეთ, ნაკრებში ახალგაზრდები მოგვეწვია, რომლებმაც როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე გამოიჩინეს თავი.*

*ევროპაში ქვიშის რაგბი ძალიან პოპულარულია და ბევრი მიმდევარი ჰყავს. ამიტომ საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან გვექნება დაპირისპირება. ჩვენი ნაკრებისთვის ეს მეორე მცდელობაა საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინოს.*

*დიდი სურვილი გვაქვს საქართველოში ახალგაზრდებს შორის ჩავატაროთ ტურნირები, რათა შევძლოთ ნაკრების კანდიდატების შერჩევა. გვინდა მორაგბეებს სტიმული მივცეთ. ვინც თავს გამოიჩენს, საშუალება მიეცემა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზოს"* - თქვა მამუკა ტყეშელაშვილმა.

**ქვიშის რაგბის ნაკრები**

**გიორგი ფრუიძე (აია), მურაზ გიორგაძე (პატარძეული), რევაზ ბროძელი (არმაზი), გიორგი ნათელაშვილი, ვაჟა ხუციშვილი (ორივე-ხარები), გიორგი აფციაური (არმია), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ილია მელაძე (აკადემია).**

სკანდალი

# დოპინგსკანდალი ზიმბაბვეში

**ახლახან ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში დასრულებული მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის გათამაშება სკანდალით გაგრძელდა.**

ტურნირზე მოასპარეზე 26 ზიმბაბველი მორაგბედან 13 დოპინგ კონტროლის გავლისას ჩავარდა. მათ სისხლში აკრძალული პრეპარატები აღმოუჩინეს. ამ ამბავმა ბომბის გასკდომისმაგვარი ეფექტი იქონია ზიმბაბვეს რაგბის კავშირში. ეს ფაქტი ამ ქვეყნის რაგბის ისტორიაში უპრეცედენტო სკანდალად მიიჩნიეს და ახლა ყველა იმის მოლოდინშია, რა სანქციებს გამოუტანს IRB ახალგაზრდული ნაკრების მორაგბეებს.




თუმცა, როგორც ზიმბაბვეს სპორტული მედია იუწყება, ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომელიც ზემოაღნიშნულ მორაგბეებს უკავშირდება. ბევრი მათგანი ადრეც მხილებული ყოფილა აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში სასკოლო ტურნირების მსვლელობისას, თუმცა მაშინ არავინ დაუსჯიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი გუნდი დოპინგზე „იჯდა", ზიმბაბვეს ნაკრებმა სოლტ ლეიკ სიტიში ყველა მატჩი წააგო და ბოლო ადგილი დაიკავა. აფრიკელები ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად ასპარეზობდნენ და „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ისინი დიდი ანგარიშით 43:7 დაამარცხეს.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფს 2013 წელს ჩილე უმასპინძლებს, მომდევნო წელს კი ტურნირი სამხრეთ ამერიკიდან აზიაში გადაინაცვლებს. აქ ახალგაზრდა მორაგბეებს მასპინძლობას ჰონგ კონგი გაუწევს.

*„რაგბის საერთაშორისო საბჭო დაინტერესებულია, რათა სამხრეთ ამერიკასა და აზიაში რაგბი განვითარდეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ისეთი საინტერესო ტურნირი, როგორიცაა მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი, სწორედ იმ რეგიონებში ჩავატაროთ, სადაც რაგბი პროგრესს განიცდის, ვითარდება.*

*მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის პოპულარობა იზრდება, ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავები შესანიშნავ სანახაობას გვთავაზობენ. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ დაბრუნება სანტიაგოში და პირველი ვიზიტი ჰონგ კონგში დაუვიწყარი ზეიმი იქნება რაგბის მოყვარულთათვის"* - თქვა IRB-ის პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ.**

შეგახსენებთ, რომ ჩილემ ერთხელ უკვე უმასპინძლა მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის გათამაშებას, ჰონგ კონგს კი მაღალი დონის ტურნირებში ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. აქ ყოველ წელიწადს ტარდება შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის ერთი ეტაპი.

ზე რაგბი

# ბოლო ტური ოთხის ბედს გადაწყვეტს

**ზე რაგბის რეგულარული გათამაშების ბოლო ტურის წინ პლეი ოფის ექვსი გუნდიდან გარკვეული მხოლოდ ორია. ახალზელანდიური ჰემილთონის „ჩიფსი" და სამხრეთაფრიკული კეიპთაუნის „სტორმერზი" პირველ-მეორე ადგილებზე არიან. თუმცა პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლება განაღდებული მხოლოდ ჰემილთონელებს აქვთ.**

დარჩენილ ოთხ ვაკანსიაზე პრეტენზიას ერთბაშად შვიდი გუნდი აცხადებს. მესამეადგილოსანი კანბერას „ბრამბიზი" შინ ეთამაშება ერთ-ერთ აუტსაიდერ ოკლენდის „ბლუზს" და წესით, სანუკვარი გამარჯვების მოპოვება, რომელიც პლეი ოფში გაუკვალავს გზას, არ უნდა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ ბრამბიზელები ბოლო ორ ტურში, საშუალოდ მატჩში 30 ქულაზე მეტს აგროვებენ.

ოქლენდელები ამ მატჩს სრულიად უმოტივაციოდ ხვდებიან და, წესით, ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთის არქონამ მათზე დადებითად უნდა იმოქმედოს. სხვა მხრივ, „ბლუზმა" სეზონი არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა და საეჭვოა, „ბრამბიზს" სტუმრად პრინციპულ მატჩში, რამე დააკლოს.

კანბერელებს, რომლებსაც 58 ქულა აქვთ, ორი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა ახალზელანდიური, ქრიასთჩერჩის „კრუსეიდერზი". „ჯვაროსნები" ბოლო ტურში ავსტრალიურ პერთის „ფორსს" შინ ეთამაშებიან. წინა ტურში „ჯვაროსნებმა" საკუთარ მოედანზე წააგეს ველინგთონის „ჰარიკენზთან" - 22:23, რითაც მეტოქეს პლეი ოფში მოხვედრის შანსი მისცეს.

ძნელი სავარაუდოა, რომ „კრუსეიდერზმა" შინ ზედიზედ ორი მატჩი წააგოს, მით უფრო, რომ „ფორსი" სულაც არ განეკუთვნება მრისხანე გუნდების რიცხვს. პერთელები ამჟამად 27 ქულით ბოლოსწინა, მე-14 ადგილზე არიან. წესით, „ჯვაროსნებმა", რომელიც ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, მეტოქეს პრემიალური ქულაც უნდა აართვას, საამისოდ კი საჭიროა ოთხი ან მეტი ლელო გაუტანოს. ამას მასპინძლებს ისიც გაუადვილებთ, რომ სტუმრებს ლიდერები **კირან რიდი** და **დევიდ პოქოკი** დააკლდებათ.

„კრუსეიდერზს" ორი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა ბოლო წლების უცვლელი ფავორიტი სამხრეთაფრიკული, პრეტორიის „ბლუ ბულზი". „ლურჯი ხარები" შინ მიიღებენ გათამაშების აუტსაიდერს, იოჰანესბურგის „ლაიონზს", რომელიც, შესაძლოა, ზე რაგბის გათამაშებაში ბოლო მატჩს ატარებს, რადგან, მომავალი წლიდან მას, ალბათ, ახალი სამხრეთაფრიკული გუნდი „კინგზი" ჩაანაცვლებს.

პრეტორიელებმა მე-15 ტურში დურბანის „ნატალ შარქსთან" უიმედოდ წააგეს - 10:32. თუმცა მერე ბლუმფონტეინის „ჩიტაზზე" იყარა ჯავრი - 40:24. „ლურჯ ხარებს" ამჯერად გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ და, სავარაუდოდ, მიაღწევენ კიდეც. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათ ხელი, შესაძლოა, მხოლოდ არბიტრმა, **კრეიგ იუბერმა** შეუშალოთ, რომელიც „ბლუ ბულზის" მოთამშეების მიმართ წითელ-ყვითელ ბარათებს არასოდეს იშურებს.

პრეტორიელთა მსგავსად 54 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა დურბანის „ნატალ შარქსი", რომელიც ბოლო ტურში უმოტივაციო „ჩიტაზს" ეთამაშება და აუცილებლად პრემიალური ქულით გამარჯვება სჭირდება, რადგან მას ერთი ქულით ჩამორჩება და კვალში უდგას შარშანდელი ჩემპიონი ბრისბენის „რედსი".

„წითლები" შინ ეთამაშებიან სიდნეის „ვორათაზს", რომელიც ჩიტაზელთა მსგავსად უმოტოვაციოდაა დარჩენილი. შესაბამისად, **ვილი გენია** და კომპანია ყველაფერს გააკეთებს, რათა მტოქეს მინიმუმ ოთხი ლელო გაუტანოს.

**A ჯგუფი**

**ბრამბიზი-ბლუზი**
**რედსი-ვორათაზი**

**საჭურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 58 ქულა, 2. რედსი - 53, 3. ვორათაზი - 35, 4. მელბურნ რებლზი - 31, 5. ფორსი - 27.**

**B ჯგუფი**

**ჰარიკენზი-ჩიფსი**
**კრუსეიდერზი-ფორსი**

**1. ჩიფსი - 63 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 56, 3. ჰარიკენზი - 49, 4. ჰაილენდერზი - 46, 5. ბლუზი - 28.**

**C ჯგუფი**

**სტორმერზი-მელბურნ რებლზი**
**ნატალ შარქსი-ჩიტაზი**
**ბლუ ბულზი-ლაიონზი**

**1. სტორმერზი - 62 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 54, 3. ნატალ შარქსი - 54, 4. ჩიტაზი - 38, 5. ლაიონზი - 25.**

**საერთო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 64 ქულა, 2. სტორმერზი - 62, 3. ბრამბიზი - 58, 4. კრუსეიდერზი - 56, 5. ბლუ ბულზი - 54, 6. ნატალ შარქსი - 54, 7. რედსი - 53, 8. ჰარიქენზი - 53, 9. ჰაილენდერზი - 50, 10. ჩიტაზი - 38, 11. ვორათაზი - 35, 12. მელბურნ რებლზი - 31, 13. ბლუზი - 28, 14. ფორსი - 27, 15. ლაიონზი - 25.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ



# london 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაიკლ ჯონსონი

## მაიკლ ჯონსონი და სტოუნჰენჯი

ლონდონის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტამ უილტშირის საგრაფოს მიაღწია. ლეგენდარული სტოუნჰენჯის არქიტექტურული ძეგლის გარშემო ოლიმპიური ცეცხლი ჩაატარა საყოველთაოდ ცნობილმა ამერიკელმა მორბენალმა **მაიკლ ჯონსონმა**.

ეს იყო ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მაიკლ ჯონსონს ის წარსულის დამსახურებების გამო ანდეს. ჯონსონი მძლეოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ათლეტია. მან სამ ოლიმპიადაზე - ბარსელონაში, ატლანტასა და სიდნეიში ოთხი ოქრო მოიგო 200 და 400 მეტრ დისტანციებზე და 4x400 მეტრზე ესტაფეტაში.

ოლიმპიადის დაწყებამდე 13 დღეა დარჩენილი. შესაბამისად, ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა დასასრულს უახლოვდება. ორგანიზატორთა განცხადებით, გავლილია საერთო დისტანციის - 12 900 კილომეტრის 95 პროცენტი.

## ოლიმპიადის მიღმა მარიხუანას გამო



აბდულა ტანგრიევი

პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, უზბეკი ძიუდოისტი **აბდულა ტანგრიევი** ლონდონის თამაშებზე ვერ გამოვა. მიზეზი მარიხუანას მიღებაა, რის გამოც ტანგრიევმა ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

უზბეკი ათლეტის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი 2012 წლის ივნისში აღმოაჩინეს. ტანგრიევი ლონდონში ოქროს მედლის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა.

საინტერესოა, რომ უზბეკეთის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეი შტურბაბინმა** ოლიმპიადის გამოტოვების მიზეზად ფეხის თითის მოტეხილობა დაასახელა. ეს ტრავმა ტანგრიევმა 7 ივნისს მიიღო, რის შემდეგაც, ერთი თვე თაბაშირით დადიოდა. ორწლიანი დისკვალიფიკაციის შესახებ შტურბაბინს არაფერი უთქვამს.

ტანგრიევმა, რომელიც 100 კილოგრამზე ზემოთ გამოდის, 2011 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა. 2003, 2005 და 2009 წლებში ის პლანეტის პირველობებზე ბრინჯაოს პრიზიორი ხდებოდა. გარდა ამისა, ტანგრიევი აზიის ხუთგზის ჩემპიონია.

უზბეკი სამი ოლიმპიადის მონაწილეა. პეკინის თამაშების ფინალში ის იაპონელ **სატოსი ისისთან** დამარცხდა.

### უსაფრთხოება წესრიგშია

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ მზად არის ლონდონის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დამატებით 3.5 ათასი სამხედრო მოსამსახურე გამოყოს. ეს ნაბიჯი იმით არის განპირობებული, რომ კერძო ფირმას G4S-ს, რომელიც პასუხისმგებელია ოლიმპიური არენებისა და ღონისძიებების დაცვაზე, სავარაუდოდ, პერსონალი არ ეყოფა საპასუხისმგებლო მისიის შესასრულებლად.

ბრიტანელი სამხედროები, რომლებიც გერმანიის ტერიტორიაზე მსახურობენ, გაფრთხილებულნი არიან შესაძლო დისლოკაციის შესახებ. მათი ლონდონში გადასროლა, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე დღეში განხორციელდება. გარდა ამისა, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ უკვე გამოყო 13.5 ათასი სამხედრო მოსამსახურე პოლიციის დასახმარებლად.

ალსანიშნავია, რომ ფირმა G4S-მ, რომელმაც 456-მილიონიანი კონტრაქტი მიიღო თამაშებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 ათასი თანამშრომლის შეკრება.

საერთო ჯამში, ოლიმპიადაზე უსაფრთხოებაზე 23.7 ათასი ადამიანი იზრუნებს.

### შლეკი ლონდონში არ მიდის

პროფესიული ველოჯგუფის - "რედიოშეკის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ამ გუნდის ლიდერი, ლუქსემბურგელი **ანდი შლეკი** მონაწილეობას ვერ მიიღებს ლონდონის ოლიმპიადაზე. 2010 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებულმა ტრავმა კლასიკური რბოლის - "კრიტერიუმ დოფინეს" დროს მიიღო და დღემდე გრძნობს ტკივილს. შლეკმა ამ დღეებში სამედიცინო შემოწმება გაიარა და მან აჩვენა, რომ ტრავმა ბოლომდე მორჩენილი არ არის.

### ესტაფეტაში მიურეის ჩაეწერა

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ბრიტანელი **ენდი მიურეი** მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში.

*"ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. ჩირაღდნით ხელში უიმბლდონის რაიონში გავირბენ, თუმცა ზუსტი მარშრუტი ჯერ არ ვიცი. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ხალხი სასიამოვნო მოლოდინშია მომავალი ოლიმპიადის გამო. უკვე გასული წლის შუიდან დავიწყეთ კითხვების დასმა ამ საკითხთან დაკავშირებით და ყოველი კვირის შემდეგ ამ კითხვების რაოდენობა იზრდებოდა"*, - განაცხადა მიურეიმ.

## დაწვით ეს ფორმა

ოლიმპიური თამაშების წინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სკანდალი აგორდა. იქაურმა პოლიტიკოსებმა სპორტული ხელისუფლება დაადანაშაულეს იმაში, რომ სპორტსმენები ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიაზე ჩინეთში დამზადებული საპარადო ფორმით გავლენ (ტანსაცმლის იარლიყზე წერია - "დამზადებულია ჩინეთში"). ასევე ჩინური წარმოშობის ეკიპირებით გამოვლენ ათლეტები ოლიმპიურ სტარტებზე.

აშშ-ის ნაკრების "გამოსასვლელი" ფორმაა თეთრი შარვალი (ქალებისთვის - თეთრი ქვედაბოლო), მუქი ლურჯ პიჯაკი და ბერეტი, რის გამოც სპორტსმენები სამხედროებს მოგაგონებთ.

ფორმის გარშემო ხმაური იმის გამო ატყდა, რომ ის აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ტექნიკური სპონსორების მიერ ჩინეთშია შეკერილი. როგორც ცნობილია, ჩინეთი ამერიკელთა ძირითადი კონკურენტია არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, თანაც, ოთხი წლის წინ პეკინში ჩინელებმა ამ ბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავა.

სენატში დემოკრატთა უმრავლესობის თავმჯდომარე **ჰარი რიდი** გამოვიდა წინადადებით - შეაგროვონ სპორტული ფორმა და დაწვან.

*"ოლიმპიადა - ეს ის მომენტია, როცა ყველა ამერიკელი ამაყობს ჩვენი ათლეტების გამო, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ოქროს მოსაპოვებლად,* - ამბობს სენატორი **ბერნი სონდერსი**. - *ამავდროულად, როცა ჩვენი მილიონობით მოქალაქე უმუშევარია, რატომ უნდა იკერებოდეს ჩვენი ოლიმპიური გუნდის ფორმა ჩინეთის ფაბრიკებში. აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეს აქცია - დამღუპველი პოლიტიკის სიმბოლოა".*

ცნობისთვის, აშშ-ის ნაკრების ფორმა ამერიკელი დიზაინერის **რალფ ლორენის** მიერ არის შექმნილი.

პოლიტიკოსებს უკვე უპასუხა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **პატრიკ სენდასკიმ**. მან უსამართლო და დაუსაბუთებელი უწოდა მსგავს კრიტიკას.

*"ბევრი ოლიმპიური გუნდისგან განსხვავებით, ამერიკის ნაკრები კერძო პირებისგან ფინანსდება და დახმარებისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდით,* - ამბობს სენდასკი. - *ჩვენ ვამაყობთ პარტნიორობით "რალფ ლორენის" ბრენდთან - ამერიკულ საკულტო ფირმასთან და მოუთმენლად ველით ლონდონში საუკეთესო ამერიკელი ათლეტების გამოსვლას".*

სენდასკიმ "აბსურდული" უწოდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ეკიპირება ჩინეთშია წარმოებული, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ "რალფ ლორენი" ამერიკული კომპანიაა. ალსანიშნავია, რომ ჩინეთი აშშ-ში ტექსტილის პროდუქციის უმსხვილესი მიმწოდებელია.

პოლიტიკოსებს სპორტსმენებმაც უპასუხეს. მათ აღნიშნეს, რომ ფორმა ძალიან მოხერხებულია, ერთ-ერთმა მოცურავემ, 17 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა **მისი ფრანკლინმა** კი მას მომხიბვლელი უწოდა. პლაჟის ფრენბურთში პეკინის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტოდ როჯერსმა** აღნიშნა, რომ ახლა სამყარო უფრო გლობალური გახდა და ურჩია პოლიტიკოსებს მნიშვნელოვანი პრობლემებით დაინტერესდნენ და მსგავსი საკითხების განხილვას შეეშვან.

საინტერესოა, რომ 27 ივლისს, გახსნის ცერემონიაზე ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელი იქნება ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლე **მიშელ ობამა**.



სამხედროა თუ სპორტსმენი?

## ჩაგვრა დამთავრებულია



ბაჰიია ალ-ჰამადი

საბოლოოდ გადაწყდა, რომ საუდის არაბეთი თავის ისტორიაში პირველად გაგზავნის ოლიმპიურ თამაშებზე ქალ სპორტსმენებს. ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში სუსტი სქესის ორი წარმომადგენელი მოხვდა: ძიუდოისტი **ვოჯან ალი სერაჟ აბდულრაჰიმ შაჰრჰანი**, რომელიც 78 კილოგრამში გამოდის და მორბენალი **სარა ათარი**. მას 800 მეტრზე სირბილში აქვს შეტანილი განაცხადი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** ამ სპორტსმენების ოლიმპიურ გუნდში შეყვანას პოზიტიური მომენტი უწოდა და აღნიშნა, რომ სპორტული საზოგადოება მიესალმება არაბ ქალებს ბრიტანეთის დედაქალაქში.

■ ■ ■

კიდევ უფრო შორს წავიდა კატარის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი - მან გახსნის ცერემონიაზე თავისი გუნდის მედროშედ ქალი სპორტსმენი - ტყვიის მსროლელი **ბაჰიია ალ-ჰამადი** დანიშნა. ეს უნიკალური პრეცედენტია ამ არაბული ქვეყნის მხრიდან, რომელიც საუდის არაბეთისა და ბრუნეის მსგავსად, ქალ სპორტსმენებს ოლიმპიადაზე გამოსვლას უკრძალავდა.

19 წლის ალ-ჰამადი თავისი ქვეყნის ყველაზე წარმატებული წარმომადგენელი იყო 2011 წლის არაბულ თამაშებზე - მან იქ სამი ოქრო და ორი ვერცხლი მოიპოვა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს არაბი ქალი სპორტსმენების ოლიმპიადებზე მოზიდვას, ალ-ჰამადს რამდენიმე სახეობაში გამოსვლისთვის უაილდ-ქარდი მისცა. ანალოგიური მიწვევები აქვთ კატარელ მოცურავეს **ნადა არკაისა** და მორბენალ **ნურ ალ-მალკის**.

## ბექჰემმა მთავარი მისია იუარა

რა თქმა უნდა, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობს - ვის ანდობენ ოლიმპიურ სტადიონზე მთავარი ოლიმპიური ცეცხლის დანთებას. ბოლო დროს ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ ეს მისია, შესაძლოა, სახელოვან ინგლისელ ფეხბურთელს **დევიდ ბექჰემს** დააკისრონ. ამ ჭორებს გუშინ, თავად „ლოს ანჯელეს გელაქსის" ნახევარმცველი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ასეთი საპატიო მისიის შესასრულებლად მისი კანდიდატურის დასახელება შეცდომა იქნება. ბექჰემის აზრით, ოლიმპიური ცეცხლი აუცილებლად ოლიმპიურმა ჩემპიონმა უნდა დაანთოს. ალსანიშნავია, რომ ბრიტანეთის საბუკმეიკერო კანტორებში ცეცხლის დანთებაზეც მიიღება ფსონები და ფავორიტი სწორედ დევიდ ბექჰემი გახლავთ.

*„გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიური ცეცხლი უნდა დაანთოს იმ ადამიანმა, რომელსაც თამაშებზე ოქროს მედალი აქვს მოპოვებული,* - ამბობს ბექჰემი. - *სამწუხაროა, რომ ოლიმპიურ საფეხბურთო ნაკრებში ვერ მოვხვდი. მშობლიურ ქალაქში ოლიმპიადაზე საკუთარი ქვეყნის წარმოდგენა დიდი პატივი იქნებოდა ჩემთვის. მაგრამ ვერაფერს გავაწყობ, ცხოვრება გრძელდება".*



დევიდ ბექჰემი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**.

## ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# თითქმის ყველაფერი გადაწყდა




ტურ დე ფრანსი მე-11 ეტაპით გაგრძელდა. ველომრბოლებს საკმაოდ რთული გამოცდა ჰქონდათ ჩასაბარებელი - ალბერვილიდან ლა ტურუირამდე 142 კილომეტრის განმავლობაში პირველი კატეგორიის სირთულის სამი მთა უნდა გადაელახათ.

შესაბამისად, გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტებს საერთო ჩათვლის ლიდერის - **ბრედლი უიგინსის** პოზიციებზე შეტევის შანსი მიეცათ. საერთოდ, ამ ეტაპს ექსპერტები ერთ-ერთ გადამწყვეტს უწოდებდნენ გენერალურ კლასიფიკაციაში ადგილების განაწილების მხრივ. ტურის მეორე კვირას, სწორედ აქ იგეგმებოდა ყველაზე სერიოზული სამთო ფინიში.

შეტევის მცდელობები მართლაც იყო. გენერალურ კლასიფიკაციაში სიტუაციის გამოსწორება სცადა ტურის მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **კეიდელ ევანსმა**. მან გარკვეული ხანი მოახერხა ლიდერთა ჯგუფიდან გაქცევა, მაგრამ ძალები ვერ გათვალა. საბოლოოდ, ევანსი ამ ეტაპის ერთ-ერთი ანტიგმირი აღმოჩნდა. მან ფინიშზე უიგინსთან წუთნახევარი წააგო და ახლა, საერთო ჩათვლაში 3 წუთითა და 19 წამით ჩამორჩება ბრიტანელს. შესაბამისად, ავსტრალიელს თითქმის აღარ დარჩა ტიტულის შენარჩუნების შანსი.

მუდმივად უტევდა ლიდერს **ვინჩენცო ნიბალი**, მაგრამ უიგინსის გუნდი – "თიმ სქაი" შესანიშნავად მუშაობდა და იტალიელს შანსი არ დაუტოვა. თუმცა ნიბალი შექებას იმსახურებს - მან ბოლომდე იბრძოლა და ის და უიგინსი ერთად მივიდნენ ფინიშთან.

კეიდელ ევანსის ჩავარდნის გამო, გენერალური კლასიფიკაციის პირველი ორი ადგილი "თიმ სქაის" წევრებს უკავიათ. უიგინსის შემდეგ ორწუთიანი ჩამორჩენით მოდის **კრისტოფერ ფრუმი**. მესამე ადგილზეა საერთო ჩათვლაში ვინჩენცო ნიბალი.

ეტაპის მთავარი დამარცხებული კი რუსი **დენის მენშოვი** გახდა, რომელსაც მანამდე საკმაოდ კომფორტული მეხუთე ადგილი ეკავა გენერალურ კლასიფიკაციაში. დასვენების დღეს "კატიუშას" ხელმძღვანელები იმასაც ამბობდნენ, რომ რუსეთის ჩემპიონს უფრო მაღლა ასვლა შეეძლო. მაგრამ პირიქით მოხდა - მე-11 ეტაპზე რუსმა კონკურენტებთან 14 წუთი წააგო და საერთო ჩათვლაში მე-16 ადგილამდე დაქვეითდა.

რაც შეეხება ეტაპზე გამარჯვებისთვის ბრძოლას, ის თავიდანვე 26 ველომრბოლს შორის გაჩაღდა, რომლებიც პელოტონს გაექცნენ. ბოლო აღმართის დასაწყისში ეს ჯგუფი ოთხ კაცამდე დავიდა. ესენი იყვნენ: ფრანგი **პიერ როლანი**, ხორვატი **რობერტ კიზერლოვსკი**, დანიელი **კრის ანკერ სიორენსენი** და ბელარუსი **ვასილი კირიენკო**.

როლანი დისტანციის მსვლელობისას დაეცა, მაგრამ ტრავმას გადაურჩა. ფრანგმა გააგრძელა ბრძოლა, დაეწია გაქცეულებს, ერთადერთმა გაუძლო გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტების შემოტევას და მარტომ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

55 წამის შემდეგ მივიდა ფინიშთან უიგინსის ჯგუფი. სხვათა შორის, ბოლო აღმართზე "თიმ სქაის" შიგნით საინტერესო ამბები ხდებოდა. ერთხელ კრისტოფერ ფრუმმა შეტევაც კი წამოიწყო და არც კი დაინტერესდა, სად იყო მისი გუნდის ლიდერი ბრედლი უიგინსი. ეს უკანასკნელი ოდნავ ჩამორჩებოდა და ამიტომაც ფრუმს გაჩერებამ და დალოდებამ მოუწია. ასეა თუ ისე, "თიმ სქაიმ" ისევ ბრწყინვალედ იმუშავა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წელს მას კონკურენტი არ ჰყავს.

თუ სასწაული არ მოხდა, ბრედლი უიგინსს თითქმის განაღდებული აქვს საერთო ჩათვლაში გამარჯვება. შესაბამისად, ის პირველი ბრიტანელი ტრიუმფატორი იქნება ტურის ისტორიაში.

### X ეტაპი

1. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar); 2. **ტიბო პინო** (საფრანგეთი - FDJ) - +0,55; 3. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - იგივე დრო; 4. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +0,57; 5. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - იგივე დრო; 6. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - იგივე დრო; 7. **კრის ანკერ სორენსენი** (დანია - SaxoBank-Tinkoff Bank) - +1,08; 8. **იანეც ბრაიკოვიჩი** (სლოვენია - ასტანა) - +1,58; 9. **ვასილი კირიენკო** (ბელარუსი - Movistar) - +2,13; 10. **ფრენკ შლეკი** (ლუქსემბურგი - RadioShack-Nissan) - +2,23...

### საერთო ჩათვლა

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +2,05; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +2,23; 4. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +3,19; 5. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +4,48; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +6,15; 7. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +6,57; 8. **იანეც ბრაიკოვიჩი** (სლოვენია - ასტანა) - +7,30; 9. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar) - +8,31; 10. **ტიბო პინო** (საფრანგეთი - FDJ) - +8,51...

## ჩოგბურთი

# ნიუ იორკში 25 მილიონი გათამაშდება

ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციამ "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირის - აშშ-ის ღია პირველობის საპრიზო ფონდი გამოაცხადა. წელს სარეკორდო თანხა - 25 მილიონი დოლარი გათამაშდება.

ამერიკის ღია პირველობაზე ზედიზედ მეორმოცედ თანაბარ ჰონორარებს მიიღებენ ქალები და მამაკაცები. ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულს 1 900 000 დოლარი გადაეცემა (ამ თანხას დაემატება მილიონი დოლარი ამერიკის ტურნირების სერიაში გამარჯვების სანაცვლოდ). ტურნირის ფინალისტის წილი 950 ათასს შეადგენს.

გარდა ამისა, "დიდი სლემის" ევროპული ტურნირების მსგავსად, აშშ-ის ღია პირველობაზეც მოხდა ცვლილება საპრიზო თანხების განაწილების მხრივ. საშუალოდ, ყველა მონაწილის კუთვნილი ჰონორარი 11 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც ტურნირს პირველ კვირას გამოაკლდებიან, მატება 18 პროცენტს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღია პირველობა 27 აგვისტოს დაიწყება და 9 სექტემბრამდე გაგრძელდება.



## ამბები

### ჰოკეი

# სელიანე ერთი წლით დარჩა

"ანაჰაიმ დაქსმა" ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ლეგენდარულ ფინელ ფორვარდთან **ტეემუ სელიანესთან**, რომელიც პირველი ივლისიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. მომავალ სეზონში თამაშის სანაცვლოდ, სელიანე 4.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ სეზონში ფინელმა 82 მატჩში 66 ქულა (26+40) დააგროვა. დღეისთვის, სელიანე მე-19 ადგილზეა ლიგის ყველა დროის გოლეადორებს შორის.

### კალათბურთი

# ჰიუსტონმა სკოლა გაუშვა

"ჰიუსტონ როკეტსმა" "ამნისტიის" წესი გამოიყენა და შემადგენლობიდან დაითხოვა არგენტინელი ფორვარდი **ლუის სკოლა**. აღსანიშნავია, რომ მოქმედი სამწლიანი კონტრაქტის მიხედვით, სკოლას 21 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

ამ გზით "ჰიუსტონმა" განტვირთა სახელფასო ბიუჯეტი და **დუაიტ ჰოვარდის** ხელში ჩასაგდებლად ემზადება. რაც შეეხება სკოლას, მას უკვე გამოუჩნდა მსურველი "დალას მავერიქსის" სახით.

# ევროლიგა პარასკევობით

ევროლიგამ გამოაქვეყნა 2012-13 წლების სეზონის კალენდარი. გახსნის მატჩი სტამბოლში 11 ოქტომბერს გაიმართება – "ფენერბაჰჩე" "ხიმკის" უმასპინძლებს.

ჯგუფური ეტაპის მთავარი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ შეხვედრების ნაწილი პარასკევობით გაიმართება. კერძოდ, პირველი რაუნდის 120 მატჩიდან 50 სწორედ ამ დღეს ჩატარდება.

### ფორმულა 1

# გროსჟანი უკან დაწიეს

მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე - გერმანიის გრანპრიზე "ლოტუსის" პილოტი **რომენ გროსჟანი** სასტარტო ბილიკზე ხუთი ადგილით დაიხევს უკან იმ პოზიციასთან შედარებით, რომელსაც საკვალიფიკაციო რბოლაში დაიკავებს.

ამის მიზეზი გახლავთ გადაცემათა კოლოფის შეცვლა. ფრანგი მეექვსე მივიდა ფინიშთან ბრიტანეთის გრანპრიზე, მაგრამ ბოლო წრეზე პრობლემები შეექმნა გადაცემათა კოლოფის გამო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ვისლა-ვარტა | 3:1 |
| ზონენჰოფი-შალკე | 2:4 |
| ისმანინგი-ბაიერნი | 0:4 |
| ვალდჰოფი-ჰოფენჰაიმი | 0:3 |
| ჰერტა-ტეპლიცე | 0:1 |
| ხემნიცი-ნიუკასლი | 1:0 |
| დიჟონი-რეიმსი | 1:0 |
| აუე-კიოგე | 1:0 |
| მუნსტერი-ჰანოვერი | 2:0 |
| ფლენსბურგი-ვოლფსბურგი | 0:2 |
| მარიტიმუ-ფეირენსე | 2:0 |
| სტ. ეტიენი-გფკო აიაჩო | 1:1 |
| სტანდარდი-ოცელული | 1:0 |
| ლიონი-ბილბაო | 1:2 |
| მანჩესტერ სიტი-ალ ჰილალი | 0:1 |
| კენდალი-კარლაილი | 0:3 |
| მარსელი-ბენფიკა | 0:2 |

#### დანია

| | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-ოლბორგი | 1:1 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ტრომსიო | 4:2 |

#### ფინეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| იიპო-პკ35 | 3:1 |

#### ავსტრიის თასი

##### I რაუნდი

| | |
|---|---|
| ჰარდი-შვაცი | 1:0 |
| მიტლინგერი-ჰარტბერგი | 1:2 |
| პაშინგი-ავსტრია (ზ) | 2:1 |
| გრატკორნი-ტიროლი | 0:0 პენ. 4:5 |
| კალსდორფი-ვალერნი | 3:1 |
| პარნდორფი-ადმირა | 0:3 |
| ვილახი-რორენდორფი | 4:2 |
| ვიოკლამარკტი-ლუშტენაუ | 3:4 |
| ვატენსი-შტურმი | 0:1 |
| პინცგაუ-გრიოდიგი | 0:4 |
| ამსტეტენი-შვეხატი | 0:1 |
| საკ1914-ალერჰაილიგენი | 0:5 |
| ავსტრია (კ)-ჰორნი | 3:2 |
| სტ. ფლორიანი-ბლაუ ვაისი | 2:1 |
| გრაცი-ვენა | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ვინერი-ზალცბურგი | 0:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| სერვეტი-ბაზელი | 0:1 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| დერი-სლიგო | 1:2 |
| ბრეი-შელბურნი | 2:3 |
| დანდალკი-შემროკი | 1:1 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ეთლონი-ფინ ჰარპსი | 1:1 |
| [illegible]-ლიმერიკი | 0:3 |
| [illegible] | 3:0 |
| [illegible] | 1:1 |

#### [illegible]

| | |
|---|---|
| ჟილინა-მიიავა | 4:1 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| ვოლინი-კარპატი | 1:1 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ბატე-ტორპედო | 0:0 |
| დინამო (ბრ)-ნაფტანი | 2:1 |
| ნემანი-შახტიორი | 1:1 |

#### მოლდოვა

| | |
|---|---|
| შერიფი-კოსტულენი | 5:0 |

### კალათბურთი

#### ევრობასკეტი 2012

##### UNDER 20

| | |
|---|---|
| გერმანია-სერბეთი | 45:69 |
| ჩერნოგორია-საფრანგეთი | 68:102 |
| რუსეთი-უკრაინა | 81:75 |
| ესტონეთი-საბერძნეთი | 69:91 |
| ესპანეთი-ლატვია | 64:51 |
| იტალია-ლიტვა | 89:82 |
| შვედეთი-სლოვენია | 69:70 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ბაშტადი

| | |
|---|---|
| დიმიტროვი-რამოსი | 7:6, 6:3 |
| ფერერი-რობრედო | 6:3, 4:6, 6:0 |
| ცოპი-ჰაიეკი | 3:6, 6:4, 3:6 |
| ხიმენო ტრავერო-ალმაგრო | 6:7, 6:4, 3:6 |

#### ATP. ნიუპორტი

| | |
|---|---|
| ისნერი-ვან დერ მერვე | 6:4, 7:6 |
| ბეკერი-ჰარისონი | 4:6, 0:3 უარი |

#### ATP. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| ჩერვენაკი-მონაკო | 1:6, 5:7 |
| ბრაუნი-გარსია ლოპესი | 0:6, 3:6 |
| ტიპსარევიჩი-ფაუ | 6:7, 7:6, 6:4 |
| ბელუჩი-შტებე | 6:4, 6:1 |

#### ATP. უმაგი

| | |
|---|---|
| ოდესნიკი-ჩილიჩი | 4:6, 0:6 |
| ვერდასკო-კუზნეცოვი | 6:2, 6:2 |
| გრანოლერსი-ბახინგერი | 1:6, 6:3, 7:5 |
| ბერლოკი-დოლგოპოლოვი | 4:6, 4:6 |

#### WTA. პალერმო

| | |
|---|---|
| ბ. ზახვალოვა-გორგესი | 7:6, 6:7, 6:1 |
| კაბესა-ბეგუ | 7:5, 4:6, 4:6 |
| სუარეს ნავარო-რობსონი | 4:6, 6:2, 3:6 |
| ერანი-კადანტუ | 6:2, 6:2 |

## TV პროგრამა

### 14 ივლისი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. უდინეზე.
11:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლეჩე.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ვალანსიენი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-როდა.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბარსელონა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვალენსია.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ ორლეანი-ფინიქსი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-შოტლანდია.
18:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. პსჟ.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. დორტმუნდი.
22:00 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
22:45 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ ორლეანი-ფინიქსი.
00:55 NBA Action.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პალერმო. იტალია.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. გალათასარაი-მონტეპასკი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
18:30 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
19:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პალერმო. იტალია (LIVE).
00:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-იტალია.

### 15 ივლისი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვალენსია.
11:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-დორტმუნდი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. კიევო-ინტერი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ლიონი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
22:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვალენსია. ნაპოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-რეალი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ატლანტა.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-იტალია.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. არსენალი.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მანჩესტერ იუნაიტედი.
22:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ატლანტა.
00:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პალერმო. იტალია.
14:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-შოტლანდია.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
18:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეალი-მაკაბი.
20:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-უელსი.
21:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პალერმო. იტალია (LIVE).
00:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 21 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 21 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 18 | 29 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 21 | 30 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 20 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ძოზულეთი | 20 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 19 | 28 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 11 | 26 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0153 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6511 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5511 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0556 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობი, უკან წაიღე შენი სიტყვები!

**კობი ბრაიანტის** განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ამერიკის ამჟამინდელი ოლიმპიური ნაკრები აშშ-ის 1992 წლის დიად გუნდს დაამარცხებდა, დიდი აურზაური გამოიწვია. Bleacherreport-ის ანალიტიკოსმა **ალექს კეიმ** ეს ორი გუნდი პოზიციების მიხედვით შეადარა.

## გამთამაშებლები

ჯონ სტოქტონი, მეჯიქ ჯონსონი - რასელ უესტბრუკი, დერონ უილიამსი, კრის პოლი

დავუშვათ, რომ **კრის პოლი** მართლაც ძალიან კარგია და დღეს, NBA-ის უძლიერეს გამთამაშებლად მიიჩნევა. მაგრამ ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ამჟამად ის თავისი დონით კალათბურთის ისტორიაში პირველ და მეორე პლეიმეიკერს შეესაბამება?! **უესტბრუკი** საერთოდ არ არის ნამდვილი პირველი ნომერი, **დერონი** კი, მისი პიროვნებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ყველაზე ნაკლებად იმსახურებს **მეჯიქთან** და **სტოქტონთან** შედარებას.

## შემტევი მცველები

მაიკლ ჯორდანი, კლაიდ დრექსლერი - კობი ბრაიანტი, ჯეიმს ჰარდენი

ბევრი ლაპარაკი შეიძლება იმის შესახებ, რომ **ბრაიანტი** - თანამედროვეობის უძლიერესი კალათბურთელია. შეიძლება მისი შედარება **ლებრონ ჯეიმსთან**, რაც დღეს ძალიან მოდურია. დასაშვებია იმაზე მსჯელობაც, რამდენად დამკვიდრდა ის მეორე ჯორდანის როლში...

მაგრამ ფაქტი ისაა, რომ თავისი სიდიადით კობიმ მაიკლს ვერ აჯობა. ამ პოზიციაზეც უპირატესობა 1992 წლის გუნდს აქვს - ჯორდანი მაინც ჯორდანია. რაც შეეხება **დრექსლერს**, არანაირი ეჭვი არ არის იმაში, რომ დღევანდელ NBA-ში ის სუპერვარსკვლავი იქნებოდა. **ჰარდენი** კი ჯერ სუპერვარსკვლავი არ არის.

## მსუბუქი ფორვარდები

ლარი ბერდი, სკოტი პიპენი - კევინ დურანტი, ლებრონ ჯეიმსი, კარმელო ენტონი

ერთადერთი პოზიცია, სადაც დღევანდელ გუნდს უპირატესობა აქვს. **ბერდი** 1992 წელს აღარ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ადრე. **პიპენი** რჩებობა პლანეტის უძლიერეს „პოინტ-ფორვარდად", მაგრამ იმ ნაკრებში მას განსხვავებული როლი ჰქონდა - უფრო დაცვაში იყენებდნენ. დღევანდელ ნაკრებს ამ პოზიციაზე დიდების დარბაზის სამი მომავალი წევრი ჰყავს, ამასთან, სამივე იმდენად ათლეტურია და შესანიშნავი სნაიპერული პოტენციალი აქვს, რომ „წინაპრები" მათ შეჩერებას, ალბათ, ვერ მოახერხებდნენ.

## მძიმე ფორვარდები

ჩარლზ ბარკლი, კარლ მელოუნი - ბლეიკ გრიფინი, კევინ ლავი

**ლავისადმი** და **გრიფინისადმი** დიდი პატივისცემის მიუხედავად, მათ შანსი არ ექნებოდათ. გამოცდილება, ოსტატობა, ხასიათი - ამ კომპონენტებში უფროსი კოლეგები მათ აუცილებლად აჯობებდნენ. კევინი და ბლეიკი მხოლოდ ახლა იწყებენ მწვერვალისკენ გზას, "სერ ჩარლზი" და „ფოსტალიონი" კი ბარსელონას ოლიმპიადისთვის აბსოლუტური, ხელშეუხებელი ავტორიტეტები იყვნენ. ბარკლი 1992-93 წლების სეზონში საშუალოდ 25.6 ქულას (თამაშიდან სიზუსტის პროცენტი - 52.0), 12.2 მოხსნას, 5.1 შედეგიან პასსა და 1.8 ჩაჭრას აგროვებდა. საინტერესო სანახავი იქნებოდა, რას გააწყობდა გრიფინი დაცვაში ასეთი აგრესორის წინააღმდეგ. სხვათა შორის, იმ პერიოდში **მელოუნის** სტატისტიკა კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო.

## ცენტრები

პატრიკ იუინგი, დევიდ რობინსონი - ტაისონ ჩენდლერი

ულაპარაკო, ტოტალური დომინირება. ცნობილია, რომ **ჩენდლერი** თავს შესანიშნავად იცავს და NBA-ის საუკეთესო დამცველის პრიზის მფლობელია, მაგრამ ლიგის ისტორიაში ორი უძლიერესი შემტევი ცენტრის წინააღმდეგ მას თავისი პრესტიჟის შენარჩუნება გაუჭირდებოდა. **იუინგი** და **რობინსონი** ნამდვილი კოშმარი იყო ნებისმიერი დაცვისთვის, შესანიშნავი სისწრაფე გააჩნდათ და ფარქვეშ ბრძოლაშიც ძლიერები იყვნენ. ჩენდლერი კი ვიწრო პროფილის სპეციალისტია. დამოუკიდებლად მეტოქის ფარზე შეტევის უნარს „საშუალოზე დაბალი" უნდა ვუწოდოთ.

## დასკვნა

რომელ უპირატესობაზე ლაპარაკობს ბრაიანტი? იქნებ თავისი გუნდის გამარჯვებაზე საუბრისას, ის მხოლოდ საკუთარი სიდიადის შეგრძნებიდან გამოდიოდა? მასთან კამათს არავინ აპირებს, მაგრამ მაინც არ შეიძლება ბოლომდე „დაბრმავება". ობიექტურად, როცა ხუთი პოზიციიდან ოთხში უპირატესობა გაგაჩნია, ოსტატობისა და გამოცდილების უპრეცედენტო ნაზავი გაქვს, „დრიმ თიმი" ათი ცდიდან ცხრაში არანაირ შანსს არ დაუტოვებდა დღევანდელ ნაკრებს. ბოლოს და ბოლოს, შემთხვევით არ უწოდეს ამ ნაკრებს ყველა დროის უდიადესი გუნდი, რომელიც არენაზე გასულა სპორტის ნებისმიერ სახეობაში. მოკლედ, კობი, უკან წაიღე შენი სიტყვები!

## ჯორდანი: ბევრი ვიცინე

კობის მოსაზრება უკომენტაროდ ვერ დატოვეს მაიკლ ჯორდანმა და ჩარლზ ბარკლიმ. მაიკლმა აღიარა, რომ „ლეიკერსის" ლიდერის სიტყვებმა მას ღიმილი მოჰგვარა.

*„დიდი ხანი ვიცინე კობის სიტყვებზე. მისი მხრიდან ამ ორი ნაკრების შედარება არც ისე გონივრული ნაბიჯია. კობი ამბობს, რომ ჩვენ არასაკმარისად ათლეტურები ვიყავით, სამაგიეროდ, ჭკუით ვთამაშობდით. მან ახსენა მოთამაშეების ასაკი, მაგრამ მე, მაგალითად, მხოლოდ 29 წლის ვიყავი. ფორმის პიკზე ვიმყოფებოდი, ისევე როგორც, ნაკრების პრაქტიკულად ყველა მოთამაშე. არც კი ვიცი, როგორ შეიძლება ამ ორი გუნდის შედარება"*, - ამბობს ჯორდანი.

მაიკლს ეთანხმება 1992 წლის გუნდის კიდევ ერთი წევრი ჩარლზ ბარკლი: *„არ მგონია, რომ კობიმ ამით ჩვენ მიმართ უპატივცემულობა გამოხატა, ამიტომაც არ ვაპირებ მასთან კამათს. თუმცა მეჩვენება, რომ დღევანდელი გამთამაშებლები ჩვენ ვერ გაგვიმკლავდებოდნენ. კობი ამბობს, რომ ჩვენს გუნდში ვეტერანები თამაშობდნენ. სასაცილოა ამის მოსმენა. რამდენი წლისაა ბრაიანტი? 34-ის? და ის ჩვენ გვიწოდებს „ბებრებს"? ოლიმპიადის დღეებში 28-29 წლისანი ვიყავით.*

*დღევანდელი ნაკრებიდან კობის, ჯეიმსისა და დურანტის გარდა, ჩვენს გუნდში ვერავინ მოხვდებოდა".*







ბლეიკ გრიფინი

# კარგი და ცუდი ამბავი

### ბლეიკ გრიფინი ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს

სანამ ამერიკული საკალათბურთო სამყარო **კობი ბრაიანტის** განცხადებაზე მსჯელობს, **მაიკ კრუიჟევსკის** გუნდში ორი ამბავი მოხდა: ერთი კარგი და ერთიც ცუდი.

ცუდი ის არის, მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო **ბლეიკ გრიფინმა**. მას სასწრაფოდ ოპერაცია ესაჭიროება და ამის გამო „კლიპერსის" ახალგაზრდა ფორვარდი ოლიმპიადას გამოტოვებს. გრიფინი რვა კვირა ვერ შეძლებს ვარჯიშს და სავარაუდოდ, უნდა მოასწროს ახალი სეზონისთვის მზადების დაწყება. სხვათა შორის ირკვევა, რომ გრიფინმა ტრავმა გასული სეზონის ბოლოს მიიღო, მაგრამ მკურნალობაზე უარი თქვა და ახლა, დაზიანება გაიმიზეზა.

უკვე გადაწყდა, რომ ბლეიკს ოლიმპიურ ნაკრებში 2012 წლის დრაფტის პირველი ნომერი, „ნიუ ორლეანის" ახალწვეული **ენტონი დევისი** შეცვლის.

■ ■ ■

მეორე ამბავი ის არის, რომ აშშ-ის ნაკრებმა პირველი საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა ლას ვეგასში. მისი მეტოქე იყო დომინიკას რესპუბლიკა, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ვენესუელაში ზაფხულის თამაშების კვალიფიკაციაში მიიღო მონაწილეობა და ერთი ნაბიჯი დააკლდა ლონდონამდე - მესამე ადგილისთვის მატჩი წააგო ნიგერიასთან.

ამერიკამ გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა - 113:59. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა **კევინ დურანტი**, რომელმაც 24 ქულა დააგროვა და ამას 10 მოხსნა დაუმატა.

**აშშ-დომინიკა 113:59**

**26:12, 24:15, 29:14, 34:18**

**აშშ:** დურანტი (24+10 მოხსნა), იგუოდალა (18), ენტონი (13), ლავი (11).

**დ:** ფორტუნა (10), მარტინესი (8+9 მოხსნა), ჰორფორდი (7+6 მოხსნა).

# სექსმისია: გერმანელებმა ოლიმპიადისთვის გაიხადეს

ლონდონის მოახლოებული ოლიმპიადის წინ, გერმანიის ოლიმპიური გუნდის ქალმა წევრებმა მათი გულშემატკივრობის კიდევ ერთი საბაბი მისცეს ქომაგებს - ჟურნალ „ფლეიბოის" თამამ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

ჟურნალის ფურცლებზე მოხვდნენ 18 წლის **რეგინა სერგეევა** (მხატვრული ტანვარჯიში), მარათონელი მოცურავე **ანგელა მაურერი**, ბალახის ჰოკეის მოთამაშე **კრისტინა შიუტცე**, წყალში მხტომელი **კრისტინ შტოიერი** და ტყვიის მსროლელი **ბეატე ჰაუსი**.

ჟურნალის გარეკანს ამშვენებს სათაური: „ოქროს ხუთი მიზეზი იმისთვის, რომ ეს ზაფხული ტელევიზორთან გაატარო".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608